ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ 1999 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ

ქართველების გადასარჩენად

ᲘᲚᲝᲠᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

E-mail: r.jalagania@mail.ru

№315 (374) 12-19 ᲛᲐᲘᲡᲘ 2015 ᲡᲐᲰᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ“ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ 30 ᲗᲘᲗᲘᲡ

ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲐᲓ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ — ᲐᲙᲐᲙᲘ ᲨᲐᲜᲘᲫᲔ

ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ 70-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲖᲔᲘᲛᲝᲑᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ, ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲡ, ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲚᲣᲞᲣᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛ ᲒᲣᲚᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲛᲘᲐᲒᲔᲑᲡ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ!

ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ, ᲐᲕᲐᲨᲔᲜᲝᲗ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠᲖᲔᲪ ᲕᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲘ...

დაიბეჭდა გაზეთში “საქართველო და მსოფლიო”, 2014 წელს

— გადაწყდა, რომ წლეულს, დამოუკიდებლობის დღეს არ გამართულიყო სამხედრო აღლუმი. ოპოზიციას მიაჩნია, რომ ამით დაირღვა ტრადიცია და საკუთარი არმიისადმი უპატივცემულობა გამომჟღავნდა...

— თანამედროვე საქართველოში სამხედრო აღლუმები სასაცილო და სამარცხვინო მოვლენაა. ჩამოყალიბებიდან დღემდე ქართული არმია დამარცხდა ყველა შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელშიც კი მონაწილეობდა, ამასთან, ყოველი დამარცხების შემდეგ იმართებოდა ბრწყინვალე აღლუმები მაღალფარდოვანი ტრაბახით. დღემდე პირად შეურაცხყოფად მიმაჩნია აღლუმი, რომელიც შევარდნაძემ აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ გამართა. მისი არმია პანიკურად გამორბოდა იქიდან და უპატრონოდ ტოვებდა მოსახლეობას — ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს. ყველაზე წინ გენერლები გარბოდნენ... და მერე იგივე გენერლები თავიანთ მთავარსარდალთან ერთად, სადღესასწაულო მუნდირებში გამოწყობილნი, ტრიბუნაზე იდგნენ და ამაყად იბარებდნენ გამოქცეული არმიის აღლუმს. ამ დროს კი ჭუბერის უღელტეხილზე ქალები შიმშილისგან გარდაცვლილ შვილებს მარხავდნენ.

სააკაშვილმა ეს პრაქტიკა სრულ მარაზმამდე მიიყვანა. ომში დამარცხების აღნიშნა მან არამარტო აღლუმებით გააგრძელა, არამედ გრანდიოზული კონცერტებიც დაუმატა. სხვათა შორის, ქართულ აღლუმებს ყოველთვის აჩვენებდნენ აფხაზური და ოსური ტელევიზიები. ჩვენს არმიასა და სამხედრო აღლუმებზე იქ ათობით ანეკდოტს ყვებიან. ვფიქრობ, დროა, აღარ ვიყოთ ხალხის თვალში სასაცილონი.

ქართულმა საზოგადოებამ უნდა გადახედოს მისთვის თავსმოხვეულ წარმოდგენას ჩვენი არმიის როლსა და მნიშვნელობაზე. საღად მოაზროვნე ადამიანი ხვდება, რომ მეზობელ ქვეყნებთან, ხალხებთან უთანხმოების მოგვარებას ძალისმიერი გზით ვერ შევძლებთ. ჩვენ არასოდეს გვეყოლება ისეთი არმია, რომელიც შეძლებს დაუპირისპირდეს რუსეთს, ირანს, თურქეთს. სწორედ ეს გიგანტური სახელმწიფოებია ჩვენი მეზობლები და ჩვენი მეზობელი პატარა ქვეყნების მოკავშირეები. საზოგადოების ორიენტირება «თანამედროვედ შეიარაღებული ძლიერი არმიის» აუცილებლობაზე — ეს არის ხელისუფლებისა და მისი უცხოელი კურატორების ბლეფი და გულუბრყვილო ობივატელის მავნე ფანტაზია.

თუ ჩვენს ერსა და სახელმწიფოებრიობას შენარჩუნება უწერია, მას გადაარჩენს არა არმია, არამედ მეზობელი ქვეყნების ინტერესების გათვალიწინება, ამ ინტერესების საფუძველზე ფრთხილი საგარეოპოლიტიკური თამაში და საქართველოს გადაქცევა რეგიონში ძალთა და ინტერესთა ბალანსის მნიშვნელოვან ფაქტორად. ამიტომ გამუდმებით ვიმეორებ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან, მაღალკვალიფიციურ, ფინანსურად უზრუნველყოფილ და აქტიურ უწყებას საქართველოში უნდა წარმოადგენდეს არა თავდაცვის, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტრო. სწორედ დიპლომატია და არა არმია შეიძლება გახდეს რეგიონში ჩვენი მნიშვნელობისა და უსაფრთხოების საფუძველი.

უკვე 20 წელია, ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, დაარწმუნოს ხალხი, რომ კეთილშობილი ამერიკელები ეხმარებიან საქართველოს პროფესიონალური არმიის ჩამოყალიბებაში ჩვენი თავდაცვის უზრუნველსაყოფად. არიან ადამიანები, რომელთაც ეს სჯერათ. მაგრამ საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი ხვდება, რომ ამერიკელები ჩვენს არმიას მხოლოდ იმიტომ აფინანსებენ, რომ თავისივე ინტერესებისათვის გამოიყენონ მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში, სადაც მათ ცოცხალი ძალა სჭირდებათ. სამხედრო ეკონომისტები ციფრების ენაზე აგიხსნიან, რამდენად ხელსაყრელია ამერიკისთვის ქართული ბატალიონის შენახვა ამერიკულთან შედარებით, რამდენად ხელსაყრელია მისთვის ქართველი ჯარისკაცის დაღუპვა ამერიკელის დაღუპვასთან შედარებით, რომლის ოჯახს მსგავს შემთხვევაში კოლოსალური სადაზღვევო თანხა უნდა გადაუხადოს. ამიტომ ჩვენ ჯარისკაცებს კიდევ დიდხანს მოუწევთ «ავღანელი ხალხის თავისუფლებისთვის» სისხლის დაღვრა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკა სადღაც ვიღაცას გამუდმებით ეომება, ავღანეთით «სხვის ომში» ჩვენი მონაწილეობა არ ამოიწურება. ხელისუფლება და სულელი ობივატელი კი ხალხს იმას ჩასჩიჩინებენ, რომ ჩვენი ჯარისკაცები იქ საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის იბრძვიან. ჩვენი პოლიტიკოსები იმით ამაყობენ, რომ ქართული კონტინგენტი ავღანეთში ყველაზე მრავალრიცხოვანია, ამერიკულის შემდეგ. მაგრამ ასე იმიტომ კი არ არის, რომ სხვა ქვეყნებს უფრო მცირერიცხოვანი ან ნაკლებადმომზადებული არმიები ჰყავთ, უბრალოდ, იმ ქვეყნების ხელისუფლებასა და საზოგადოებას, მათ შორის ნატოს წევრებისაც, არ სურთ ამერიკულ ავანტიურაში ჩათრევა და ისლამური სამყაროს სიძულვილისა და აგრესიის გამოწვევა. ჩვენ კი, მუსლიმანი ხალხების გარემოცვაში მყოფნი, ჯიუტად მივდივართ ამ თვითმკვლელობაზე.

— ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იმით იმართლებენ, რომ ავღანეთში წასვლას არავის აძალებენ და ჯარისკაცები იქ ნებაყოფლობით მიდიან...

— როდესაც ხელისუფლება ქვეყანაში ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ქმნის, რომ ჯანმრთელ ახალგაზრდას არ შეუძლია სხვაგვარად ირჩინოს თავი, თუ არა ომებში საკუთარი სისხლი დაღვაროს, ასეთი ხელისუფლება ჩადის დანაშაულს საკუთარი ერის წინაშე.

— მსოფლიო იძირება გლობალურ დაპირისპირებაში. უკვე, ფაქტობრივად, დაწყებულია ცივილიზაციათა ომი, ერთმანეთს ეჯახებიან გლობალური ძალები. ასეთ პირობებში როგორ უნდა გადაირჩინოს თავი პატარა საქართველომ? გასაგებია, რომ არმია ამაში ვერ გვიშველის. თქვენ ახსენეთ დიპლომატია, აწონ-დაწონილი ჭკვიანური საგარეო პოლიტიკა, ეს საკმარისია?

— არა, რა თქმა უნდა. ჩვენ უნდა გადავხედოთ ჩვენს შეხედულებებს საქართველოს როლისა და ფუნქციის შესახებ საერთაშორისო კონტექსტში. შევარდნაძემ და სააკაშვილმა გარეშე ძალთა მითითებით საქართველოს თავს მოახვიეს «პრობლემური ქვეყნის», «მინავლული ცხელი წერტილის» როლი. რუსეთთან დაპირისპირების სპეკულირებით, რეგიონში საკუთარი რეჟიმის დასავლური დემოკრატიის ფორპოსტად წარმოჩენის სანაცვლოდ ისინი დასავლეთისგან კრედიტებს, სუბსიდიებს, გრანტებს ღებულობდნენ, პარალელურად კი ეროვნულ სიმდიდრეს ყიდდნენ, მიწის ჩათვლით. მიღებული ფული ჩაიჯიბეს, მხოლოდ ნაწილი მოახმარეს ხალხის ღატაკური ყოფის უზრუნველყოფას. ეს ხარჯები კიდევ უფრო რომ შეემცირებინათ, ყოველნაირად ხდებოდა იმ სოციალური პროცესების წახალისება, რომლებიც ხელს უწყობდა ემიგრაციას, შობადობის შემცირებას, მოსახლეობის სიკვდილიანობას. პოლიტიკური ელიტისა და მასთან დაახლოებული ბიზნესისთვის მჩაგვრელი «დემოკრატიის კუნძულის» როლი საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა, მაგრამ ქვეყანასა და ხალხს ეს როლი დაღუპვას უქადის.

მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა შეუდგეს რეგიონში იმ როლის შესრულებას, რომელიც მას ისტორიულად ერგო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის, ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური შემადგენლობის, ქართველი ხალხის, როგორც სახელმწიფოს წარმომქმნელი ერის მენტალობის გამო. საქართველო მდებარეობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაგასაყარზე, ცივილიზაციების გზაჯვარედინზე, ქრისტიანობისა და ისლამის შეხების ადგილას, მეტიც, ქრისტიანობის ძირითადი განშტოებების — მართლმადიდებლობის, კათოლიკობის, გრიგორიანობისა და ისლამის ძირითადი განშტოებების — სუნიტებისა და შიიტების შეხების ადგილას. აქვე ისტორიულად არსებობს იუდაიზმი, ასევე ქურთების, იეზიდების, ასირიელებისა და მთელი რიგი ხალხების რელიგიები. და მიუხედავად ამისა, ისტორიას არ ახსოვს, რომ საქართველოში რელიგიური უთანხმოების ნიადაგზე მომხდარიყოს სერიოზული შეტაკება, მით უფრო რელიგიური ომები. ამიტომ საქართველო, ღვთისა და ისტორიის ნებით, წარმოადგენს ბუნებრივ მოედანს კონფესიათაშორისი, ეროვნებათაშორისი, ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობების შესწავლისთვის, ანუ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის არსებობის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების შემეცნებისთვის. მართალია, შევარდნაძემ და სააკაშვილმა საკუთარ მოსახლეობასთან ომის გაჩაღებით, რამაც ეთნოკონფლიქტების სახე მიიღო, უდავოდ სერიოზულად შელახეს საქართველოსა და ქართველების რეპუტაცია, მაგრამ, ვფიქრობ, საკითხის ჭკვიანურად დასმით ეს გამოცდილებაც შეიძლება ვაქციოთ კვლევის საგნად, როგორც, მაგალითად, ავანტიურისტი ხელისუფლების ვოლუნტარისტული ჩარევა ხალხების ბუნებრივად მიმდინარე თანაცხოვრებაში.

იდეალურ შემთხვევაში, საქართველო შეიძლება იქცეს დემილიტარიზირებულ ქვეყნად, თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების შემსწავლელ ლაბორატორიად, რეგიონში წამოჭრილი სერიოზული საკითხების დასარეგულირებლად საერთაშორისო შეხვედრების ადგილად, სადაც მთელი რიგი მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტები განთავსდებიან. სწორედ სხვადასხვა ხალხებთან და რელიგიებთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების გამოცდილების გამო საქართველოს შეუძლია დიალოგების არენად იქცეს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა თურქულ-ქურთული, სომხურ-აზერბაიჯანული, ირანულ-თურქული, ირანულ-აზერბაიჯანული, თურქულ-სომხური პრობლემები, რამეთუ საქართველოში თითოეული მხარე დაინახავს მონათესავე გარემოს უკონფლიქტო თანაცხოვრების ჩვენეული გამოცდილებით. მსგავსი საქმიანობისთვის უზარმაზარი პერსპექტივები არის ჩრდილოეთ კავკასიაშიც.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

გერმანელი ავტორები სამეგრელოს შესახებ – I (მორიც ვაგნერი)

ხობისწყლის შესართავთან, გაუქმებული რედუტის ადგილას აგებული საკარანტინო შენობა ოთხი განყოფილებისგან შედგებოდა. პირველში მოთავსებული ყოფილა კანცელარია. აქვე იყვნენ დაბინავებულნი მოსამსახურეები; მეორე განყოფილებაში ათავსებდნენ იმ საქონელს, რასაც საკარანტინო წმენდა უნდა გაევლო, მესამე მგზავრთათვის იყო განკუთვნილი, ხოლო მეოთხე – შავი ჭირის დაწესებულებას წარმოადგენდა. ზღვისპირას მოწყობილი ყოფილა სანაპირო გზის მაკონტროლებელი საგუშაგო. ქალაქს მატროსთა სახლიც ჰქონია (პაჭკორია 1968: 33-34).

ყირიმის ომის მიწურულს (1855 წლის დამდეგიდან) ყულევი ომერ-ფაშას მთავარ ბანაკად იქცა. ასე გაგრძელდა 1856 წლის გაზაფხულამდე, როცა ოსმალები გაიქცნენ ყულევიდან. გაქცევის წინ მტერმა გადაწვა ქალაქი. ამით დასრულდა კიდეც მისი ქალაქობის 16-წლიანი ისტორია. ეს უმიზეზოდ არ მომხდარა. მალე ფოთში ნავსადგური გაიხსნა და ყულევის ქალაქობის საჭიროებაც წარიხოცა (სიხარულიძე, კეკელია VII, 2014: 87).

მოგზაური კვლავ უბრუნდება ხობისა და ფაზისის შესართავების ციებიანი ადგილების ემოციურ აღწერას და შენიშნავს, რომ „დიდი რუსული იმპერიის არცერთი ადგილი არაა ისე დამღუპველ-მომაკვდინებელი ჩრდილოელი მოსახლეობისათვის, როგორც სანაპიროს ეს ადგილი“ (იქვე: 139). ციების გამო ივლის-აგვისტო-სექტემბერში აქ რუსული გარნიზონების მეოთხედი იხოცებოდა. მრავალწლიანი სამსახურის პერიოდში სიკვდილს გადარჩენილ რუს ჯარისკაცებს მოგზაური მოსიარულე მიცვალებულებს ამსგავსებს, რომლებსაც კიდურებში ძალა გამოლევიათ და მოკანკალე ფეხებით ძლივს მიათრევენ მუშკეტებს ზღვის ნაპირზე, **„რომელიც უნდა დაიცვან კონტრაბანდისტებისგან და მონებით მოვაჭრეთაგან“** (იქვე:139).

ვაგნერის თქმით, მცირე სამოქალაქო მოსახლეობა ჭაობის ანაორთქლისადმი ნაკლებ მიდრეკილია. ამასთანავე, ცხოვრობენ უფრო მოხერხებულად, მიირთმევენ უკეთეს საკვებს, რაც განაპირობებს იმას, რომ გარნიზონისგან განსხვავებით ისინი ნაკლებ ავადდებიან. მოგზაური რედუტ-კალეს სამხრეთით და მისგან თორმეტი ვერსის დაშორებით, ულამაზეს ტყეში, ზღვის ნაპირთან, მიუთითებს დიდ სასაფლაოს, რომლის გარშემოც ხარობდა ყველა სახის ხეხილი, ასევე კოპიტი, ცაცხვი, წიფელი, ნეკერჩხალი, დაფნა, ტუია, გარეული ვარდი და ვაზი, ხვართქლა, სურო, წითელი ხენდრო და ასეულობით სხვა ხვიარა მცენარე (იქვე:139). რედუტ-კალედან ფოთისკენ მიმავალ გზაზე, რედუტიდან 4 ვერსის დაშორებით რუსების სასაფლაოს არსებობას მიუთითებს აგრეთვე ედუარდ აიხვალდი (აიხვალდი 2005: 205).

მაშინ, როდესაც ვაგნერის თანმხლებნი წვიმიანი და ცივი ამინდის გამო სახლის ბერძენი პატრონის მშრალ და თბილ ბარაკებში ამჯობინებდნენ ყოფნას, თვით ავტორი ერთი ახალგაზრდა, მეგრელი ყმაწვილის მეგზურობით ექსკურსიებს აწყობდა რედუტ-კალეს შემოგარენში. ზღვის სანაპირო ზოლში მისი ყურადღება მიუქცევია კვერცხის სიდიდის კრისტალური ქვის სხვადასხვა სახეობას – გრანიტს, სიენიტს, გაბროს, კვარცს, მარმარილოს, მკვრივ კირს, პორფირს, რაც კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან ჩამოჰქონდა მდინარეებს (იქვე: 140).

ვაგნერს მოუნახულებია აგრეთვე ხობის მონასტერი, ფაზისის შესართავი და დადიანის რეზიდენცია ზუგდიდში. სამეგრელოში არსადაა ისეთი სამოსახლო, – დასძენს ვაგნერი,– რომელსაც ევროპული გაგებით შეიძლება სოფელი ეწოდოს, ვინაიდან ჭალებისა და მდელოების შუაგულში გაფანტულად მდგარი სახლები „გაჩეხილ უღრანში მზით განათებული ნათელი კუნძულებივით იმზირებიან ხეთა ზღვაში“ (იქვე: 141). ხობს სოფლის სტატუსით მოიხსენიებს, სადაც სახლები სიგრძეში იყვნენ გაფანტულნი. „სოფლისგან მცირე მოშორებით მდინარის ნაპირზე, მშვენიერი ტყიანი გორაკის წვერზე დგას ამავე სახელის მონასტერი“ (იქვე: 141). ვაგნერი შენიშნავს, რომ ხობის მონასტერში ცხოვრობს წმ. ბასილის ორდენის რამდენიმე ქართველი ბერი, რომელთაც არქიმანდრიტი მეთაურობს. უწინ ეს იყო სამეგრელოს ექვს საეპისკოპოსოთაგან ერთი, რომლებიც შემდგომ სააბატოებად შეიცვალა“ (იქვე: 142). სხვა წერილობითი წყაროებიდანაც ირკვევა, რომ ხობის მონასტერი საეპისკოპოსოს ცენტრი ყოფილა (ხობის მონასტერი 2006:32-36). მოგზაური მოკლედ ეხება ხობის მონასტრის არქიტექტურასაც და წერს, რომ ტრანსკავკასიის თითქმის ყველა მონასტრის მსგავსად მასაც გარს მადალი გალავანი ავლია. მონასტრის შიდა მოჩუქურთმება და მშენებლობის სახე ნაკლებ მნიშვნელოვანია. სვეტების მარმარილოს კაპიტელები სხვადასხვა სტილისაა და უხეშადაა დამუშავებული. ხობის მონასტერი სამეგრელოს მბრძანებლისთვის წმინდა დენისია (**Saint Denis**). ვამეყ დადიანის შემდეგ ამ გვარის ყველა მმართველის ნეშტი ხობში იმარხება (იქვე: 142).

ჩანაწერებში საუბარია ფაზისისის შესართავისა და პალიასტომის ტბის ფლორაზეც. „დაკიდულ და მოქანავე ფლორას პალიასტომზე ემატება აგრეთვე მოცურავეც. უამრავი ლამაზად გაფოთლილი ვარდი იყო ამოშვერილი წყლის ზედაპირზე“ – წერს ვაგნერი (იქვე: 145). მასში ფოთისა და მისი შემოგარენის აღწერასაც ვხვდებით. მეცნიერ-მოგზაური შენიშნავს, რომ თურქების მიერ აგებული ფოთის ციხე ფაზისის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ხოლო მისგან მცირე მოშორებით შემორჩენილია რომაული სასახლის ნანგრევები. განთქმული ემპორიუმი ფაზისი მდებარეობს რიონის, პალიასტომის ტბისა და ტბიდან მდინარის კალაპოტისკენ გაყვანილი ვიწრო არხის მიერ შექმნილ დელტაში... ძველი კართაგენის მსგავსად, სანაპიროს მდებარეობა ფოთშიც შეიცვალა – ყავისფერი რიონის მიერ მოტანილი ნარიყი მიწითა და შლამით ზღვის უკუგდების შედეგად გაიზარდა ნაპირი. კოლხური ემპორიუმისაგან არავითარი ნანგრევი არ შემორჩენილა. რომაული ტაძრის პირდაპირ, გრძელ კუნძულზე, მოგზაურ შარდენს ციბელას ტაძრის ნანგრევები უნახავს... ორნახევარი საუკუნეა, რაც ზედ ზღვის ნაპირზე დგას ფოთის ციხე. უკანდახევის შემდეგ ციხის გალავანს ზღვა აღარ ასველებს. ამიტომ იძულებული გახდნენ, პატარა სიმაგრე (Fort) აეგოთ ფაზისის შესართავთან. ვაგნერი იმოწმებს დიუბუას გამოკვლევას ფოთის შესახებ და დასძენს, რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ ფოთის თურქული ციხეც, რომაულის მსგავსად, დაიმარხება შლამსა და ჭაობში და ბევრი მცდარად ჩათვლის, რომ ციხე ჩაიძირა ძველი ემპორიუმის მსგავსად. ამ უკანასკნელის ნანგრევები ზოგიერთ მკვლევარს პალიასტომის ტბის მლაშე ფსკერზე ეგულებოდა (იქვე: 149).

ვაგნერი ყურადღებას ამახვილებს ფოთის არაჯანსაღ ჰაერზე, აქ რუსების მუდმივი გარნიზონისა და პატარა სამხედრო კოლონიის არსებობაზე. რუსული მთავრობის სურვილი იყო აქ მნიშვნელოვანი სიმაგრისა და დიდი სამხედრო-სავაჭრო ნავსადგურის დაარსება, მაგრამ აქაური ნიადაგის ანაქროლი, მომაკვდინებელი ჰავა წინ ეღობება გეგმების განხორციელებას ფოთში, როგორც ციების ბუდეში. ამასთანავე, ფაზისის ემპორიუმის ხელახალი აღდგენა და ფაზისის კალაპოტში ხომალდებისათვის მოხერხებული და სრულყოფილად დაცული სადგომის მოწყობა უზარმაზარ სამუშაოებს და აურაცხელ ხარჯს მოითხოვდა და, ბუნებრივია, რუსული მთავრობის პროექტები განუხორციელებელი დარჩა(იქვე: 149-150).

ფაზისის, როგორც დაწინაურებული ქალაქის შესახებ, ცნობები დაცულია ჰესიოდეს, ეპიმენიდეს, პინდარეს, ჰეკატე მილეტელის, ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, არისტოფანეს, ჰიპოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ჰერაკლიდე პონტოელის, აპოლონ როდოსელის, თეოკრიტეს, დიოდორ სიცილიელისა და სხვათა თხზულებებში (ბერძნიშვილი XXIII, 1942: 20; პაჭკორია 1967: 10). 1578 წელს (ზოგიერთი წყაროს მიხედვით 1579 წელს) ფოთის ოსმალთა მიერ დაპყრობასა და იქ ციხის აგებაზე დაბეჯითებით მიუთითებენ არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე და სხვები. ლამბერტის ცნობით, ქუთაისის მახლობლად ქართველთა ლაშქართან ბრძოლაში დამარცხებული თურქები ფოთში გამაგრებულან და 1578 წელს იქ ციხე აუგიათ. „ფაზისი ზღვას შეერთვის ორი ტოტით. ამ ტოტებს შორის არის კუნძული... თურქებმა ზემოხსენებულ კუნძულზე ააშენეს ციხე. ბევრი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს ციხე დაანგრია აწინდელმა სამეგრელოს მთავარმა, რომელმაც წამოიღო იქიდან ოცდახუთი ზარბაზანი“, – წერს არქანჯელო ლამბერტი (ლამბერტი 2011: 196).

ფოთის ციხე-სიმაგრეების შესახებ არსებული ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების გაანალიზებით მკვლევარი მ. პაჭკორია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აქ ციხე თურქებს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა აეგოთ. „წინააღმდეგ შემთხვევაში XVI საუკუნეში აგებული ციხე ამ დროისათვის (ე. ი. XVIII საუკუნისათვის) „ზედ ზღვის პირზე“ არ იქნებოდა რიონის მოქმედებისაგან ხმელეთის თანდათანობით წინ წაწევის გამო“ (პაჭკორია 1974: 19). კითხვებზე – „რად დასჭირდათ თურქებს ფოთში ახალი სიმაგრის აგება, როცა ასეთი მათ აგებული ჰქონდათ XVI საუკუნის დასასრულს? იქნებ ეს ციხე ჟამთა გავლენით ან საომარი ოპერაციების დროს დაზიანდა და გამოუსადეგარი გახდა?“, – მკვლევრის პასუხი ასეთია: XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან თურქები იწყებენ ზღვიდან დაშორებული ძველი სიმაგრის თანდათანობით აღდგენას. ამასთანავე, სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტის უფრო საფუძვლიანი გამაგრების მიზნით, მდინარის შესართავთან, ზღვის მახლობლად, მათ დაუწყიათ პატარა სიმაგრის საჩქაროდ აგება (იქვე: 19-20).

ხობის მონასტერში მცირე შესვენების შემდეგ ვაგნერს მოუნახულებია დადიანის რეზიდენცია ზუგდიდში, „რომელიც მდებარეობს ოდიშის ლამაზ მხარეში“ (ვაგნერი2002:140-141). მოგზაური გვაუწყებს, რომ ზუგდიდი „ესაა ქვეყნის ძველი დედაქალაქი ჩეხნიას (**Tschechnia?**) ნაპირას მდებარე, რომელიც ჯუნისთან შეერთების შემდეგ ენგურში ჩაედინება. ზუგდიდი ძველთაგანვე იყო სამეგრელოს მფლობელთა მთავარი რეზიდენცია“ (იქვე:142-143). „ჩეხნია“ ჩხოუშიას დამახინჯებული ფორმაა, ხოლო „ჯუნი“ იგივე მდ. ჯუმია.

ვაგნერი იძლევა მარტვილის მონასტრის მდებარეობასაც. იგი იმოწმებს დიუბუა დე მონპერეს, რომელსაც დეტალურად აქვს აღწერილი ამ მონასტრის შენების სტილი და ღირსშესანიშნაობანი. დიუბუას მარტვილში ჩასვლისას ეპისკოპოსი ყოფილა დავით ჭყონდიდელი, თავადური გვარიდან. იგი მოგვიანებით გადაუყენებიათ სამეგრელოს მთავარ დადიანის რუსეთის წინააღმდეგ წაქეზებისა და მისი ძმის – გენერალ დადიანის მოწამვლის ბრალდებით (იქვე: 143). მეცნიერი ემოციურ ფერებში აღწერს მონასტრის სიმაღლიდან გადაშლილ მშვენიერ პანორამას: **„მთელი მცენარეული სამყაროს სიუხვე ჩვენს ფერხთით იდო. ცა ისევ მოიწმინდა და ატმოსფერო, როგორც ჩვეულებრივ სამხრეთული თავსხმის შემდეგ, უფრო სუფთა და გამჭვირვალე გახდა, ვიდრე ცხელი ზაფხულის თვეებში. მთელი სამეგრელო და იმერეთი ჩვენს წინ სურათივით იშლებოდა, რომელსაც ოქროსფრად მოელვარე ქედების ჯაჭვის ჩარჩო ეკვროდა. თვალსაწიერის არეში მოქცეული იყო მთელი დინება მშვენიერი კოლხური მდინარეების – ფაზისის, ხობის, ენგურის და ცხენისწყლის, რომელთა სათავესაც ქმნიან ფასის მთის მყინვარები; ეს კი იალბუზისა და ყაზბეგის შემდეგ კავკასიონის ყველაზე მაღალი მწვერვალია... სამხრეთით და აღმოსავლეთით თვალი იკარგება სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის სწორ და დაბლობ მხარეებში, რომლებსაც ზოგჯერ გორაკები კვეთენ. აჭარისა და ახალციხის ქედების თეთრი მწვერვალები ნათლად ჩანდა სამხრეთით, მაშინ, როცა დასავლეთით ცისფერი ნისლი ენგურისა და ფაზისის შესართავების თავზე მიუთითებდა შავი ზღვის ზედაპირის არსებობაზე. რაც უფრო ლამაზია კოლხური ლანდშაფტის წვრილმანები, რომლებიც მონასტრის მთის გადმოსახედიდან ახლო ბატონობს, მით უფრო გრანდიოზულია სურათი მთების ავანსცენისა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფონზე“** (იქვე: 143-144).

იგორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი...

(გაგრძელება 1 გვერდიდან)

რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით ჩვენ შევძლებდით მათ არსებით დახმარებას პრობლემების დარეგულირებაში, რომლებიც მუდმივად წარმოშობა ხოლმე საქართველოსთან ისტორიულად მრავალი ძაფით დაკავშირებულ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის.

საქართველოს აქვს ასევე ყველა წინაპირობა, რომ მსოფლიო რელიგიურ კონფესიათა შორის დიალოგის ადგილი გახდეს. ასეთი როლი – ჟენევის როლი ჩვენს რეგიონში – უზრუნველყოფდა საქართველოს საჭიროებას ყველა მეზობელი სახელმწიფოსთვის, შესძენდა მას პატივისცემას და შეუქმნიდა ავტორიტეტს რეგიონის ხალხებში, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა ჩვენ უსაფრთხოებას. გარდა ამისა, ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის შეძენა გამოიწვევდა ქვეყანაში ძალიან სოლიდური ფინანსური სახსრების მოზიდვას, მოახდენდა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას, კვლევითი მუშაობის სტიმულირებას ისტორიის, რელიგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ფილოსოფიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა დარგებში. ჩვენ უკვე დაგვავიწყდა, რომ თბილისი, რუსეთის იმპერიის დროიდან მოყოლებული, კავკასიის შესწავლის ცენტრი იყო, ხოლო გასული საუკუნის 30-70-იან წლებში აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სკოლა პირველი იყო საბჭოთა კავშირში.

საერთოდ, მიმაჩნია, რომ საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება უნდა ემყარებოდეს ინტელექტუალურ, მეცნიერებატევად დარგებს. მაგალითად, ჩვენ ჯერჯერობით მთლიანად არ დაგვიკარგავს საბაზო პოტენციალი ბიოტექნოლოგიის, მიკროელექტრონიკის, ფარმაცევტიკის განსავითარებლად. ამასთან, საქართველოს თავისუფლად შეუძლია იქცეს საერთაშორისო მნიშვნელობის სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრად მაღალი კლასის კლინიკებითა და სანატორიული ბაზით. ღღესაც კი საქართველოში მკურნალობაზე მოთხოვნა კავკასიაში საკმაოდ მაღალია; ამ დარგში ფულის ჩადება მნიშვნელოვან მოგებას მოიტანს. გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია გახდეს მეზობელი ხალხებისთვის მათი კულტურული მიღწევების დემონსტრირების ადგილი: აქ შესაძლებელია საერთაშორისო თეატრალური და კინოფესტივალების, სამხატვრო გამოფენების, მუსიკალურ ღონისძიებათა ჩატარება; ჩვენ ხომ გვქონდა ამის გამოცდილება, უბრალოდ, საჭიროა აღვადგინოთ და გავაღრმაოთ იგი.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა პერიოდში არსებობდა ქართული მათემატიკური სკოლა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა. ბევრ ერს არ შეუძლია მოიწონოს თავი ეროვნული სამეცნიერო სკოლებით. ჭკვიანური მიდგომით ყველაფერ ამის აღორძინება შეიძლება, ყველაფერი ეს მოთხოვნადია თანამედროვე მსოფლიოში, ყოველივე ეს საქართველოს მოუტანს პოზიტიური, ეფექტურად განვითარებადი ქვეყნის სახელს, ხოლო ქართველებს – თანამედროვე, ინტელექტუალური ერის რეპუტაციას, რომელიც ტრადიციულ ღირებულებებზე დაყრდნობით მეცნიერებასა და კულტურას ავითარებს.

მე ვოცნებობდი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენ სწორედ ასეთ საქართველოს ავაშენებდით. სწორედ ასეთ მოდელს ვთავაზობდი 90-იან წლებში და იმედი მქონდა, რომ შევარდნაძე, თავისი საერთაშორისო გამოცდილებიდან და მაშინდელი ავტორიტეტიდან გამომდინარე, ამ გზით წავიდოდა. მაგრამ მან საგარეო დიქტატისადმი მორჩილება, ქვეყნის დეინდუსტრალიზაცია, სამეგრელოს აოხრება და გაძარცვა, აფხაზეთში ძმათაკვლა ამჯობინა. სააკაშვილმა კი გააგრძელა თავისი სულიერი მამის სისხლიანი მოღვაწეობა. საქართველო დაიქცა, მისი განვითარება შეჩერდა, დაიწყო დეგრადაციის პროცესი. ღღეს ჩვენ კრიტიკულ მდგომარეობაში ვართ. მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი. დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი უნდა იყოს «ქართული ოცნება».

ესაუბრა ირაკლი თოდუა

გალმა შედავება უზნეობის კულმინაციაა...

“პანიკოვსკის სიკვდილივით ეშინოდა წესიერი ადამიანების თავყრილობისა...”
ილია ილფი, ევგენი პეტროვი, “ოქროს კერპი”

გიორგი გახარია

გაზეთ “ილორის” წინასიტყვაობა:

დიახ, პანიკოვსკის არ შეიძლებოდა არ შინებოდა წესიერი ადამიანების, რადგან მათ შორის ყოველთვის შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ამ პირწავარდნილი თაღლითის მსხვერპლი, რაც მისი დაჭერით თუ არა, ცემით მაინც დამთავრდებოდა. ზუსტად ასე ეშინიათ წესიერი ადამიანების თავყრილობისა იმ ნაციონალებს და მათ დორბლიან ბელად სააკიანცს, რომლებიც თაღლითობითა და ძალადობის გამოყენებით მიუძღოდნენ ქვეყანას იმ უფსკრულისაკენ, საიდანაც ჯერჯერობით ვერ დაგვიღწევია თავი. მხოლოდ წესიერი ადამიანების შიშითაა გამოწვეული ნაცების სიკვდილისწინა აგონია, სწორედ ამიტომ იგლეჯს თმებს უადგილო ადგილიდან ნაციონალთა ერთ-ერთი მეხოტბე, ჟურნალისტად წოდებული არარაობა ეკა კვესიტაძე, რომელიც გველების ბუდედ ქცეულ ტელეარხ **“რუსთავი-2”**-დან ცდილობს აპოკალიფსური სურათის დახატვას. ასევე იშხამება ამ ტელეარხის წამყვანი-არარაობა გიორგი გაბუნია...

ამიტომ ამოირჩიეს მათ სამიზნედ უდავოდ ნიჭიერი და წესიერი ახალგაზრდა ადამიანი – საქართველოს ბიზნესომბუდსმენი და მთავრობის ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი გახარია, რომელიც ასევე სრულმა არარაობამ – ამ ტელეარხის ეკონომიკურ ექსპერტად წოდებულმა კაცური ყოფიდან გადადღაბნილმა არსებამ აკაკი გოგიჩაიშვილმა გალანძღა და ცილი დასწამა ღია ეთერში. ღვთის მადლით, ქართული საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილმა ძალიან კარგად იცის თუ ვინ არიან სააკიანცები ვაშაძეები, კანდელაკები, გაბუნიები, კვესიტაძეები, გოგიჩაიშვილები და მათი მსგავსნი. ამიტომ, არავის გაკვირვებია ის ამბავი, რომ ამ მართლაც უბინძურესმა ადამიანებმა სწორედ გიორგი გახარია ამოიღეს მიზანში. პირიქით – უნდა გვიხარიოდეს კიდეც ის ამბავი, რომ **“გაპანიკოვსკებული”** ნაციონალები და მათი ბანდის წევრები ნებისმიერ წესიერ ადამიანში საკუთარ მესაფლავეს ხედავენ!

მართლაც უზნეობის კულმინაცია გახლავთ ის, რომ ნაციონალები სხვებს აბრალებდნენ ბიზნესზე ზეწოლას, როცა თავად თავზეხელაღებული ყაჩაღებივით ატერორებდნენ ბიზნესს, შუაღამეს წამოადგებდნენ ხოლმე მათთვის არასასურველ ბიზნესმენს და დაქირავებული ნოტარიუსების მშვეობით ართმევდნენ ბიზნესს! შემდეგ კი ამ ბიზნესიდან ამოღებული თანხებით მათთვის სასურველ არასამთავრობოებს აფინანსებდნენ, განსაკუთრებით მათ, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ და დღესაც ხელმძღვანელობენ კახა კოჟორიძე, ეკა გიგაური, ნინო ლომჯარია, თამარ ნაცვლიშვილი და სხვანი და სხვანი... ეს ვითომ **“ლატენტური ნაცები”**, ისე ღრმად არიან შემძვრალ-შეზრდილი ნაციონალთა საშოს, რომ მათი განცალკევება მხოლოდ ქირურგიული გზით თუ არის შესაძლებელი, რაც უეჭველად გამოიწვევს ერთ-ერთი მათგანის სიკვდილს. მაგრამ ნაცებიცა და მათ მიტმასნილი არასამთავრობოებიც რომ უეჭველად განწირული არიან სრული პოლიტიკური კრახისა და გახრწნა-გარდაცვალებისათვის, მათი აგონიაც მოწმობს!

მართლაც უზნეობი და სინდისზე ხელაღებულები არიან დაშნაკი სააკიანცი და მისი ბანდის წევრები, თორემ ისინი ბიზნესის შევიწროვებაზე ისევე არ უნდა ძრავდნენ სიტყვას, როგორც ჩამომხრჩვალის ოჯახში არ ახსენებენ ბაწარს...

სწორედ ნაციონალ არამზადათა არაკორექტულ, დანაშაულებრივ გამოხდომას ეძღვნება გაზეთის ეს გვერდი, და მას ვხსნით ჟურნალისტ გიორგი გიორგაძის წერილით, რომელიც გაზეთმა **“ვერსიამ”** გამოაქვეყნა (**“ვერსია”**, №48 (1074), 4-5 მაისი 2015 წელი):

დააბრალე ის, რაშიც დამნაშავე ხარ – ყველაზე ეფექტური მეთოდი დღეს ნაციონალური მოძრაობისათვის!

და მართლაც, მათი მხრიდან ბიზნესზე ზეწოლის ბრალდებები ერთადერთ მიზანს ემსახურება – თავდაცვას! დააბრალე აბსურდი სხვას, განსაკუთრებით დააბრალე ის, რაშიც დამნაშავე ხარ და შესაძლოა, გადარჩე.

ბოლო რამდენიმე დღეა, ნაციონალური მოძრაობის წევრები ხმამაღლა გაჰყვირიან, რომ ბიზნესზე ზეწოლა ხორციელდება. უფრო კონკრეტულად კი, ისინი იმ ფარულ ჩანაწერს იშველიებენ, რომელიც ბიზნესმენმა ვახო გოძიაშვილმა ტელეარხ **“რუსთავი-2”**-ში მიიტანა. ჩანაწერში გოძიაშვილს ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია ესაუბრება და ურჩევს, რომ დროა გოძიაშვილმა ჩაიჩოჩოს და მუშაობის შესაძლებლობა სხვებსაც მისცეს. გაითვალისწინეთ: გახარია იმას კი არ ამბობს, გაქრი და ყველაფერი დათმეო, რასაც ნაციონალები და თავად გოძიაშვილი ამტკიცებენ, არამედ იმას, რომ გოძიაშვილმა მონოპოლია და ექსკლუზივი უნდა დათმოს, რომელიც როგორ ჰქონდა მოპოვებული, ამას მკითხველი თავად დაასკვნის.

“მეუბნებიან, რომ ყველაფერი უნდა დავთმო, რასაც არ გავაკეთებ. ეს არის ბიზნესზე პირდაპირი ზეწოლა”, – ამბობს გოძიაშვილი.

“არ შეიძლება რომ იყოს ერთი და მეტი არავინ. თავად ამოირჩიე, კიდევ ვინ უნდა იყოს შენ გარდა და მორჩა”,– ეს კი გახარიას სიტყვებია, რომელიც ჩანაწერში ისმის.

რა გამოდის? – ბიზნესომბუდსმენი პირდაპირ ამბობს, რომ მონოპოლია არ შეიძლება, ამბობს, რომ გოძიაშვილი ბიზნესში უნდა დარჩეს, მაგრამ უნდა დარჩეს სხვებთან ერთად. როცა ვინმეს ჩაჩოჩება უნდოდათ, როგორ ექცეოდნენ ბიზნესმენებს წინა ხელისუფლების პირობებში, ყველაზე უკეთ სწორედ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა იციან. სატელეფონო ზარი და შეთანხმება კი არა, გლდანის ციხის ჯოჯოხეთი და ყველაფრის წართმევა გარანტირებული იყო და ესეც იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესმენის ცოცხლად დატოვება სურდათ. და ახლა, როცა ცივილურად ხდება პრობლემების მოგვარება, ცარიელ ჭიქაში ქარიშხლის დატრიალების მცდელობის აზრი არ ჩანს, თუმცა, მეორეს მხრივ, საინტერესოა უშუალოდ გოძიაშვილის პერსონა...

ნაციონალების ზეობის პერიოდში გოძიაშვილი რამდენჯერმე ჩავარდა სამართალდამცავთა ხელში. ორჯერ საქმე ნარკოდანაშაულთან გვქონდა, ბოლოს კი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. მიზეზი მარტივია – გოძიაშვილის შვილის ნათლია ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია და მისი ხელშეუხებლობაც სწორედ მისი დამსახურება იყო, თუმცა ბოლოს, ისიც გადააგდეს.

დღეს გოძიაშვილს ჭიათურმანგანუმში ექსკლუზივის დათმობა არ სურს. სავარაუდოდ, სწორედ გოძიაშვილია ერთ-ერთი დამფინანსებელი იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა, რომლებიც კვირაში რამდენჯერმე აქციებს აწყობენ და ცდილობენ, ქვეყანაში არსებული ვითარება სხვაგვარად წარმოაჩინონ და მუქ ფერებში დახატონ.

რეალურად, გოძიაშვილის დარი ბიზნესმენი მმართველ გუნდთან რომ ასოცირდებოდეს, ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ყოველდღიურ რეჟიმში შეგვახსენებდნენ, რომ ბიზნესი კრიმინალთა ხელშია და სამჯერ ნასამართლევი ადამიანს სერიოზული ბერკეტები აქვს. გოძიაშვილზე კი ეს არ ვრცელდება, რადგან მისი შვილის ნათლია ნაცმოს ნათლია მიხეილ სააკაშვილია.

სქემა მარტივია: დააბრალე სხვას ის, რაშიც დამნაშავე ხარ. წინა კვირას **“მაესტროს”** ეთერში ბიზნესომბუდსმენი, როგორც ჩანს, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მისთვის ძალიან **“ნათელი და უპრობლემო”** საქმე, რომელში ჩარევამაც სიტუაციის გაჯანსაღება და რეგიონში ბიუჯეტის ზრდა გამოიწვია, სამჯერ ნასამართლევი გოძიაშვილის მხრიდან ისევ სპეკულაციის საგანი გახდებოდა. უცნაურია, რომ გოძიაშვილი, მიუხედავად თავისი კრიმინალური წარსულისა, ბედავს ამ თემაზე საჯაროდ საუბარს, მაგრამ სავარაუდოდ, მასზე არსებობს ის, რითაც მართავენ.

ჩვენ კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ ბიზნესომბუდსმენს, თუმცა მან უარი განაცხადა. ამიტომ ვიყენებთ მისი განცხადებიდან ამონარიდს: **“შპს “ემ ენ კორჯია” სხვადასხვა სახის სპეკულაციებით, მათ შორის, მაღალ თანამდებობის პირებთან ახლო კონტაქტების არსებობაზე აპელირებით, მათთან ექსკლუზიური ხელშეკრულების მოპოვებას ცდილობდა. ბიზნესომბუდსმენმა კომპანიის წარმომადგენლებს განუმარტა, რომ გამორიცხული იყო სახელმწიფოს რომელიმე თანამდებობის პირის მიერ კომპანიის საქმიანობაში რაიმე ფორმით ჩარევა და ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით მათ შეეძლოთ მიეღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც კომპანიის ინტერესები მოითხოვდა. რაც შეეხება მხარეთა შორის ურთიერთობას, იგი კომერციული ურთიერთობაა და სადავო საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო კანონმდებლობის შესაბამისად. სწორედ აღნიშნულის შედეგია, რომ დღეს ამ სამუშაოებს სამი კომპანია ასრულებს და არა ერთი – ექსკლუზიურად”.**

და ბოლოს, სავარაუდოდ, დღევანდელ ხელისუფლებას აღარ აქვს რესურსი, გოძიაშვილისნაირ კრიმინალებს კომერციული კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით ესაუბროს. არ დაარტყამ შენ და დაგარტყამენ და იმართლე თავი, რომ ჟირაფი არ ხარ!

ვახო გოძიაშვილი

გაზეთ “ილორის” კომენტარი – ნამდვილად აღმაშფოთებელია ის, რომ ნაციონალები გავასწავლიან წესიერებას, მაშინ, როცა მათი დორბლიანი ბელადის სააკიანცის მითითებით მთელი თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობა ტერორსა და ძალადობაზე ჰქონდათ აგებული.

უზნეო და სინდისგარეცხილი ნაცები გვასწავლიან წესიერებას, მაშინ, როცა მათ სახეებს – ნადირაშვილსა და ჯაფარიძეს აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოჰქონდათ დიდძალი შავი ფული, იმ პიარის დასაფინანსებლად, რომელიც უკვე აშკარა ზიზღს იწვევს ქართულ საზოგადოებაში!

დიდ რუს პუბლიცისტს ვასილ ველიჩკოს თავის შესანიშნავ ნაწარმოებში “კავკასია” მოხმობილი აქვს ძველი კავკასიური თქმულება, რომელიც საქართველოში მოძალადე სომხებს ეხება: “ჯიშიანი ცხენები დაწყდნენ, დოღი ვირებს დარჩათ”. მართლაც ასეა ჩვენს თავს – ვერა და ვერ მოვიშორეთ თავიანთ ავკაცობას სომხეთიდან გამოქცეულ დაშნაკთა შთამომავლების თარეში საქართველოში!

რა არის ეს, ჩვეული ქართული სიბეცე, თუ იმის განცდა, რომ ჩვენ მართლაც არ შეგვიძლია იმ ნორმალური საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელსაც ქვეყნის გაძღოლა ძალუძს?

ნაციონალებს კი გვინდა ვურჩიოთ, რომ დაბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში და იქ აკეთონ დაშნაკური საქმე, რისთვისაც მადლობას დაიმსახურებენ. საქართველოში კი დაშნაკური საქმის კეთება სამშობლოს ღალატის ტოლფასია!

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სააკიანცისა და მისი დაშნაკური ბანდისათვის საქართველოს არასოდეს ყოფილა და ვერც გახდება სამშობლო!

ჩვენ, ქართველებს, ჩვენი საქმე გვაქვს გასაკეთებელი და ეს საქმე გახარიასთანა უმწიკვლო ადამიანებმა უნდა აკეთონ და არა სააკიანცისა და გოძიაშვილისნაირმა ნაძირალებმა!

რაც შეეხება გოძიაშვილის მიერ ანგარებით გაჟღერებულ ცილისწამებებს, იგი აშკარად განეკუთვნება სისხლის სამართლის სფეროს, რითაც ალბათ აუცილებლად დაინტერესდებიან ჩვენი სამართალდამცავები.

აქვე გთავაზობთ აღნიშნულ ფაქტზე არასამთავრობო ორგანიზაციების გამოხმაურებას, რომელსაც სააგენტო **“ინტერპრესნიუსი”** უცვლელად გთავაზობთ:

“საქართველოს ბიზნეს ასოციაციები, როგორც ქვეყნის ეკონომიკური სფეროს უმნიშვნელოვანეს სექტორში მოღვაწე პროფესიული გაერთიანებები, შეშფოთებას გამოვთქვამთ იმ ფაქტის გამო, რომელსაც ამ რამოდენიმე დღის წინ ჰქონდა ადგილი და მიზნად ისახავს არა რომელიმე ბიზნეს სტრუქტურის დისკრედიტაციას, არამედ საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტის იმიჯისა და საქმიანი რეპუტაციისათვის, სრულიად უსამართლოდ ზიანის მიყენებას, რითაც საბოლოოდ სერიოზულ დარტყმას მივიღებთ მთლიანად ბიზნეს გარემოზე და აქედან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკაზე.

ბატონი გიორგი გახარია ამ თანამდებობაზე მოსვლის დღიდან გულისხმიერებით, მაღალი პროფესიონალიზმით და დიდი მონდომებით ცდილობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს ბიზნესის წარმომადგენლებს და ამის მრავალი მაგალითი არსებობს, ხოლო დღეს როგორი პარადოქსიც არ უნდა იყოს, ბიზნესს თავად უწევს მისი დაცვა, რაც სამწუხარო რეალობაა და უარყოფითად აისახება ინვესტორთა ქცევაზე.

ამიტომ, ჩვენ მაქსიმალური ყურადღებით მივადევნებთ თვალს მოვლენების შემდგომ განვითარებას და შევეცდებით, რომ მომავალშიც მყისიერი რეაგირება მოვახდინოთ ამ ფაქტისადმი არასამართლიანი და ტენდენციური დამოკიდებულების შემთხვევაში”, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებას ხელს აწერენ: **მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია; ნავთობ პროდუქტების იმპორტიორთა კაშირი; ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაცია; საქართველოს ბანკების ასოციაცია; საქართველოს ფერმერთა ასოციაცია; საქართველოს მეცხვარეთა ასოციაცია; ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია; საქართველოს მეხორბლეთა ასოციაცია.**

განცხადებას აქვეყნებს აგრეთვე ეკონომიკური ექსპერტი ლევან კალანდაძე:

“არ ვიცი, ვინ რას ჩალიჩობს, ვინ რას ფიქრობს, ან, მით უმეტეს, ვინ რას იფიქრებს, ამ პოსტის წაკითხვის შემდეგ, მაგრამ ის რაც გიორგი გახარიას, ბიზნესომბუდსმენის ირგვლივ დღეს ხდება, კარგად დადგმული სპექტაკლი და ტრაგიკომედია მგონია. უბრალოდ, სირცხვილია...

დიახ, მე ვიცნობ გიორგი გახარიას. შევხვედრივარ არაერთხელ, გვისაუბრია და განგვიხილია არაერთი პრობლემური ეკონომიკური თუ ბიზნესქეისი.

ეს არის ადამიანი, რომელიც ბიზნესის ინტერესების გამო არასდროს ერიდება “დარტყმების” საკუთარ თავზე აღებას, ბიზნესის ინტერესების გამო არ ერიდება არაპოპულისტური ნაბიჯების გადადგმას და, თუ საჭიროა, ბოდიშის მოხდასაც კი.

დიახ, მე ვიცნობ მას კარგ, წესიერ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე სახელმწიფო მოხელედ.”

ამგვარი გამოხმაურება უამრავია, რომელთაც, სამწუხაროდ ადგილის სიმწირის გამო ვერ ვაქვეყნებთ!

ნატო-აშშ-ს ჰეგემონიის და კოლონიზაციის ინსტრუმენტი ამერიკული ჰეგემონია, აშშ, ბრუკ ადამსი, ვუდრო ვილსონი, ნატო

საბჭოთა კავშირის დაშლის და შესაბამისად ბიპოლარული საერთაშორისო წესრიგის რღვევის შემდეგ, „ახალი პერიოდის“ ინტელექტუალები და პოლიტიკოსები პოსტკომუნისტური და განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა პატარა რესპუბლიკების მოსახლეობას ნატო-სთან დაკავშირებით, კვებავდნენ სრულიად აბსურდული ილუზიებით. ისინი ამ უკანასკნელის მოსახლეობას, უნერგავდნენ აზრს ნატოში ინტეგრაციის აუცილებლობაზე და მისგან მომდინარე სიკეთეებზე. თან ეს აზრი მიწოდებული იყო მოსახლეობისადმი ისე, თითქოს ნატო გახლდათ ორგანიზაცია, რომელიც საკუთარი ინტერესების გარეშე დაიცავდა ზემოთ აღნიშნული ქვეყნების უსაფრთხოებას და ტერიტორიულ მთლიანობას, თან რაც ყველაზე მთავარია უზრუნველყოფდა მათ სუვერენიტეტს, ანუ დამოუკიდებლობას. ეს უკანასკნელი მიდგომა კი ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას, ვინაიდან ნებისმიერი პატარა ქვეყანა, რომელსაც არ შესწევს უნარი დაიცვას საკუთარი უსაფრთხოება და ამისთვის უხმობს სხვას მოკავშირედ, მისი სუვერენიტეტი ყოველთვის შეიზღუდება მისი „მოკავშირე“ დიდი მოთამაშის სასარგებლოდ: „ქვეყანას რომელსაც არ შესწევს უნარი, დამოუკიდებლად დაიცვას საკუთარი თავი, შეუძლებელია ვუწოდოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო“ – ზბიგნევ ბჟეზინსკი.

შესაბამისად, როდესაც საუბარი მიდის ნატოზე და მასში პატარა ქვეყნების ინტეგრაციაზე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ნებისმიერს სახელმწიფო რომელიც მასში ინტეგრირდება თავის სუვერენიტეტს თმობს ნატოს, თუ უფრო კონკრეტულები ვიქნებით აშშ-ს სასარგებლოდ, ვინაიდან ნატო უპირველესად გახლავთ შეერთებული შტატების ინტერესების განმახორციელებელი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია.

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკა რომ მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკურ საქმიანობასთან, ამაზე არა მგონია ვინმეს ეჭვი შეეპაროს. იმის გასაგებად, თუ რატომ წარმოადგენს პირველის საქმიანობა, მხოლოდ შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის გაგრძელებას, ჩემი აზრით, ამისთვის აუცილებელია მოხდეს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების და იმ დოქტრინალური წყაროების შესწავლა, რომლებიც განსაზღვრავდნენ და ღღესაც დიდ გავლენას ახდენენ აღნიშნული ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში.

სამეცნიერო წრეებში აშშ-ს ჰეგემონისტური მისწრაფებების პირველი გამოვლინებას უკავშირებენ 1823 წლის მონროს დოქტრინას. ამ დოქტრინით ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთპიროვნული დომინანტური პოზიცია უნდა გაემყარებინა დასავლეთ ნახევარსფეროში. მონროს განცხადებით: **„ამერიკული კონტინენტები ამიერიდან არ უნდა განიხილებოდეს, რომელიმე იმპერიის მხრიდან, როგორც ობიექტი მომავალი კოლონიზაციისათვის. ნებისმიერი მცდელობა ევროპული სახელმწიფოებისა, ჩაერიონ ამერიკის კონტინეტის სახელწმიფოთა საქმეებში, შეერთებული შტატები ჩათვლის, როგორც მტრულ პოლიტიკურ აქტს, მათ მიმართ.”** თუმცა მონროს დოქტრინით აშშ ამავე დროს უარს ამბობდა ევროპულ საქმეებში ჩარევისაგან, ანუ იზოლაციონიზმის პოლიტიკას ემხრობოდა. თუმცა, როგორც ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, მონროს დოქტრინა გახდა უმთავრესი იარაღი პირველ რიგში დასავლეთ ნახევარსფეროს გეოგრაფიული სივრცის კონტროლისა და მისი მეშვეობით მოხდა ამერიკის გარდაქმნა დიდ კონტინეტურ იმპერიად. ეს გახლდათ პირველი ნაბიჯი ამერიკის მსოფლიო ჰეგემონობის საქმეში. მართალია მონროს დოქტრინა გულისხმობდა მხოლოდ ამერიკული კონტინეტების მოქცევას მისი გავლენის სფეროს ქვეშ, მაგრამ თუ გადავხედავთ შეერთებული შტატების პრეზიდენტების თეოდორ რუზველტის და ვუდრო ვილსონის მრჩევლის, ფრედერიკ ჯეკსონ ტერნერის კონცეფციას **„მოძრავი საზღვრების“** შესახებ, დავინახავთ რომ შტატების პოლიტიკური ისტებლიშმენტი არ აპირებდა ამერიკის კონტიტენტით შემოფარგვლას. კერძოდ, ტერნერი აღნიშნავდა, რომ: „შეერთებული შტატები როგორც სახელმწიფო არის გეოპოლიტიკური პროცესი ექსპანსიისა და მუდმივი გადაადგილება ჰეგემონობის საზღვრებისა დასავლეთით, პირველ რიგში ატლანტიკის ოკეანემდე, შემდეგ კი ატლანტიკის ოკეანის მეორე მხარესაც, ევრაზიაში“.

ამ კონცეფციიდან ნათლად ჩანს, რომ თავიდანვე ამერიკის შეერთებული შტატების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა გლობალური ჰეგემონობის მოპოვება. ფედერიკ ტერნერის აზრს სრულად იზიარებდა შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი. ეს იდეალისტი პრეზიდენტი, რომელიც უნივერსალური თამაშის წესების დამკვიდრებას ცდილობდა, ვერსალის კონფერენციაზე პარიზში თავის მრჩეველთან საუბრის მერე და მისი გავლენით წერდა: **„ამერიკის კონტინენტი შეერთებულ შტატებს უკვე დაპყრობილი გვაქვს და ემსახურება ჩვენი ცივილიზაციის ინტერესებს. აშშ-მ უნდა მიაქციოს უკვე ყურადღება სხვა საზღვრებს“.** აქვე, დამატების სახით უნდა ითქვას, რომ პარიზში, ვერსალის კონფერენციაზე მან შემდეგი რამ განაცხადა: „მე გვთავაზობთ, რომ მსოფლიოს ყველა ნაციამ ერთბაშად და ერთსულოვნად მიიღოთ პრეზიდენტ მონროს დოქტრინა, როგორც დოქტრინა მთელი სამყაროსათვის.“

თუ მონროს დოქტრინას, ზემოთ მოყვანილი ერთი პატარა პასაჟიდან გამომდინარე გავაანალიზებთ და განვაზოგადებთ მთელ მსოფლიოზე, მაშინ ერთ დასკვნამდე მივალთ. ამერიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მოეხდინა დასავლეთ ევროპის უნივერსალიზაცია ერთიანი ფასეულობათა სისტემის ქვეშ, ამის საფუძველზე გაეერთიანებინათ იგი და დაექვემდებარებინათ ამერიკის ერთიანი კონტროლის მექანიზმისთვის, ანუ შექმნილი ყოფილიყო ერთიანი დასავლური პოლუსი, ხოლო პოლუსს რომ მართვის ერთი ცენტრი აქვს, ეს ცნობილია ყველაზე ნაკლებ პროფესიონალი მსოფლიო პოლიტიკის სპეციალისთვისაც კი. აღნიშნულ არგუმენტს ამყარებს ვერსალის კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგაციის ხელმძღვანელი და მაშინდელი პრემიერ მინისტრის ჟორჯ კლემანსოს სიტყვებიც: **„პრეზიდენტი ვილსონი თვლის, რომ იგი მსოფლიოს პრეზიდენტია.“** ამ სიტყვების შემდეგ უკვე ცხადი ხდება, რომ ამერიკელების აქტიური მონაწილეობა, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის პოლიტიკური მოწყობის საკითხებში, გულისხმობდა ევრაზიაზე, მის დასავლეთ ნაწილში შეექმნათ დასაყრდენი მომავალში ამავე კონტინენტზე გაბატონებისათვის, რასაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწიეს კიდევაც.

ევრაზიაზე გაბატონება რომ შეერთებული შტატების უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს, ამაზე არაერთი წამყვანი ამერიკელი გეოპოლიტიკოსი წერდა იმ პერიოდში, ალფრედ მეხენით დაწყებული და ბრუკ ადამსით დამთავრებული. ჩვენი კვლევიდან გამომდინარე ალბათ ყველაზე აღსანიშნავია ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორის და სახელმწიფო მდივნის მრჩევლის ბრუკ ადამსის ნაშრომი, რომელიც მან 1901 წელს დაწერა: **„ახალი ინდუსტრიუილი რევოლუცია“**, სადაც ყურადღებას ამახვილებს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტზე. კერძოდ, საუბრობს ევრაზიაზე ბატონობისთვის და ამერიკის ერთპიროვნული ჰეგემონობის გზაზე რუსეთთან კოლიზიის გარდუვალობაზე: **„ამერიკელებმა უნდა გაიგონ, რომ ეს იქნება სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის ომი, ბრძოლა არა რომელიმე ნაციის, არამედ მთლიანი კონტინეტის წინააღმდეგ. მსოფლიოში არ არის სიმდიდრისა და იმპერიის ორი ცენტრი. ერთმა ორგანიზმმა უნდა დაამარცხოს და გაანადგუროს მეორე. სუსტი ორგანიზმი უნდა დაიღუპოს“.**

შეერთებული შტატები და მისი პოლიტიკური კლასი რომ ერთპიროვნული ჰეგემონობისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ და ეტაპობრივად მიიწევდა, კარგად ჩანს ფართოდ ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსის და ამერიკის საგარეო პოლიტიკის მკვლევარის მარტინ ლეფევრის ნაშრომიდანაც: **„რომელი ცივი ომის დასასრული?“** აღნიშნული ავტორი მიიჩნევს, რომ ცივი ომი იყო სამჯერ: პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მეორეს მისი აზრით ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და უკანასკნელ პერიოდს ცივი ომისას უკავშირებს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველი ცივი ომის შემდეგ, შეერთებული შტატები მისი აზრით აფართოებდა საკუთარი გავლენის სფეროს.

იგი პირველ ცივ ომს უკავშირებს აშშ-ს ბრძოლა ევროპულ ქვეყნებთან, რომლის მიზანს წარმოადგენდა დომინირებადი მდგომარეობა მოეპოვებინა ომის შემდგომ ევროპაში, როგორც ეკონომიკურ ასევე პოლიტიკური ხასიათის. მისი აზრით პირველი ცივი ომი დასრულდა მარშალის გეგმით და ნატოს შექმნით. ე.ი. ამერიკის დომინანტური მდგომარეობით დასავლეთ ევროპაში. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, მეორე ცივ ომში გამარჯვებით მან გაიმყარა ნატოს საშუალებით პოზიციები აღმოსავლეთ ევროპაში და ცდილობს უფრო მეტად ევრაზიის სიღრმეში შეჭრას, ანუ პოსტსაბჭოთა სივრცის ათვისებას და საკუთარი კონტროლისათვის დაქვემდებარებას (საქართველო და უკრაინა ამის ნათელი მაგალითია). პოსტსაბჭოთა სივრცის ათვისებით კი, ფაქტობრივად მოხდება უნიპოლარული და შეერთებული შტატების კონტროლზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგის შექმნა.

ამერიკელი იქნტელექტუალების მიერ შექმნილი დოქტრინებზე დაყრდნობით შესაძლოა რამოდენიმე ასპექტის გამოყოფა:

* აშშ-ს მიზანს წარმოადგენს მსოფლიო ჰეგემონობის მოპოვება და უნიპოლარული სისტემის ფორმირება.

* მსოფლიოში ერთპიროვნული ჰეგემონური მდგომარეობის მოპოვებისათვის აუცილებელია ევრაზიაზე სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკურ კონტროლის დაწესება.

ზემოთ მოცემული დოქტრინალური წყაროების ანალიზის შემდეგ, ნათლად ჩანს თუ რას ემსახურება ნატოს გაფართოება. მისი მიზანი, მხოლოდ ამერიკის ჰეგემონობის განმტკიცებას წარმოადგენს მთელ მსოფლიოში და არა რომელიმე პატარა სახელმწიფოსათვის დახმარების გაწევას, დამოუკიდებლობის მოპოვებაში და მის უზრუნველყოფაში. ამიტომ, როდესაც ნატოში ინტეგრაციას და სუვერენიტეტის განმტკიცებას უკავშირებენ ერთმანეთს, რბილად რომ ვთქვათ საკითხის არცოდნასთან გვაქვს საქმე.

ირაკლი უბილავა

არნო ხიდირბეგიშვილი: “როდემდე ვკვებოთ “კარალევა მარგო” ავლაბრის ცირკში?!

სრული სისულელეა, თითქოს საქართველოს უწინდებურად ექსპრემიერი ივანიშვილი მართავს! ის არ მართავს თავის ხელდასხმულებსაც კი – აგერ რას სჩადიან პრეზიდენტი მარგველაშვილი და თავდაცვის ექსმინისტრი ალასანია! თვით პრემიერმა ღარიბაშვილმაც კი შეცვალა ბიძინა ივანიშვილის მიერ დანიშნული მინისტრების ნახევარი... დიახ, შინაგან საქმეთა მინისტრი გომელაური მისი პირადი დაცვის უფროსი იყო, ხოლო ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი ჯავახიშვილი – მისი ბანკის “ქართუს” პრეზიდენტი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საუკეთესოები არიან! მილიარდერები უძვირფასესს – თავის სიცოცხლესა და ფულს – უმაღლეს პროფესიონალებს ანდობენ! განა ცუდია, რომ ახლა ისინი სახელმწიფოს – ანუ მთელ ქართველ ხალხს ემსახურებიან?!

რაც შეეხება მარგველაშვილს: სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოში მოსახლეობის 99 პროცენტს კონსტიტუცია არ წაუკითხავს! სხვაგვარად, ეცოდინებოდათ, რომ 2013 წლის ოქტომბრიდან პრეზიდენტი ქვეყნის პირველი პირი აღარ არის. საქართველოს პრეზიდენტი ისევე, როგორც გერმანიის პრეზიდენტი, კონსტიტუციით, ნომინალური ფიგურა – სახელმწიფოს მეთაურია და არა ამ სახელმწიფოს ხელისუფლების მეთაური! იმავე კონსტიტუციის თანახმად, ფორმალურ (იმავე ზიცთავმჯდომარე) მარგველაშვილს მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით, ანუ პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის სანქციით შეუძლია მოლაპარაკებების წარმოება სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე ხელშეკრულებების დადება.

საქართველოს პრეზიდენტის ლეგიტიმურობა არაფრით განსხვავდება პარლამენტის ნებისმიერი არჩეული წევრის ლეგიტიმურობისგან, მითუმეტეს, რომ ყველა ისინი “ლეგიტიმურად” არიან არჩეული ქართველი ხალხის მიერ მხოლოდ ივანიშვილის პატივისცემით, რომელმაც სააკაშვილი დაამხო.

პრეზიდენტი მარგველაშვილი ინგლისის დედოფალი არ არის, ხოლო ავლაბრის სასახლე ისევე, როგორც ქუთაისის პარლამენტი, სააკაშვილის მიერ ხალხის მილიარდებით არის აგებული და არ უანდერძებიათ იგი მარგველაშვილისთვის გვირგვინოსან წინაპრებს! ამიტომ უნდა დატოვოს დუშელმა “ალტრუისტმა” 10 ათას კვმ-იანი მიტაცებული შენობა, რომელიც თავისი გაბარიტებით თეთრ სახლსაც ჩრდილავს და გადავიდეს მთავრობის მიერ შეთავაზებულ შენობაში. უმჯობესია – სამთავრობო კანცელარიაში, როგორც ამას გვპირდებოდა მარგველაშვილი თავისი პრეზიდენტობის გარიჟრაჟზე. ჯერ კიდევ 2013 წელს. თუმცა, მანამდე საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის რეზიდენციის ახალი ადგილმდებარეობა უნდა დააფიქსიროს კონსტიტუციაში მეორე ცვლილებასთან ერთად: პარლამენტის დისლოკაციის ადგილად, რომლის კომიტეტები რახანია ისედაც თბილისში მუშაობენ, კვლავ უნდა დაფიქსირდეს ისტორიული შენობა რუსთაველზე. ზემოხსენებული საკონსტიტუციო ცვლილებების კვალდაკვალ მარგველაშვილთან უკვე აღარაფერი იქნება სახვეწარი – საქართველოს “**მთავარსარდელი**” ან დაემორჩილება ქვეყნის კონსტიტუციას, ან გაემგზავრება სააკაშვილთან კიევში – 26 მაისის აღლუმის მისაღებად. ხოლო იმისათვის, რომ მომავალში აღარ იყოს საკამათო – ჩატარდეს თუ არა სამხედრო აღლუმები თბილისში და ვინ უნდა სარდლობდეს ამ აღლუმებს, აუცილებელია კონსტიტუციაში მესამე შესწორების შეტანაც: უმაღლესი მთავარსარდალი უნდა იყოს სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი – საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მთავრობის მეთაური, მინისტრთა კაბინეტის მენეჯერი და კოორდინატორი, სადაც შედიან ყველა სამთავრობო სტრუქტურის, მათ შორის, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვალები.

***P.S.** 2013 წელს, ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ქართველი პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭია გვაფრთხილებდა: “თუ დამტკიცებულია მმართველობის საპარლამენტო მოდელი, მაშინ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს! ერთდროულად ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი ფსევდოდემოკრატიული დემაგოგიაა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა უნდა იყოს, ანუ მხოლოდ მოაწყოს მიღებები დღესასწაულებზე, ჩაიბაროს რწმუნების სიგელები ელჩებისგან, ატაროს ჰალსტუხი და გაიბღინძოს. საქართველოს არა აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურთა შენახვის ფუფუნება! პრეზიდენტის ფუნქციები უნდა განისაზღვროს ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე, რომელთა გადასაჭრელადაც პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის, ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის საჭიროა მესამე პირი ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლო ეშელონიდან, ანუ პრეზიდენტი. თუმცა, ამ შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ სტატუსს, არამედ პიროვნულ საკითხსაც. ახალი პრეზიდენტი არაფრით არ უნდა იყოს დაკავშირებული წინა რეჟიმებთან, რომლებიც ჩვენი პარტნიორების წარმოსახვაში ომთან და სისხლთან ასოცირდება. სასურველია, იგი მათთვის პოზიტიური კუთხით იყოს ცნობილი, თუნდაც იყოს აბსოლუტურად ახალი სახე. მთავარია, პრეზიდენტი აცნობიერებდეს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას – 1-2 წლიწადში ვითარების კარდინალურად შეცვლას!”*

ალექსანდრე ჭაჭიას მაშინ ყური არ დაუგდეს და განვლილ პერიოდში სიტუაცია მხოლოდ უარესისკენ შეიცვალა – აფხაზთმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა ხელი მოაწერეს სტრატეგიულ პარტნიორულ შეთანხმებებს რუსეთთან. ჩვენ კი ძველებურად ვკვებავთ “კარალევა მარგოს” პრეზიდენტის ადმინისტრაციას და უფუნქციო უშიშროების საბჭოს მინისგუმბათოვან ავლაბრის ცირკში, რომელსაც ახსოვს სააკაშვილის თავაწყვეტილი ორგიები!

არნო ხიდირბეგიშვილი,
საქინფორმის მთავარი რედაქტორი

ᲠᲔᲖᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ



მსოფლიო კულტურის მატიანეში დაიხურა ერთი დიდი ფურცელი – ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა მსოფლიო კინოს პატრიარქმა რეზო ჩხეიძემ, რეჟისორმა, რომლის ნატიფი ხელით ჩამოქნილმა ჯარისკაცის მამამ დაამარცხა ყველა ომი, რომლის მიერ გამოძერწილმა "ღიმილის ბიჭებმა" საკუთარი სიცოცხლის ფასად გაიმარჯვეს მტერზე, რომლის გმირმა მოხუცმა ადამიანმა მთელი საქართველო შეძრა ხეჭეჭურის ნერგების ძებნაში, რომლის მაგდანა და მისი ობლები დღესაც მისტირიან წართმეულ ლურჯას, რომლის გიორგი თორელი 300 არაგველთა მონდომებითა და თავგანწირვით იცავს ქართულ მიწას, რომლის მიერ ხელდასხმულმა ბაგრატიონმა საქართველო ქრისტეს საფლავიდან წამოღებული სანთლის შუქით გააცისკროვნა...

მსოფლიო კინოს მშვენებას ჯინა ლოლობრიჯიდას ერთხელ უთქვამს: "ბედნიერი ვარ, რადგან იმ ხელს ვკოცნი, რომელმაც ჯარისკაცის მამა შექმნაო!"

ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი!

დიდმა იაპონელმა კინორეჟისორმა აკირა კუროსავამ რეზო ჩხეიძე მსოფლიოს ყველა ჯარისკაცის მამად აღიარა.

ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი!

მსოფლიო კინოს გრანდმა ფედერიკო ფელინიმ ერთხელ მაღალი ტრიბუნიდან განაცხადა: "ჯარისკაცის მამის" შემდეგ ომის თემატიკაზე კინოსურათის გადაღებას აზრი არა აქვს, რადგან ახალს ვერაფერს იტყვიო.

ამ სიტყვებითაც ყველაფერია ნათქვამი!

დღეს რეზო ჩხეიძის მიერ რუდუნებით შექმნილი ყველა გმირი ისტორიის კუთვნილებაა, სამარადჟამოდ ჩაკეტილი გალერეის ბინადარი, რადგან მათ აღარასოდეს შეემატებიან ახალი გმირები, ისეთივე ლამაზები და საინტერესონი, როგორებიც იყვნენ საულია და ფუნდუ, დონ კიხოტი და სანჩო პანსა, მაია წყნეთელი და "ჩვენი ეზოს" ბინადარი ციცინო, სერგო ზაქარიაძის მოხუცი მეზღვაური და სხვანი და სხვანი.

დღეს ეს გმირები ობლები არიან, რადგან მათ მოუკვდათ მამა, ჭეშმარიტი ჯარისკაცის მამა, რომელიც, მიუხედავად შთამბეჭდავი ასაკისა კიდევ ახალი ეკრანული სახეების შექმნას გეგმავდა. მოძალებულ წლებს არ ეპუებოდა, ძველებური შემართებით მუშაობდა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებთან, უზიარებდა მათ ზღვა გამოცდილებას, დიდი კინოსკენ მიმავალ გზას უკაფავდა...

ამიტომ გვიჭირს შეგუება იმ აზრთან, რომ რეზო ჩხეიძე ცოცხალი აღარ არის!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐ, ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ, ᲖᲐᲣᲠ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲝᲑᲐᲚᲘᲐ, ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ, ᲕᲘᲙᲐ ᲪᲐᲐᲕᲐ, ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ, ᲝᲗᲐᲠ ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐ, ᲑᲝᲜᲓᲝ ᲯᲘᲫᲘᲐ, ᲛᲐᲛᲐᲜᲢᲘ ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐ, ᲪᲘᲠᲐ ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐ. ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲝᲠᲓᲣᲐ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲐ, ᲒᲣᲚᲑᲐᲐᲗ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ, ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ, ᲑᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ, ᲑᲘᲕᲘ ᲡᲝᲛᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲣᲙᲣᲠᲘ ᲨᲘᲨᲘᲐ, ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲮᲐᲠᲫᲣᲐ, ᲨᲐᲣᲨᲢ ᲜᲐᲓᲐᲠᲐᲘᲐ, ᲑᲘᲝ ᲑᲝᲑᲔᲩᲘᲐ

ᲚᲐᲓᲝ ᲫᲘᲠᲘᲐᲡ ᲑᲚᲝᲒᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲗᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲘᲨᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ

ზუგდიდში განთავსებული დევნილები რამდენიმე დღეა საპროტესტო აქციებს მართავენ. ისინი მიიჩნევენ რომ ახლადაშენებული დევნილთა საცხოვრებელი ბინები არაკანონიერად იქნა განაწილებული. შეიძლება ითქვას რომ არის ამაში ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ არა იმ დოზით რასაც დევნილები და მათი მხარდამჭერი „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები აცხადებენ.

სააკაშვილის რეჟიმის მიერ დათრგუნულ დევნილებს ათ წელზე მეტია ზუგდიდში საპროტესტო აქციები არ ჩაუტარებიათ. „ნაცები" მათ ისე ექცეოდათ, როგორც მონებს, როცა მოუნდებოდათ გამოყრიდნენ მათ შენობებიდან და სადაც მოესურვებოდათ იქ ჩაასახლებდნენ. (თბილისიდან გამოყრილი დევნილები უკაცარიელ ფოცხოში ჩაასახლეს) მსგავსი რამ ახალ ხელისუფლებას არ ჩაუდენია, პირიქით მათთვის სასურველ ადგილებში ასახლებს მათ, მიუხედავად ამისა დევნილთა სრული უმრავლესობა ზუგდიდში მიშასა და „ნაცების" მოტრფიალეა. ყველა რანგის არჩევნებში დევნილები „ნაცებს" უჭერდნენ მხარს და ალბათ მომავალშიც მათ დაუდგებიან გვერდით.

ახლანდელ საპროტესტო აქციებშიც ისინი ერთად იდგნენ და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ნაცები დევნილების მიმართ უდიერ მოპყრობაზე ალაპარაკდნენ. დევნილები კი ბინების არასწორად განაწილებას აპროტესტებენ. გავრელებული ვერსიით, რაღაც დოზით, კორუფციული გარიგებები ე.წ. ფულიან დევნილებს, სოციალური დახმარების სააგენტოსა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ცალკეულ თანამშრომლებს შორის მართლაც არსებობს. კერძოდ, დევნილთა სამინისტროს თანამშრომლებმა მათთვის სანდო დევნილები დააკვალიანეს თუ როგორ და რა ფორმით მოეპოვებინათ შესაბამისი ქულები, რომლებიც მათ ბინების მიღების შესაძლებლობას მისცემდათ. დაკვალიანებული დევნილები მართლაც ამ გზით იღებდნენ მაღალ ქულებს, სოციალური სააგენტოს თანამშრომლები კი მათ „უპრავებდნენ" ამ ქულებს და ასეთი კატეგორიის დევნილებმა ბინები მიიღეს, არადა ზუგდიდში ყველა დევნილი თითქმის ერთმანეთს იცნობს და იციან ვინ არის შეძლებული და ვინ ცხოვრობს გაუსაძლის პირობებში.

ზუგდიდში სამასოცმა დევნილმა ოჯახმა პრესტიჟულ ადგილზე კომფორტული ბინები მიიღო, განაცხადი კი ოთხიათასს აღემატებოდა. დიდი იყო სურვილი ამ კეთილმოწყობილი ბინების მიღებისა. აქ კი, როგორც აღვნიშნეთ, ზემოთაღნიშნული კორუფციული სქემა ამოქმედდა. როგორც ამბობენ, ამ გზით დაახლოებით ოცდაშვიდამდე ოჯახია შესახლებული და მიმდინარეობს ხელახალი შემოწმებები ამ ე.წ. საეჭვო ოჯახების მიმართ. გავრცელებული ვერსიით **„ნაცებმა"** და მათთმა მხარდამჭერებმა სიტუაციის დაძაბვის მიზნით მათი კუთვნილი ძვირადღირებული ავტომანქანები დევნილთა ახლადაშენებული კორპუსების წინ დააყენეს. ჩაკეტეს მანქანები გადაუღეს სურათები და ატეხეს აუიოტაჟი – **„ხომ ხედავთ როგორ მდიდარ დევნილებს მისცეს ბინები ამ ახალ კორპუსებში, გაუსაძლის პირობებში მყოფნი კი გარეთ დატოვესო."**

ახლა რაც შეეხება ზუგდიდში განთავსებულ ერთერთ სტრუქტურას, რომელსაც არანაირი ცვლილება არ შეხებია და **„ნაციონალური მოძრაობისა"** და მიშას მხარდამჭერებითაა გამოტენილი. ამ სტრუქტურას ქვია **„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ზუგდიდის წარმომადგენლობა".** სათავეში ამ წარმომადგენლობას უდგას მიშას დროინდელი გია ბარამიას კადრი, რომელსაც გავრცელებული ვერსიით ლობირებს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი. (ორივენი ყოფილი პოლიციელები არიან). თუ რაიმე სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები არ იქნა განხორციელებული ხელისუფლების მიერ ამ სფეროში და საერთოდ დევნილებთან მიმართებაში არ შეიცვალა დამოკიდებულება დევნილები და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა ისევ მიშასა და „ნაცების" გვერდით იქნებიან.

ᲚᲐᲓᲝ ᲫᲘᲠᲘᲐ,
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

P.S. **ბატონი ლადოს გულისტკივილი სავსებით გასაგებია, რადგან ავადსახსენებელი ნაცებისა და მათი დორბლიანი ბელადისადმი სწორედ დევნილები უნდა იყვნენ განწყობილი უარყოფითად, რადგან სწორედ ამ ანტიქართველების მმართველობის ჟამს გადაიწურა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დევნილების მშვიდობიანად დაბრუნების იმედი და დამატებით 150 სოფელიც დაიკარგა. მაგრამ, როგორც ჩანს, სამეგრელოში ჯერ კიდევ დიდია ნაციონალების გავლენა, რასაც მოწმობს მომდევნო პუბლიკაცია:**

ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ: ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲑᲔᲬᲕᲘᲡ ᲩᲔᲥᲛᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ ᲐᲩᲣᲥᲔᲡ

"ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ" მხარდამჭერებმა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების, ეკა ბესელიასა და გია ვოლსკის ზუგდიდში ჩასვლა გააპროტესტეს. აქციის მონაწილეებმა ეკა ბესელიას პროტესტის ნიშნად თეთრი ბეწვის ჩექმა და წითელი ბარათი აჩუქეს.

"ნაციონალური მოძრაობის" 200-მდე მხარდამჭერი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შენობის წინ დადგა. ისინი უმრავლესობის წევრებთან შეხვედრას ითხოვდნენ, რისი საშუალებაც მათ სამართალდამცავებმა არ მისცეს. აქციის მონაწილეებს შორის ანაკლიის მცხოვრებლებიც იყვნენ, რომლებიც უმრავლესობისგან ანაკლიის შეჩერებულ პროექტებზე ინფორმაციას მოითხოვდნენ.

"ძალიან დამძიმებულია კრიმინალური სიტუაცია და ეს ხელისუფლება უნდა გადადგეს. გია ვოლსკი არის ეფესბეს აგენტი", – განაცხადა **"თავისუფლების და მხარდაჭერის ცენტრის"** წარმომადგენელმა ლევან თორიამ.

უმრავლესობის წევრებთან შეხვედრას შოთა მესხიას სასწავლო უნივერსიტეტში დაახლოებით 300-მდე ადამიანი დაესწრო. აქ იმყოფებოდა სამეგრელოს გუბერნატორი ლევან შონია, ზუგდიდის მერი ირაკლი გოგოხია, ქალაქის და რაიონის საკრებულოს თავმჯდომარეები მერაბ ქვარაია და ლაშა გოგია და რაიონის გამგებელი ედიშერ თოლორაია. ფრაქცია **"ქართული ოცნების"** დეპუტატები ზუგდიდის მოსახლეობას შეხვდენენ.

ადგილობრივებს საპარლამენტო ფრაქციის საქმიანობა ფრაქციის ხელმძღვანელებმა გააცნეს. ბესელიამ შეკრებილებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის გასული წლის მუშაობის ანგარიში წარუდგინა.

"ქართულ ოცნებაში" ზუგდიდში შეხვედრის დაგეგმვასა და **"ნაციონალური მოძრაობის"** მიერ ანტიკორუფციული კომიტეტის გურჯაანიდან სამეგრელოში გადანაცვლებას შორის კავშირს უარყოფენ. მათი თქმით, აღნიშნული შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაგეგმეს.

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ისტორიას გითირანა,
თეს მუჭო მიარჩქვან?!
შხვეფ უმოსო იკვირანა,
სი იძახუქ, მიაშქვან!

ვავა, ლიბას ვაგშამირთას,
„ლ" ი ი დო „მ" რენია,
ათაშ ჭყანას გაგშაიღანც,
თე ჩიება მუ რენია.

ქორთუეფიშ ონკორალი,
მანგარ ლასიშ ტირანია.
არმენეფიშ მოგონილი,
ართიანი ვილანია.

ვარა მიქ გიმოდვეს,
ბჟაშ სქუალეფც მარგალი?
ჩქი კოლხობა მი ორდეს,
ლინჯ–ფულანდიშ თართალი.

მუ სინდიდრე ავოტეთ,
ათე ფირქეფქ შქას გობრთ.
ჩქინ საცოდალ აფსირტეშ,
ჩხე ზისხირი ტანც გობდგ.

გუბაზ მაცანცალუაფ
ხობწყარ პის გე ვილირ,
ეთი დღაშე ირთუაფ,
წყარ ზისხირო გეხვილირ.

ჯვეში ალეგორია რე:
ქინოსქიდეს მარჩხას.
კორკილქ მეხვარ მორიალეს,
იქ იშენით ქაჩამ.

მროველს მუს უჯერდით,
თქუო ბონ დო მართალ?
ქუჯიშ დიხა მუშენ რდ ,
ფარნავაზიშ გართალ?!

ᲨᲐᲠᲐ ᲕᲐᲠᲓ ᲬᲐᲑᲐᲠᲔᲚ

შარა ვარდ წაბარელ,
დუდქ ვაგშმაღინ სოლეთინ
კურკუცია გაბარეფ
ქუმოფრთი დო ხვალე ბთინ.

უკულ ჩქიმი უგინალო,
სო გიძირუქ ეკვორდინ,
ფირქეფც დუდი მუქინე დო
ჩე მუნაფეფც ქეკვოდინ.

მა გიგოდვინ ის ვაგ ქ.
მუზმა მუხურ მიფთოლორე,
ართ აკანც გიბსაბაკ ქ.
მინ მელე დო მინი მოლე.

რზაფაქ სოთინ ვაგომიტუ
ქუმკმობიჯ ქალეფინ,
გურძემ დაჩხირ გურც მინტუ,
მარა იშენ ქალეპინ.

დიხაქ ჩანარ ქუმომრულუ,
ა, ქიმერთ დო ქალეფინ,
ჭყონქ მალას ქუდმორულუ,
ქიგმოფორ ალეფინ.

შარა ვარდ წაბარელ,
დუდქ ვაგშმაღინ სოლეთინ,
კურკუცია გაბარეფ
ქუმოფრთი დო ხვალე ბთინ.

ᲖᲐᲐᲚ ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ

ᲐᲙᲝᲗᲐᲜᲐ

ჩხორიათ წენც ბჟაში კანთი,
დიო ჰავას სისონდ ვაფგ,
გური მუჭო ეკოხანტი,
ირფელ დინოხ დინიფაფგ.

მებპუნთ შოშეს მა დო ჩხანა,
ითამ, ინგარც დოლოშ ჟვერი,
მოფთხოზგნა აკოთანა,
სინთე – სქანი თოლიშ ფერი.

2014 წანა, 11 ფურთუთა

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲣᲚᲝᲠᲓᲐ

ქართული სამება კაცობრიობის სულია

რუსთაველის ვეფხისტყაოსანი სხვა არაფერია გარდა ბიბლიისა და სახარებისა, რომელიც რითმული ჟანრით აყვანილია პოეტურ სახისმეტყველებაში; – სადაც ფრიდონში იგულისხმება – სვანური ქართული ენა!

ავთანდილში იგულისხმება – მეგრული ქართული ენა!

ტარიელში იგულისხმება – იბერიული ქართული ენა!

როსტევან მეფეში იგულისხმება – ღვთის რჯული, მოძღვრება, ქართული მართლმადიდებლობა!

თინათინში იგულისხმება – ძველი აღთქმა II რჯული!

ნესტან-დარეჯანში იგულისხმება – ახალი აღთქმა III რჯული!

ფატმანში იგულისხმება – ისლამი, მაჰმადიანური რელიგია, ყურანი!

ასმათში იგულისხმება – მარიმ ღვთისმშობელი, ტარიელის მფარველი!

ქაჯეთის ციხეში იგულისხმება – მსოფლიო ათეისტური კოსმოპოლიტიკა! (იქნებ ვცდები რუსთველოლოგებო, ველოდები საპასუხო არგუმენტს).

როგორც გავიგეთ, მიმდინარე ცივილიზაციის განათლების სიტემის საწყისის ათვლა იწყება პატრიარქ ადამიდან, ხოლო პატრიარქ ადამიდან ჩვენამდე თექვსმეტი ათასი წელია გასული.

იქვე ბიბლიაში დაფიქსირებულია დრო, კაცობრიობის ბოლო სამასი ათასი წლი, ანუ ჩვენმა ველურმა აბორიგენმა წინაპრებმა სამასი ათასი წლით ადრე დაიწყეს ზოგადად სამყაროსა და თავიანთ თავზე დაკვირვება, რომელიც ორას ოთხმოცდაოთხი (284.000) ათასი წლის თავზე დააგვირგვინა პირველმა მსოფლიო განმანათლებელმა „ადამმა“ მარტივი რჯულის შექმნით.

ვიხილოთ ბიბლიაში თუ როგორ არის ეს მოვლენა ასახული.

„ამგვარად უნდა ააგო; სიგრძით სამასი წყრთა იყოს კიდობანი, სიგანით – ორმოცდაათი წყრთა, სიმაღლით – ოცდაათი წყრთა“ (დაბ. 6,15)

სამასი წყრთაში იგულისხმება კაცობრიობის ბოლო სამასი ათასი წელი. სიგანე ორმოცდაათი წყრთაში იგულისხმევა ასომთავრული დამწერლობის ორმოცი (40) ასონიშნიანი და ათი (10) რიცხობრივი სისტემა, რომელიც მოედინება კაცობრიობის ცივილიზაციის მანძილზე, ხოლო სიმაღლე ოცდაათი (30) წყრთაში იგულისხმება მაცხოვარი იესო ქრისტე, რომელმაც იქადაგა მამის საუფეველი და ახსნა მთელი მიკრო-მაკრო კოსმოსი, თუ საიდან მოვედით, სად ვართ და სად მივდივართ.

„თვით იესო როცა იწყებდა, იქნებოდა ოცდაათი წლისა“ (ლუკა 3,23)

დედამიწაზე პირველი განმანათლებელი პატრიარქ **„ადამიდან“** პატრიარქ **„ნოემდე“** მთელი რვა ათასი წელი მოიცავს ქამიტური ეპოქის სულიერ მისიას, დედამიწაზე ქამიტური ეპოქის რვაათასწლიანი სულიერი მისიის დამთავრების შემდეგ, ავტომატურად გადადის უფრო დახვეწილი ცნობიერად მაღალი ხარისხის მქონე სემიტურ ეპოქაზე, რომელმაც დედამიწაზე იარსება ხუთიათას ხუთასი წელი.

სემიტური ეპოქის ხუთიათას ხუთას წლიანი სულიერი მისიის დამთავრების შემდგომ, ანუ ჩვენგან უკუ ათვლით დაახლოებით ორი ათას ხუთასი წლით ადრე ხდებოდა სემიტური ანუ კოლხეთის მეფის **„ქუჯის“** მიერ სემიტური ცივილიზაციის სულიერი მისიის შეჩერება და როგორც წმიდა წერილებშია ნაწინასწარმეტყველები, აღმოსავლეთ საქართველოსთვის, კერძოდ ფარნავაზ მეფის დროისათვის იაფეთური ეპოქის სულიერი მისიის გადაცემა, აქედან გამომდინარე უნდა ვიცოდეთ, რომ ეს სამნი ერთია.

ყოველმა ქართველმა თუ არაქართველმა უნდა იცოდეს რომ ამ სამნი ძმათა სემი, ქამი, იაფეთის დაშორება ყოველმხრივ მიუღებელია და დაუშვებელი.

(იქ, სადღაც სამეგრელოში ვითომც სეპარატისტების მოწოდებები და შეთქმულებები, რომ სამეგრელოს ავტონომია და ცალკე გამოყოფა სურს, ეს ყველაფერი ვაი-ქართველი კაცუნების მონაჭორია და სხვა არაფერი).

სულ მალე, როცა დედამიწაზე აღიარეული იქნება **„ქრისტეს მესამე რჯული“**, მსოფლიოში ყველაფერი დაუბრუნდება თავის ღვთაებრივ საწყისს და დამყარდება საყოველთაო მშვიდობა, ამინ!

ახლა კი რამოდენიმე სიტყვით ქართულ ენასა და დამწერლობაზე, როგორც ვიცით დედამიწის ზურგზე არ არსებობს ერი, სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდეს სამსაფეხურიანი ანბანი და დამწერლობა.

როგორც ვხედავთ, ქართველ ერს გააჩნია 1. ასომთავრული, ორმოცი ასო ნიშნიანი ანბანი. 2. ნუსხა-ხუცური ოცდათექვსმეტ ასონიშნიანი ანბანი და 3. მხედრული ოცდაცამეტი ასონიშნიანი ანბანი.

როგორც ბიბლიიდან ირკვევა, მოსეს მოღვაწეობის დროს, კაცობრიობას ჰქონდა ერთი სრულყოფილი ქართული სამება დამწერლობა და ათი 25% პროცენტიანი ხარისხის მქონე დამწერლობა.

რიცხვთა კოდური სისტემა, 1,2,3,4,5,6,7,8,9 და 0 რომელსაც თანამედროვე კაცობრიობა შეცდომით არაბულს უწოდებს, არის ლაზური (ქართული) ასომთავრული ორმოცდაათი კოდის შემადგენელი ნაწილი, ანუ რიცხვთა კოდური სისტემა, ქართული ასომთავრული დამწერლობაა, რომელიც არის ტექნიკური ცივილიზაციის ფუძესაძირკველი. აღრიცხვის დოგმატური სისტემის არმქონე დამწერლობები ბიბლიის ტექსტს ვერ შექმნიდნენ. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ ივრითი არ არის ბიბლიის ავტორი, ანუ სრულყოფილი მოძღვრების ავტორია სრულყოფილი რიცხობრივ ანბანური დამწერლობა – ასომთავრული!

იუდას ტომის ნებისმიერმა წიგნიერმა და რელიგიაში ჩახედულმა პიროვნებამ იცის, რომ ბიბლიური აბრაამი ქართველია და საქართველოდან ჩავიდა იუდეაში და შეუქმნა მათ დამწერლობა და სასულიერო ინსტიტუტი.

ანალოგიურად ჩავიდა აბრაამის ძე იესო ქრისტე იუდეაში და უქადაგა მათ სასუფეველის მოძღვრება – სახარება, რისთვისაც სინაგოგას სინედრიონის უმეცარმა მღვდელმთავრებმა ჯვარს გააკრეს მესია.

მეგობრებო: საკვირველია და გასაოცარი, ის ფაქტი თუ სანამდე იქნება ადამიანის გონებაში ჭეშმარიტება დატყვევებული, როდესაც უმეცარი ქართველი მეცნიერები იბერიული ენის (იაფეთის) ძირს ეძებენ შუმერში, ნათესაობას ბასკეთში, მეგობრობას ქრისტეს მკვლელ იზრაელში, კულტურას – კულტურის არმქონე ამერიკაში, ცხოვრების წესის სისტემას – პრაგმატულ-გარყვნილ ცხოვრების წესის მოყვარულ ევროპაში და ა. შ. ის კი არ იციან, რომ კაცობრიობის ბედის გასაღები ტ-არიელი ძევს საქართველოში.

ბიბლია და სახარებაში (ძველი და ახალი აღთქმა) მოცემულია ალეგორიულ კოდირებულ ჟანრში სამყაროს შექმნა ექვს დღეში და სამყაროს აღსასრული, ასევე ცნობილია უკიდეგანო სამყაროში მიმდინარე მარადიული უწყვეტი პროცესების მცირედი ნიუანსებიც კი.

აქედან გამომდინარე, ცნობილია დედამიწაზე ახლო მომავალში მიმდინარე მოვლენები, როგორც სეისმურ-კატაკლიზმები, ასევე გეოპოლიტიკური უდიდესი მოვლენები, ასევე მზის გულში და ირმის ნახტომის გალაქტიკაში ხდება კოსმიური გადაადგილებები, რომელიც ღვთიურ ენაზე მაუწყებელია დედამიწაზე ისესო ქრისტეს მეორედ მოსვლისა.

მეგობრებო, რუსთაველი ბრძანებს: **„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“.**

დიახ: ქრისტეშობიდან III (მესამე) ათასწლეულის გარიჟრაჟზე ნაწინასწარმეტყველევია **„იესო ქრისტეს“** დედამიწაზე მეორედ მოსვლა, როგორც წმიდა წერილებშია მოცემული საქართველოდან უნდა ყოფილიყო ხმა, მაცნე მაცხოვრის მეორედ მოსვლისა.

დავუბრუნდეთ ზემოთ ნახსენებს; **„მოციქულთა დროიდან საუკუნეები გავიდა, მაგრამ სამყარო ღმრთის დიდი მოთმინების წყალობით დღესაც არსებობს. ე.ს. უფალი არა მოციქულთა არამედ სხვა ქადაგებაზე ლაპარაკობდა“.**

სწორედ სახარებაში ნახსენები **„სხვა ქადაგებანი“** იქნა დაწერილი ცამეტ წიგნად XX საუკუნისა და XXI-ე საუკუნის გასაყარზე საქართველოში, აწგანსვენებული, ბატონ მირიან ქართველის (მირონცხებული ქართველი) მიერ.

გთხოვთ გაეცნოთ ხსენებულ ღვთაებრივ ნაშრომებს, რომლებიც გაგიხსნით გზას ჭეშმარიტებისაკენ და აგარიდებთ უმეცრებას, შეიცნობთ საკუთარ თავს და შეგაყვარებთ მართლმადიდებლობას, რადგან ვერავინ ვერ დაბრუნდება მამასთან სამოთხეში ქართული სამება დამწერლობისა, ენისა და ქრისტეს მოძღვრების გვერდის ავლით! უფალი იყოს თქვენი მფარველი.

მურმან ხუბულავა

ამბები სამეგრელოდან

„აიცერი და დაიცავი“

24-30 აპრილს საქართველოში, ისევე როგორც ევროპის რეგიონის 53 ქვეყანაში, ჩატარდა იმუნიზაციის კვირეული. ღონისძიება რომელიც ყოველწლიურად ტარდება, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს მიერ იყო ორგანიზებული. იმუნიზაცია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა და ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს ჯანმრთელობის მდგომარეობას სიბრმავის, ინვალიდობის, გონებრივი ჩამორჩენილობისა და ჯანმრთელობის სხვა მძიმე დარღვევებისაგან.

იმუნიზაციის კვირეულს ხობის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის და ჯანდაცვის პირველადი რგოლების მიერ მოსახლეობის მასობრივი თავშეყრის ადგილებში, საჯარო სკოლებში, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ლექცია-საუბრები ჩატარდა იმუნიზაციის მნიშვნელობის და აცრების აუცილებლობის შესახებ, მათ დაურიგდათ ბუკლეტები **„აცერი და დაიცავი“.**

დროულად ჩატარებული აცრები დაავადებების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა.

ყულევში სალოცავი ოთახი აკურთხეს

ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის თხოვნით სოფელში ტაძრის აშენებამდე, სალოცავად, კლუბის შენობაში ერთ-ერთი ოთახი გამოიყო. აპრილის მიწურულს ფოთისა და ხობის ეპარქიის მამებმა მეუფე გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) ლოცვა-კურთხევით სალოცავი ოთახი აკურთხეს და საზეიმო პარაკლისი გადაიხადეს. სალოცავში მამა იოანე (კორძაია) პარაკლისს ყოველ კვირა დღეს გადაიხდის.

სალოცავი ოთახის კურთხევას სოფლის მოსახლეობასთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

წარმატებული ტურნირი კრივში

15-16-17 აპრილს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის ზურაბ სარსანიას სახელობის ტურნირი კრივში ჩატარდა. მსოფლიო სამოყვარულო კრივის ფედერაციის AIBA-ს წესების მიხედვით ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სასპორტო სკოლების 150 ნორჩი მოკრივე.

ტურნირი წარმატებული აღმოჩნდა განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის კრივის ჯგუფის მოსწავლეებისთვის (მწვრთნელ-ნასწავლებელი: ე. თოდუა), რომლებმაც შემდეგი შედეგი აჩვენეს:

1. **ხარამიშვილი ირაკლი** – 50 კგ წონითი კატეგორია, I ადგილი
2. **ბიბვავა გიორგი** – 66 კგ წონითი კატეგორია, IIადგილი
3. **შამათავა დათა** – 52 კგ წონითი კატეგორია, IIIადგილი

შეხვედრა „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბის“ წევრებთან

ამას წინათ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ და ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა რევაზ წულაიამ ხობის „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბის“ წევრებს უმასპინძლეს.

შეხვედრაზე, რომელსაც გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ახალგაზრდებმა ხობის მუნიციპალიტეტის თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ახალგაზრდების მიზნებზე, საჭირბოროტო საკითხებზე და მათი სამომავლოდ განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრეს.

ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა **„ახალგაზრდა ლიდერთა კლუბის“** წევრებს მადლობა გადაუხადეს აქტიურობისთვის და მათი ინიციატივების განსახორციელებლად მხარდაჭერა გამოუცხადეს.

უანგარო დონორთა აქცია

უანგარო დონორთა აქციას **„გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“** მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები შეუერთდნენ. შპს **„ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკი“**-ს წარმომადგენლები თანამშრომლების მიერ გაღებულ სისხლს ლაბორატორიულად დაამუშავებენ, დააკონსერვებენ და სხვადასხვა საავადმყოფოებში გადააგზავნიან. სისხლის ბანკთან თანამშრომლობის ფარგლებში, აქციაში გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები მონაწილეობას მომავალშიც მიიღებენ.

ხვნის სამუშაოები მარტვილში

აპრილში, მარტვილის მუნიციპალიტეტში მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ხვნის სამუშაოების განსახორციელებლად დამატებითი 6 ერთეული ტექნიკა ჩამოიყვანეს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს **„მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამის“** ფარგლებში ხვნის სამუშაოებს შპს **„მექანიზატორი“** ახორციელებს. ხვნის სამუშაოები აგროვადების დაცვით მიმდინარეობს. პროგრამის ფარგლებში წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში 12.684 ბენეფიციარია და დღეის მდგომარეობით 3.075 ჰა მიწის ფართობია დამუშავებული.

ᲐᲠᲛᲐᲖ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔ: ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘ ᲓᲘᲙᲔᲜᲡᲘᲡ – „ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲒᲐᲗᲐᲮᲡᲘᲠᲔᲑᲐᲐ!“

არ გეგონოთ, რომ ეს წინადადება „ცივი ომის” დროინდელ პროპაგანდისტულ ყალიბში ჩამოსხმული დებულებაა, ანუ თეზისი იდეოლოგიური ინსტრუქციიდან, ამონარიდი ცეკას სახელმძღვანელო ცირკულარიდან; ან – ანდრეი ალექსანდროვ-აგენტოვის – მაღალი რანგის რეფერენტისა და თანაშემწის ნაჯახირევი ფრაზა რომელიღაც გენერალური მდივნის მოხსენებაში ჩასაკვეხებლად.

არა და არა!

ეს დებულება – **„ამერიკის მისია სამყაროს გათახსირებაა”** – ეკუთვნის უდიდეს ინგლისელ მწერალთაგან ერთ-ერთს – ჩარლზ ჯონ ჰაფერ დიკენსს.

ყოველ შემთხვევაში, მიაწერენ.

მაგალითად, ასეთ აზრზე დგას რუსულენოვან ელიტურ საზოგადოებაში მიღებული და დაფასებული კინოდრამატურგი, მხატვარი, რეჟისორი და მსახიობი ალექსანდრ ადაბაშიანი, რომელსაც ეს წინადადება ამოუკითხავს თავად ვოლკონსკის **„მოგონებებში”: „საიდან არის ეს ციტატა, თავად დიკენსმა დაწერა, თუ მის პერსონაჟთაგან რომელიმემ წარმოთქვა, ჩემთვის ცნობილი არ არის”.**

ამას ამბობს ადაბაშიანი. თავად ვოლკონსკის კი ეჭვი არ შეპარვია მის ავთენტურობაში, რადგან დიკენსის (თუ მისი პერსონაჟის) გამონათქვამი სრულად ესადაგებოდა გასული საუკუნის 20-იან წლებში ევროპულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ განწყობილებას: **„მაშინ ევროპა ჯერ კიდევ ირონიულად და ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს ამერიკის ექსტრავაგანტურობას, ისეთი დაკვირვებით უყურებდა, როგორც ტრავმატოლოგი აკრობატს: იხტუნე, საჟვარელო, იკუნტრუშე, ბოლოს მაინც ჩემთან მოცოცდები”.**

არ მიცოცებულა.

არც მუხლის თავები გადაუტყავებია, ჯინსის შარვალში ჩატენილი საკუთარი ფეხების.

პირიქით! პირიქით!

ევროპამ მოიზომა, მოირგო, ჩაიცვა, რადგან მოეწონა, რომელიღაც კლონდაიკელი ოქროსმაძიებლის მიერ სატომრე ჯვალოდან შეკერილი **„სამუშაო უნიფორმა”.**

მარტო ევროპამ?

„მოხუცებულები, ბავშვები, ქალები, კაცები, იაპონელები, იტალიელები, შვედები, ნიგერიელები, კათოლიკეები, მუსლიმები, ბუდისტები, წარმართები, ყველა, როგორც ერთი, ჯინსებში გამოეწყო”.

ჯინსებმა გადევნა ჩვენთვის ხილული სამყაროდან ჯერ **„კლოში შარვლები”** – ჩაფართხუნებული შავი ერთფეროვნება, შემდეგ – სტილიაგების **„ბუთილკა”** შარვლები, რომელთა სივიწროვეში ფეხების ჩატენვა ლამის **“აზიაცკებივით”** ტალკის დახმარებით იყო შესაძლებელი.

ჯინსებმა – ორიგინალურმა, თუ **„ბოშების ბაზარზე”** გამოტანილმა ჯღანებმა, დაიპყრო სამომხმარებლო სამყარო.

ისევე, როგორც **„მაკდონალდსის”** სწრაფი კვების ობიექტებმა, **„ფასტ ფუდმა”.**

ვინ წარმოიდგენდა, რომ თბილისში, შოთა რუსთაველის ძეგლსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის, მთაწმინდის ფონზე აღიმართებოდა **„მაკდონალდსის”** პრეტენზიული სასახლე, როგორც დედაქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა?!

ვერ წარმოვიდგენდით, მაგრამ აშენდა. აშენდა და შევეჩვიეთ კიდეც.

კი შეებრძოლა იმთავითვე ცხონებული გურამ შარაძე ასეთ ალოგიკურობას – ეგებ ჯობდესო ამ ადგილზე რუსთაველის მუზეუმის აგება.

ამაოდ!

გაპარტახებული იყო იმ დროს საქართველო და მუზეუმის აშენების სახსრების კი არა, ნისიად წამოღებული თურქმენეთის ბუნებრივი გაზის ვალი კისერზე ლოდივით ეკიდა, როგორც მდინარეში დასახრჩობად განწირულს.

ვერ გეტყვით, გამოდგება თუ არა გამამართლებელ არგუმენტად, მაგრამ ფაქტია, რომ იმ სიდუხჭირეში **„მაკდონალდსის”** გარდა სხვა რეალური ინვესტორი საქართველოში შემოსვლას არც აპირებდა.

სხვა არავინ ჩანდა.

თორემ ვინ სულელს მოუვიდოდა აზრად ამ ადგილზე საზკვების რომელიმე ობიექტის დადგმა?! იყო ერთი გაჭირვებული რესტორანი **„გემო”** აქვე, აწ უკვე აღებული საცხოვრებელი სახლის სარდაფში, მაგრამ მისი **„იატაკქვეშა”** არსებობა ბოლშევიკების ავლაბრის არალეგალური სტამბის მსგავსად ქალაქის კოლორიტული შტრიხი უფრო იყო, ვიდრე თვალში გაჩხერილი სიმახინჯე.

შევეჩვიეთ-მეთქი **„მაკდონალდსს”,** გითხარით.

მაგრამ მარტო ჩვენ, თბილისელები?!

ტრადიციების ერთგული ევროპაც **„გადაძოვა”.** თუმცა ინგლისურ **„პაბებს”** ვერ მოერია.

ზემოთ უკვე ნახსენები ადაბაშიანი შენიშნავს, რომ ევროპაში პირველი **„მაკდონალდსების”** გამოჩენამ ყველა გაახალისა – გაკოტრდებიანო უცებვე! ცხვირი აიბზუეს ევროპელებმა: **„განა რომელიმე ჩვენგანი, ვინც გავიზარდეთ ჩვენს მშობლიურ (იტალიურ, ფრანგულ, ესპანურ, ინგლისურ, გერმანულ) სამზარეულოებზე საკუთარი ნებით მიირთმევს ფუნთუშას, რომელსაც შუაგულში სხვისი ნაღეჭი რეზინი აქვს ჩადებული?!”**

ეროვნული პროტესტის დონეზე აჭყავდათ **„მაკდონალდსის”** მიუღებლობა.

შედეგად კი ევროპას მთელს სხეულზე ისე დააყარა ეს **„ფასტფუდები”,** როგორც მუწუკები ახალწვეულის ცხვირზე – პარიზშიც, ელისეს მინდვრებზე, რომშიც, ესპანეთის მოედანზე და პაწია ქალაქების ქუჩების გასწვრივ.

მიჩნეულია, რომ წარმატებული ახლადგახსნილი რესტორანიც კი სამი წლის შემდეგ კოტრდება. მაგრამ **„მაკდონალდსის”** არსებობის მანძილზე არც ერთი რესტორანი არ დაუხურავთ.

სასწაულია?

არა. რადგან **„მაკდონალდსი”** ნებისმიერ ზარალიან თავის ობიექტს სხვა ათასობით მისდაგვართა მოგების ხარჯზე ინახავს.

როგორ ჰგავს **„მაშველი რგოლის”** ეს მეთოდი საბჭოთა კავშირის პერიოდში დოტაციური კოლმურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შენარჩუნების პრაქტიკას.

ახალი ხომ არაფერია ამ მზისქვეშეთში!

ეს, რაც შეეხება მატერიალურ მხარეს. ახლა სულიერებასაც მივხედოთ, კულტურასა და ხელოვნებას, რომელიც ამერიკული მასკულტურის გავლენით საყოველთაო ნორმად იქნა აღიარებული და მსოფლიოში ეროვნული ნიჭიერების განმსაზღვრელადაც კი მოგვევლინა.

ძალიან ცდილობენ.

მაგალითები თვალწინ გვაქვს ყოველკვირეული **„მაქსფაქტორების”, „ნიჭიერების”,** შოუებისა და მეგაშოუების სახით, რომელთა ფორმაც კი (პროგრამებზე ვლაპარაკობ) აშშ ტელეპრაქტიკიდან გადმოღებულ-გადმოტანილია, ცხადია, შესაბამისი ანაზღაურებით.

შინაარსითაც.

ქართული აქ პროვინციული მიბაძვის უმაღლესი დონეა, ხშირ შემთხვევაში, კივილის რეგისტრამდე ამაღლებული.

ყველა ენაზე აყივყივდნენ მიუზიკლების, ჰიტებისა და საუნდტრეკების ამერიკული ინტონაციებით.

ენების გამდიდრება ახალ ფაზაში შევიდა.

ჯერ გავიხსენოთ: **„როცა მუსიკაში იტალია ლიდერობდა, მუსიკა იტალიურად „ალაპარაკდა” – „ალეგრო”, „პრესტო”, „ვივაჩე”...** (მხიარულად, სწრაფად, ცოცხლად...). საფრანგეთში ბალეტის აყვავებას მსოფლიოში ფრანგული ტერმინების დამკვიდრება მოჰყვა: **„პა” „ნაბიჯია, ბატმან” – დაკაკუნება”, „ფუეტე”** ზმნაა, რომელიც **„მათრახის ცემას”** ნიშნავს, ჩიკორს რომ აბზრიალებს (ეგებ ვინმეს ახსოვს ბავშვების ეს გასართობი ბზრიალა).

საბჭოთა კოსმოსური ლიდერობიდან ენებში **„სპუტნიკი”** შემორჩა, პოლიტიკურიდან – **„პერესტროიკა”** და... **„კალაშნიკოვი”.**

ევროსაბჭომ ერთი ხანია **„ტროიკა”**(!) აიკვიატა.

საყველპურო ყოველდღიურობაში მაღაზიები **„მარკეტებმა”** შეცვალა, **„ბუტიკებმა”,** ყიდვა – **„შოპინგმა”.**

დღეს მსოფლიო ინგლისურად, **„ამერიკულ ინგლისურ”** ენაზე ლაპარაკობს: **„მარკეტინგი”, „მენეჯმენტი”, „ბლოკბასტერი”, „თრილერი”, „როუდ-შუვი”** და – მიდი, ვასია!

თვალებს გრიმს ვერ გაუკეთებ (თეატრალთა პოპულაციაში გავრცელებული გამოთქმაა), ენას კი ძვალი არ აქვს: **„სეილი”, „სეივი”, „ასისტი”, „სელფი”** – გახსენ და მიუშვი! – ისეთი აჯაფსანდალია, ბაბაჯანას ქოშებივით ქართული ლექსიკის მდინარეშაი რომ ჩაყარო, დატბორავს და აყროლდება.

სპორტულ პრესაში მოურიდებლად შემოიჭრა ტერმინი **„მუნდიალი”,** რომელიც ფრანგებმა ფეხბურთში მსოფლიო პირველობის აღსანიშნავად გამოიყენეს – ვიმეორებ, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის აღსანიშნავად. ჩვენმა უნახავებმა კი სპორტის ყველა სახეობაზე გაავრცელეს.

„გაათანამედროვეს” თავიანთი ლექსიკური მარაგი! **„გაამდიდრეს”** პირველწყაროს მნიშვნელობა! ხოლო ამ სიტყვის ფუძეს მეგრულიდან ქართულად ნუ მათარგმნინებთ, უხერხულია.

ანუ იმ დონის უზრდელობაა, **„რუსთაველ 2”**-ის **„ვანოს შოუში”** ანრი ჯოხაძემ რომ იკადრა გასულ პარასკევს...

ასეთი ენობრივი კაზუსები, ცალკეული ფაქტებია, სლენგისთვის დამახასიათებელი. უბედურება სისტემაა, რომელიც ენისა და ცხოვრების წესის გამალებულ ამერიკანიზაციაშია გამოხატული.

რა არის ასეთი გლობალური გავლენის მიზეზი?

მოვუსმინოთ ანალიტიკოსებს, რომლებიც ერთმანეთს ეთანხმებიან, რომ ამის უპირველესი მიზეზი არის აშშ ძლიერი ეკონომიკა და მისი აღმატებული სამხედრო-ეკონომიკური კომპლექსი.

მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ისტორიის მანძილზე არანაკლებ წარმატებულმა იმპერიებმა (პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) ვერ მოახერხეს თავიანთი კოლონიების იმ ზომამდე ასიმილირება, რაიც აშშ-მ დამოუკიდებელ ქვეყნებში (კოლონიებთან შედარებით დამოუკიდებელ სახელმწიფოებში) შეძლო.

მაშ, რა მოხდა?

ისტორიკოსები და, მათ შორის, ავტორიც, რომელიც უკვე რამდენჯერმე დავიმოწმე, დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ევროპელად ჩამოყალიბებას სჭირდება წლები. ჭეშმარიტი ინგლისელობის მისაღწევად აუცილებელია უდიდესი მოცულობის ცოდნის ათვისება, ჩვევებისა და პირობითობათა მთელი სისტემის შესისხლხორცება... საკუთარ მეორე ბუნებად ამ ყველაფრის გათავისება.

თვალსაჩინოებისთვის განგვიმარტავენ, რომ, მაგალითად, იტალიური აღორძინების ფერწერა შეიძლება გაიგო მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეისწავლი რომაულ მითოლოგიას, ბიბლიას, ისტორიას.

ასე თუ ისე მაინც.

და კიდევ უფრო გასაგებად: **„ევროპული კულტურა, როგორც თანატოლებს, ელაპარაკება მხოლოდ ხანდაზმულ, ცოდნით დამძიმებულ ადამიანებს, ვისთვისაც გასაგებია ასოცირებული აზროვნება, მინიშნება, ხელოვნების ენის კოდი”.**

მხატვრულ, მეტაფორულ აზროვნებაზეა ლაპარაკი, რომელიც **„რანკოვიჩ-ლომაიას ხროვის”** მიერ **„რეფორმირებული”** ქართული საგანმანათლებლო სისტემაგამოვლილი თაობისთვის დაუძლეველ წინაღობად არის აღმართული.

თუ ამ აზროვნებისა ვერაფერი გაიგო კომპიუტერსა და ინგლისურს დაუფლებულმა თაობამ, მართლა ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე!

ჩვენი უბედურებაა, და ხელი გინდა ამერიკისკენ გაიშვირე, გინდა ბანგლადეშისკენ, გინდა ევროკავშირის ფაფით სავსე ჯამი და **„პურის საზეიმო ულუფა”** მოგაწოდონ ორი მთელი და ერთ მეოთხედი უნციის ოდენობით.

„ამ საოცარი სანახაობით შეძრული ოლივერი საცოდავად ატირდა: გაიფიქრა, და ეს სავსებით ბუნებრივი იყო, რომ საბჭომ რაღაც სასარგებლო მიზნების მისაღწევად მისი მოკვლა გადაწყვიტა, სხვა არაფრის გამო თავს არ გამოიდებდნენ მის გასასუქებლად.

– ნუ ტირი, ოლივერ, თორემ თვალები გაგიწითლდება. ჭამე შენი ფაფა და მადლობელი იყავი! – თქვა მისტერ ბამბლმა, – ...სასწავლებლად უნდა მიგაბარონ, ოლივერ.

– სასწავლებლად, სერ? – შეეკითხა აკანკალებული ოლივერი.

– დიახ, ოლივერ, – თქვა მისტერ ბამბლმა, – კეთილ და მოწყალე ჯენტლმენებს, რომლებიც მშობლების მაგივრობას გიწევენ, ოლივერ, რადგან საკუთარი არ გყავს, სურთ სასწავლებლად შენი მიბარება, შენი ფეხზე დაყენება, და შენგან ადამიანის შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მრევლს სამი ფუნტი და ათი შილინგი დაუჯდება!..

...ცრემლის ნაკადები ჩამოუწანწკარდა ლოყებზე საწყალ ბიჭს და მწარედ აქვითინდა იგი.

– გეყოფა, – თქვა მისტერ ბამბლმა..., – მოიწმინდე თვალები ქურთუკის კოშით და ნუ აწვეთებ ცრემლს ფაფაში. დიდი უგნურებაა ეს, ოლივერ.

ეს მართლაც უგნურება იყო, რადგან ფაფაში წყალი ისედაც საკმარისად იყო”. (ჩარლზ დიკენსი, **„ოლივერ ტვისტის თავგადასავალი”**).

რა მინიშნებაა დაშიფრული ამ ნაწყვეტში, განათლებულ მკითხველს განმარტება არ სჭირდება: სამადლოდ მოწოდებული ფაფის დანახვაზე ჩვენცა გვდის ქვეშევმრდომლური ერთგულების ცრემლები.

ფაფა კი წყალწყალაა!

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

“ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ: ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ 740 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ ᲬᲐᲡᲣᲚᲘ”

“გიორგი ვაშაძემ 2007-2009 წლებში მთლიანად გააყალბა დემოგრაფიული მონაცემები”

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2014 წლის ნოემბერში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა, რამაც – **“ხუთმილიონიანი ქვეყნის”** მითი საბოლოოდ დაამსხვრია.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲪᲔᲙᲕᲐᲕᲐ, ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ: წინა აღწერის მაჩვენებელთან შედარებით, მოსახლეობის 14,7%-ით კლება დაფიქსირდა, რაც საგანგაშოა. ეს ციფრი აზუსტებს არსებულ მდგომარეობას და, უპირველესად მიგრაციულ პროცესებს, რომლებიც 90-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

შემცირებული მოსახლეობის პირობებში დადებითი მაჩვენებელი ის არის, რომ საქართველოში, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, შობადობა მაღალია. ჩვენი მონაცემებით, 2014 წელს 61.000 ბავშვი დაიბადა.

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲓᲔᲛᲝ�გᲠᲐᲤᲘ: მოსახლეობის აღწერამ კატასტროფული შედეგი მოგვცა. 2002 წლის მონაცემებთან შედარებით, 2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობა თითქმის 15%-ით შემცირდა, რაც ძირითადად, მიგრაციულმა პროცესებმა განაპირობა. ბევრი ადამიანი წავიდა ემიგრაციაში 1989-2002 წლებში. როდესაც ელვისებურად დაიშალა საბჭოთა კავშირი, საქართველოდან ბევრი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი წავიდა ისტორიულ სამშობლოში, რაც ასევე მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა, უკეთესი საცხოვრებელი პირობების ძიებამ და შეიარაღებულმა კონფლიქტებმა განაპირობა.

თუ 1989 წელს საქართველოში 341.172 რუსი ცხოვრობდა, 2002 წლისთვის მათი რაოდენობა 100.071-ს შეადგენდა. სომხების რაოდენობა 1989 წელს 437.221, ხოლო 2002 წლისთვის 281.229 კაცით განისაზღვრებოდა. 100 ათასი ბერძენიდან კი 15 ათასი დარჩა საქართველოში.

ბოლო წლებში ქვეყნიდან ძირითადად ქართველები წავიდნენ, რომელთა რაოდენობამ 740 000 შეადგინა.

– მოსახლეობის 30% დედაქალაქში რომ ცხოვრობს, ეს ნორმალური მოვლენაა?

– ჩვენი დედაქალაქი თანდათან თავკომბალას ემსგავსება. თბილისში ადრე მოსახლეობის 24% ცხოვრობდა...

– აღწერით დადგინდა, რომ სოფლის მოსახლეობა თითქმის 24%-ით შემცირდა. რომელ რეგიონშია ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობა?

– 2002 წლის აღწერის მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობა 58% იყო, დანარჩენი – 42% კი სოფლისა. დღეს, ფაქტობრივად, იცლება ჩვენი რეგიონები. განსაკუთრებით შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. ასე თუ გაგრძელდა, 15 წელიწადში რაჭა-ლეჩხუმი გაუკაცრიელდება.

– გაეროს მოსახლეობის ფონდის დასკვნით შობადობის მხრივ საქართველო ევროპის ქვეყნებს შორის დაწინაურებულია.

– მოსახლეობის ბუნებრივი მატება არის, მაგრამ იმდენი არა, რაც ადრე იყო. 2020 წლიდან შობადობა შემცირდება, რადგან 1980-1989 წლებში დაიბადა 455.000 გოგონა (დღეს ისინი დედობის ასაკში არიან), ბოლო ათწლეულში კი – 236 000 და ეს მცირე რიცხვი თავს იჩენს 2019 წლიდან, როცა ისინი დედობის ასაკში შევლენ, დაიწყება მოსახლეობის კლება.

ეს პროცესი როგორმე უნდა შევაჩეროთ და მერე მოსახლეობის გამრავლებაზე ვიზრუნოთ. 2007-2009 წლებში “ნაციონალები” ავრცელებდნენ ინფორმაციას მოსახლეობის ზრდის შესახებ. სტატისტიკის ეროვნული სამსახური ძირითადად აქვეყნებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებულ მონაცემებს, ადრე მას საჯარო რეესტრი ერქვა, რომელსაც გიორგი ვაშაძე ხელმძღვანელობდა. მან მთლიანად გააყალბა დემოგრაფიული მონაცემები. “ნაციონალების” არასწორი მონაცემებით, 2007-2009 წლებში შობადობა გაიზარდა და 63 000 ბავშვი დაიბადა. ამ შელამაზებულმა მონაცემებმა რამდენჯერმე ათქმევინა პრეზიდენტს, საქართველოში შობადობის ბუმიაო და ეს ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას დაუკავშირა...

სწორედ ეს სიცრუე არის დღევანდელი პრობლემის საფუძველი!

“საუკუნის ძარცვა”: თბილისის ყოფილი პროკურორი დუმილს არღვევს

(რა ჯენტლმენური შეთანხმება შედგა სამართალდამცავებსა და “კანონიერ ქურდს” შორის)

ჩვენი რესპონდენტი თბილისის ყოფილი პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი გახლავთ. ის დღეს დუმილს არღვევს და გვიამბობს, როგორ დაუბრუნდა 40 მილიონად შეფასებული ლუკას კრანახის “მაჭანკალი” სახელმწიფოს. 10 წელზე მეტხანს ვერ მიაკვლიეს გატაცებულ ნახატს სამართალდამცავებმა, ერთ დღეს კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნახატი ქუჩაში იპოვეს.

– **“მაჭანკლის”** გატაცება მუზეუმიდან XX საუკუნის ყველაზე მასშტაბურ ძარცვად შეფასდა. 90-იან წლებში ბევრი ნამუშევარი დაიკარგა საგამოფენო დარბაზებიდან, **“მაჭანკალი”** კი ხელოვნების მუზეუმიდან გაიტაცეს. მერე უცნაურად აღმოაჩინეს – ვიღაცამ ქუჩაში დატოვა 40-მილიონიანი ნახატი.

– 1994 წლის 28-29 ივლისის ღამეს, დაახლოებით ღამის 2 საათზე, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა ხუთმა ბოროტმოქმედმა მუზეუმის მცველი სამი პოლიციელი განაიარაღა და მუზეუმიდან სამი სურათი გაიტაცა, მათ შორის – 40 მილიონად შეფასებული გერმანელი მხატვრის, ლუკას კრანახის **“მაჭანკალი”**.

საქართველოში არსებული ყველაზე ძვირად ღირებული შედევრის გატაცება კრიმინალური სამყაროს ერთგვარ გამოწვევას ჰგავდა. თუმცა, ამას ვერაფრით უპასუხეს სამართალდამცავებმა. მაშინ თბილისში სრული ქაოსი იყო. შეიარაღებული ბანდფორმირებები ქალაქში დათარეშობდნენ. მართალია, მაშინ სახელმწიფოს პირველმა პირებმა ხელოვნების მუზეუმის დაყაჩაღების ფაქტი პირად კონტროლზე აიყვანეს, მაგრამ საქმე ვერ გაიხსნა და გატაცებული სურათების ადგილსამყოფელიც ვერ დადგინდა.

– 10 წლის შემდეგ, თქვენი პროკურორობის დროს იპოვეს ეს ნახატი...

– 2004 წლის 10 მაისს სამსახურში ვიყავი. მოვიდა მოქალაქე და მითხრა, რომ ჩემი ნახვა სურდა გავლენიან **“კანონიერ ქურდს”**, გოგი ჩიქოვანს, რომელიც იმხანად გულიკო ჩაფიძის კლინიკაში იწვა მძიმე მდგომარეობაში. უარი განვაცხადე გოგი ჩიქოვანის მონახულებაზე და შევთავაზე, რომ ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი პროკურორი მოინახულებდა კრიმინალურ ავტორიტეტს. არა, მას მხოლოდ თქვენთან სურს საუბარი სახელმწიფოებრივად ძალიან მნიშვნელოვან თემაზეო...

– და **“კანონიერ ქურდს”** მიაკითხეთ?

– ჩაფიძის კლინიკაში სადამოს მივედი. გოგი ჩიქოვანი რეანიმაციაში იწვა, ეს იყო პროფესორის იერის მქონე, ხანში შესული კაცი. ვერავინ იფიქრებდა, რომ **“კანონიერი ქურდი”** იყო. დიდხანს ვისაუბრეთ. ჭკვიანი მოსაუბრე გამოდგა. მადლობა გადამიხადა შეწუხებისთვის და დასძინა, გენდობი და ვიცი, კარგ საქმეს, რომლის გაკეთებასაც ვაპირებ, ჩემს წინააღმდეგ არ გამოიყენებ. არ დამაბრალებთ იმ დანაშაულს, რაც მე არ ჩამიდენიაო. მერე ხელით ანიშნა მომვლელ ქალს და ის ოთახიდან გავიდა. შეწუხებულმა მითხრა, ამ ხნის კაცი ვარ, ცხოვრებაში ბევრი რამ მინახავს, მაგრამ ასეთი პოლიციელები თუ არსებობდნენ, არ ვიცოდი. ვერაზე ვცხოვრობ, კერძო სახლში, სახლს გალავანი აქვს. დავინახე, ნიღბიანი შეიარაღებული ხალხი როგორ გადმოხტა გალავანზე. სანამ კარს გავაღებდი, შემომიმტვრიეს. გაზიდეს ყველაფერი, თუ რამე ძვირფასეულობა მქონდა. ნერვიულობის გამო ინფარქტით აქ მომათავსესო. შევთავაზე, მომხდარის შესახებ განცხადებით მოემართა ან შევადგენდი ოქმს და ხელმოწერით დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია, რაც საფუძველი გახდებოდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა. უარი თქვა: მე სხვა ცხოვრებით ვიცხოვრე და ჩემს ცხოვრებას ვერ გადავხაზავო. ბოლოს მთხოვა, დავხმარებოდი იმ ნივთების დაბრუნებაში, რაც მისთვის ძალიან ძვირფასი იყო. ეს იყო ბეჭედი და ჯვარი. მას შემდეგ, რაც ამ ნივთებს დამიბრუნებთ, მე ჩაგაბარებთ **“მაჭანკალს”**. ის სახელმწიფოს საკუთრება იყო და უნდა დაუბრუნდეს მუზეუმსო. ასევე მთხოვა ერთი ახალგაზრდისთვის პატიმრობის შეცვლა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებით.

– ანუ **“მაჭანკლის”** დაბრუნების სანაცვლოდ პატიმარი უნდა გაგეთავისუფლებინათ?

– კარგად ვიცოდი, რა მნიშვნელობა ჰქონდა ნახატს, ამიტომ არა მხოლოდ დავთანხმდი მის წინადადებას, არამედ შევპირდი, რომ სურათის დაბრუნების შემთხვევაში ქურდობის მცდელობისთვის დაპატიმრებულ ახალგაზრდას შევუწყვეტდით სისხლის სამართლის საქმეს. ასეთ სიტუაციაში გამოიყენება საპროცესო შეთანხმება, თუმცა, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ჩვენს კანონმდებლობაში 2004 წლის ივნისიდან შემოვიდა. ამიტომაც ჩვენ შორის შედგა წმინდა ჯენტლმენური შეთანხმება. კრიმინალური ავტორიტეტისთვის მიცემული სიტყვა პირნათლად შევასრულე – ის პირი გავათავისუფლეთ... პოლიციას კი მოვთხოვე, დაებრუნებინათ ის ნივთები, ალბათ, დაუბრუნეს. ფაქტია, გოგი ჩიქოვანი კმაყოფილი იყო და მეორე დღეს, ანუ 2004 წლის 11 მაისს პოლიციის სამმართველოს სამორიგეო ნაწილში შევიდა უცნობი მოქალაქის სატელეფონო შეტყობინება, რომ **“მაჭანკალი”** იქნებოდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ქორწინების სახლის წინ. 1994 წელს ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გატაცებული ნახატი ზუსტად 10 წლის შემდეგ დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს. მისი სახელმწიფოსთვის დაბრუნება მხოლოდ გოგი ჩიქოვანის დამსახურებაა. მან თავისი კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით **“მაჭანკალი”** ქვეყანას დაუბრუნა.

გიორგი ჩიქოვანი: “ქურდი ბიზნესს არ უნდა ხელმძღვანელობდეს”

გიორგი ჩიქოვანი, მეტსახელად **“გოგი”**, ე.წ. კანონიერ ქურდად 70-იან წლებში აკურთხეს. მას რუსულ პრესაში რუსული მაფიის **“ნათლიმამას”** უწოდებდნენ, რადგან კრიმინალურ სამყაროში დაპირისპირებისას მთავარი მომრიგებელი იყო. **“გოგი”** ე.წ. კანონიერი ქურდების, ასლან უსოიანისა და ტარიელ ონიანის შერიგებასაც ცდილობდა, თუმცა, უშედეგოდ. სააგენტო **“პრაიმ კრაიმმა”** 2008 წელს მასთან ინტერვიუ ჩაწერა: **“ჩემს მაგალითზე გეტყვით, როგორ უნდა მოხდეს შერიგება. ჩემი უფროსი შვილის ცოლი აფხაზია, მაგრამ ის დღეს თბილისშია. ჩემი შვილი კი ქართველია და აფხაზებთან ომში დაიღუპა. ადრე ასე იყო: დამწყები ქურდები ზოგჯერ შიმშილობდნენ. თუ არ მოიპარავ, საჭმელი არ გექნება. ქურდი მშიერი უნდა იყოს და ბიზნესს არ უნდა ხელმძღვანელობდეს. ყველა დაპირისპირება ფულის გამოა.”**

გოგი ჩიქოვანი 89 წლის ასაკში გარდაიცვალა.

კრანახის “მაჭანკალი”

აღორძინების ეპოქის გერმანელი ფერმწერისა და გრაფიკოსის, ლუკას კრანახი-უფროსის (1472-1553) შედევრი **“მაჭანკალი”** საქართველოში დიდი მთავრის, გიორგი რომანოვის წყალობით მოხვდა, 1920 წელს იგი კერძო კოლექციონერ ყორღანოვს ჰქონდა, რომლისგანაც მხატვარსა და მეცენატს, დიმიტრი შევარდნაძეს შეუძენია და თავის **“ცისფერ გალერეაში”** მოუთავსებია.

1921 წელს ნახატი საქართველოს საგანძურის ნუსხაში მოხვდა და მენშევიკურმა მთავრობამ ემიგრაციაში წაიღო, სადაც ექვთიმე თაყაიშვილი ერთგულად იცავდა. **“მაჭანკლის”** ხელში ჩაგდებას ფაშისტებიც ცდილობდნენ, თუმცა, ამაოდ. 1946 წელს ქართულ საგანძურთან ერთად **“მაჭანკალიც”** დაუბრუნდა საქართველოს და 1994 წელს ხელოვნების მუზეუმში გამოფინეს.

ნახატი რამდენიმე ფიცრისაგან შეკრულ დაფაზეა შესრულებული. ახალგაზრდა მამაკაცი ფულით სავსე ქისას აწვდის დედაბერს, რათა იქვე მდგომი მშვენიერი ქალიშვილი ჩაიგდოს ხელში. შთამბეჭდავია მაჭანკლის სახე, რომლის ცბიერი გამომეტყველება მაგიურად მოქმედებს მნახველზე.

შარლ ბოდლერს უთქვამს: **“რაც მინახავს, მათ შორის ყველაზე იდუმალი კრანახის “მაჭანკალია”. თითქოს რაღაც ბედისწერას ვხედავ მასში. ამიტომაც ყოველთვის უბედურება მოაქვს მფლობელისთვის”.**

თეა ხურცილავა

ნათელი პირით მიუხვალ!

3 მაისს, დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღესასწაულამდე 6 დღით ადრე, გვიან ღამით, ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა როლანდ ჯალაღანიამ ფრიად სამწუხარო ამბავი შემატყობინა – ბატონი რეზო ჩხეიძე გარდაიცვალაო.

სწორედ მის სამარადისო ხსოვნას ვუძღვნი ამ ნაღვლიან სტრიქონებს:

შენს ხსენებაზე ეთერი
ფიქრს ფიანდაზად ეგება,
შენი „მაია წყნეთელით“
და შენგან დარგულ „ნერგებად“.
კადრებად შემოიჭრები,
რომ თან წამიღო ლამისა,
ოხ, რა „ღიმილის ბიჭებით“
ოხვრავ გოდერძის მამისა.
შენი სიკვდილის არ მჯერა,
შენ მხოლოდ გარდაიცვალე,
ჰოდა, ცრემლებით ამჯერად
თავს უკვე არ გავიწვალებ.
რადგან ვერ დაგაჩიავა,
ვინც გზად სხვის შარას მიუყვა;
მამაშენს – დია ჩიანელს
ნათელი პირით მიუხვალ!

ალექსანდრე შენგელია

ბიძინა ივანიშვილი – *ჩვენ უპრეცედენტო პრეზიდენტი გვყავს, გიორგი მარგველაშვილი აბსურდში რჩება*

“ჩვენ უპრეცედენტო პრეზიდენტი გვყავს, ალბათ მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, რომ გუნდთან ერთად მოსული პიროვნება მეორე დღესვე გუნდს უპირისპირდებოდეს”, – ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა “GDS”-ის გადაცემა “2030”-ში სტუმრობისას განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტად წოდებული გიორგი მარგველაშვილი აბსურდში რჩება. “ჩვენ უპრეცედენტო პრეზიდენტი გვყავს, ალბათ მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, რომ გუნდთან ერთად მოსული პიროვნება მეორე დღესვე გუნდს უპირისპირდებოდეს. ამ მხრივ გვაჩვენა და გამოჩინა თავი ჩვენმა პრეზიდენტმა. უახლოესი, რაც გააკეთა ამას წინათ, აგრძელებს ამ პოლიტიკას და აბსურდში რჩება”, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც გვიან მიხვდა, რომ იგი მარგველაშვილმა უზნეოდ გააცურა, როცა პრეზიდენტობის ღირსეულ კანდიდატად წარუდგინა ქართულ საზოგადოებას.

ბიძინა ივანიშვილისავე თქმით, პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით ერთ-ერთ გადაცემაში ვრცლად ისაუბრებს.

“რა ხდება რეზიდენციასთან დაკავშირებით მე ამაზე ვაპირებ ერთ-ერთ გადაცემაში ხანგრძლივად ვისაუბრო, რა ხდებოდა კულისებში და ის ნაწილი გავიხსენო, რაც საზოგადოებამ არ იცის და ამით შეიძლება დავეხმარო და გავუიოლო ამ ინსტიტუტსაც ის, რომ თავის ქვეყანას ღირსეულად მოემსახუროს”, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

მართლაც, **“უნახავმა რა ნახაო”,** – სწორედ ასეა ფუფუნებას დახარბებული მდაბიო გიორგი მარგველაშვილის საქმე!

არც პატარა გაცინება გვაწყენს

„საქართველოში ნეპოტიზმმა და რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს – თავდაცვის მინისტრად აშშ-მა რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი – პარლამენტის თავმჯდომარის, რესპუბლიკელი უსუფაშვილის მეუღლე დანიშნა!“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე მინისტრთა ახალი კაბინეტი წარადგინა. გარდა ორი – სპორტისა და ახალგაზრდობის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრისა, რომლებიც რამდენიმე დღით ადრე გადადგნენ, ცვლილებები შეეხო მესამე – თავდაცვის მინისტრსაც. ეკოლოგიის მინისტრად დაინიშნა **„რესპუბლიკელი“,** საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიგლა აგულაშვილი, სპორტის მინისტრად – **“იბერია ბიზნეს ჯგუფის”** პრეზიდენტი და საფეხბურთო კლუბ **“საბურთალოს”** მფლობელი ტარიელ ხეჩიკაშვილი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრად კი დაინიშნა საქართველოს მთავარი რესპუბლიკელი, პარლამენტარი და პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე თინა ხიდაშელი.

ამის შემდეგ გვეცოდინება, რომ ყველაზე მძვინვარე ომის შემთხვევაშიც კი ჩვენი თავდაცვის მინისტრს საფრთხე არ ემუქრება, რადგან არცერთი ჯარისკაცი არ იკადრებს სუსტი სქესის წარმომადგენლის მოკვლას. სხვა განსაცდელებს კი, ქალბატონი თინა, იმედია რომ სტოიკურად გადაიტანს.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი **“ილორი”** ლექსად წარმოთქვამს საკუთარ დამოკიდებულებას აღნიშნული დანიშვნისადმი და იმედოვნებს, რომ ეს ლექსი საფუძვლად დაედება ქართული ჯარის სამომავლო მარშს:

“ჩვენო მინისტრო თინაო,
უსუფს რად უზი შინაო.
მტერი გარს შემოგვდგომია,
ადექ, გაგვიძეღ წინაო.
წინდებს მარგველა დაგვიქსოვს,
ვერას დაგვაკლებს ყინვაო.
კაცებმა ვერას გვიშველეს,
მინისტრთა შენზე წინაო,
სააკა მტვერში აგორეს,
აგვისტოს – გორსა შინაო,
მაღლიდან წამოსულ მტერსა,
ქალურ გაუწვა ძირაო,
პირდაღმა მიწას ლოკავდა,
შიშით სუნ დაიდინაო.
იქნებ შენ მაინც ივარგო,
რესპუბლიკელო, თინაო,
ჯარმა ერთხმად რომ შესძახოს,
ჩვენთან არს შენი ბინაო.”

ᲥᲘᲛᲘᲐ, ᲐᲚᲥᲘᲛᲘᲐ, ᲔᲥᲘᲛᲘ, ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ, ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲐ, ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲖᲝ�გᲐᲓᲡᲐᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲗᲐ ᲔᲢᲘᲛᲝᲚᲝ�გᲘᲐ

მაშასადამე, ზმნა ქიმ-ინ-უა, ამჟამად თუმცა კი ასახავს საერთოდ საქმიანობას, ადამიანის განზოგადოებულ მოღვაწეობას, მაგრამ მას გააჩნდა ამოსავალი ქუმ **„ქუმელ“** მცენარესთან დაკავშირებული ფორმა — ქუმ-ინ-უა, რომელიც შრომის მხოლოდ კონკრეტულ — ქუმელთან დაკავშირებულ სახეს აღნიშნავდა. ქუმ-ინ-უა **„ქუმელთან მოსაქმეობა“**-დან ზმნის მნიშვნელობის განზოგადოება — ქიმ-ინ-უა **„ქმნა“** შემდეგ განხორციელდა. რაკი ეს ყველაფერი რეალობაა, საკამათო არ უნდა იყოს: ქართული ქმნა, ქართულისათვის დამახასიათებელი კუმშვითაა მიღებული: ქ(უ)მ-(ი)ნ-(უ)ა > ქმნა.

მშობლიური ენობრივი ფესვებიდან ამოზრდილ ასეთ ტერმინებს ბევრი ავტორიტეტული ენებიც ვერ დაიკვეხნიან!!!...

ამ კუთხით, ფრიად საყურადღებოა ტერმინები — მუშა, მუშაობა // მუშობა.

რადგანაც მეგრული მუში ნიშნავს — თავის-ს, მუშო კი უდრის თავისთვის (მესთვის) ხოლო, შესაბამისად, მუშაობის შესატყვისი მეგრული სიტყვა — მუშობა პიროვნებისთვის საქმიანობას, სიტყვა-სიტყვით, **მუშო** პლიუს **ობა** ქართულად — **თავის** პლიუს **ობა** > **თავისობა** ანუ მესთვის საქმიანობაა.

უეჭველია: ტერმინები მუშა, მუშობა, მუშაობა ეკუთვნის იმ დროს როცა მატრიარქატ-პატრიარქატის გარდამავალ პერიოდში იქმნება ოჯახი და პირველყოფილი კოლექტიური მეურნეობა სულ უფრო მეტ ადგილს უთმობს ინდივიდუალურს

წამალი, სალბუნი, მალამო,

თანამედროვე მედიცინა წარმოუდგენელია ქიმიასთან უშუალო კავშირს გარეშე. ასევე კანონზომიერია მათი ერთიანობის კანონზომიერება განვითარების ადრეულ პერიოდებში. ანტიკური ხანის კოლხეთში სამედიცინო კულტურის სიძველე საკამათო არაა.. მაგრამ, თუ ეს ასეა, უნდა დარჩენილიყო (რამდენიმე მაინც) თვითმყოფადი და შეურყვნელი ქართველური გენეზის სამედიცინო ტერმინი თუ სახელი.

ტერმინი მედიცინა თუმცა კი კოლხეთის ასულ მედეას სახელთანაა დაკავშირებული, მაგრამ მაინც ბერძნული ენის წიაღშია შემონახული.

„შუშანიკის წამებაში“ დაფიქსირებული სახელები — წამალი და სალბუნი (მალამო) ჩვენამდე უცვლელადაა მოღწეული.

ტერმინ ექიმ //აქიმ-ს, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ (მე-12 ს.) ხშირად იხსენიება ცვლილება არ განუცდია.

წა პლიუს **მალი** -წა-მალ სიტყვაში წა, როგორც უკვე ითქვა, წყალს ნიშნავს. მაგ: წა-ჩხერა **“მდინარის სახელი“** უდრის ცივი წყალი; სინ- წა **„მდინარის სახელი“** უდრის სინ-ის წყალი და ა. შ.

წ, წა, წ წოვის ფიზიოლოგიური აქტის დროს წარმოქმნილი ჰაერის ბგერითი რხევებია. ისინი მეტყველების პირველ-საწყისი ბგერები არიან.. იგივე ითქმის ფს კომპლექსზე, რომლის წარმოშობა შარდვის ფიზილოგიურ აქტთანაა დაკავშირებული. ამ ელემენტებით იწყება წყალთან კავშირში მყოფი მრავალი სახელის წარმოქმნა (მაგრამ ეს სხვა თემაა).

მეგრულად **მე მკურნავს** იქნება **მა მ მალე,** ზედმიწევნითი გაგებით უდრის მე მრგებს, შემერგება. შენ შეგერგება — **სი მ გალე**, ხოლო მას შეერგება იქნება — **თის მალე**. შესაბამისად, მკურნალი მეგრულად იქნება **მ მალ**. ხოლო წყალი მკურნალი კი — **წა-მ მალ**, გამარტივების შემდეგ წა-მალ-ი იქნება: **წა-მ მალ > წა-მალ.** (ეს ეტიმოლოგია ჩემამდე დიდი ხნით ადრე გაკეთებული ჰქონია გ. როგავას — დიდება მის სახელს!).

თუ გავითვალისწინებთ ჩვენს რეგიონში სხვადასხვა სამკურნალო პროფილის წყლების სიუხვეს, ადვილად მოსალოდნელია წა-მ მალ **„წყალი მკურნალი“** აზრობრივი ტრანსფორმაციები: ბუნებასთან რაციონალური მიდგომისას, სამკურნალო წყლებთან პირდაპირი კონტაქტის პროცესში ადამიანმა აღიქვა მისი ფიზიკური თუ ქიმიური — სამკურნალო **მ მალ** (მარგებელი) თვისებები.: მაგ: წყალ-ტუბო < წყარ-ტიბუ უდრის **„წყალი თბილი“**. საფუძველს მოკლებული არაა წამალის წყალი მკურნალის სახით წარმოქმნის ფესვები ვეძოთ პრეისტორიულ ეპოქებში. ამაზე, ასევე, მიუთითებს უკვდავების წყლის კულტი ქართველურ თქმულებებში და ზღაპრებში, რომლებშიც კანტი-კუნტად ცხოველთა ორგანოებს თუ მცენარეებსაც ეკისრებათ უკვდავების ფუნქცია. მაგრამ , როგორც აქვე ვთქვით – მხოლოდ კანტი-კუნტად.

უფრო გვიან კი როცა ადამიანმა სხვა კეთილგავლენიან მარგებელ-მამკურნალებელ საშუალებებს მიაგნო წამალის მნიშვნელობა „წყალი მკურნალიდან“ გაფართოვდა, განზოგადდა რა ყველა სამკურნალ-წამლო საშუალებებზე.

მეგრულად მოლამაფა სასიმოვნოსაც ნიშნავს (ზედმიწევნით – მოსიამოვნოება) და მოსველებასავ. ლამე კი – სველია.

თუ დავაკვირდებით სიტყვებს სალბუნი და მალამო-ს, ყურადღებას მიიპყრობს ფრიად საინტერესო ფაქტი: ზმნები ამ სახელებისაგან, შესაბამისად – მოსალბუნება და მოლამაფა ერთი და იგივე შინარსის ქართულ-მეგრული ინტერპრეტაციაა. მაგ: გულზე მომესალბუნა მეგრულად იქნება – გურც ქუმომლამუ. ჩვენი აზრით, ამ სიტყვებში სასიამოვნოს მნიშვნელობა მეორადია. პირველადი გახლდათ რაღაც მატერიალური დეტერმინანტი, რომელიც იწვევდა მოლამაფას ანუ მოსველებას და, შესაბამისად,– სასიამოვნო-ს (სიამოვნების) განცდას. ასეთი მატერიალური ობიექტი შეიძლება ყოფილიყო მაგ: მცენარეთა დანაყილი ნაწილების (ძირების, ფოთლების ყვავილებს) მალამოსნაირი ფორმები. ასევე, უშუალოდ, მცენარეთა ფოთლები, ვთქვათ ასფოთოლასი, რომელიც ბერძნულში ასპოდელონის სახითაა შეღწეული. მათი გარეგანი საშუალებების სახით ხმარება დღესაც ფართოდაა გავრცელებული ხალხურ მედიცინაში. ზემოთ ჩამოთვლილთათვის, მთავარი განმაზოგადოებელი და დამახასიათებელი თვისება გახლავთ მათში სითხის ჭარბი შემცველობა ანუ მოსველო ხასიათი, რაც მეგრულად გახლავთ, როგორცა ვთქვით – მოლამე. მალამო ამ მოლამე-ს ზუსტი ქართული შესატყვისია: მოლამე > მალამო. რადგანაც ეს საშუალებები იწვევდნენ ტკივილდამაყუჩებელ თუ სხვადასხვა სამკურნალო ეფექტებს, რა გასაკვირია, მათ შესძენოდათ სიამოვნების — მოლამაფა // მოსალბუნების მნიშვნელობა.

რაც შეეხება ქართული სალბუნი-ს ეტიმოლოგიას ისიც სითხესთანაა კავშირში და ქართული **სა** პრეფიქსით გაფორმებული მეგრული ზმნა ბუნა, **„სხმა“** ზმნისაგან გახლავთ შემდგარი. როგორც ეტყობა სალ-ბუნი მალამოს, როგორც გარეგანი თხევადი საშუალების ნაირსახეობა გახლდათ, რომლის სხეულზე შესხურება შეიძლებოდა.

სა(ლ)ბუნის შემადგენლობაში დანიშნულების სა პრეფიქსისა და ლ ლატერალის არსებობამ მიგვახვედრა მისი მეგრული შესატყვისი: იგი ო-ლამე-ბუნი იქნებოდა, რაც ზედმიწევნით უდრის "სითხეს სასხურებელს". სა პრეფიქსის მეგრული შესატყვისია ო, ლამე კი უკვე ცნობილია. მოხდა ასეთი გამარტივება:

ო-ლამე-ბუნი > სა-ლ(ამე)-ბუნი > სალ-ბუნი.

ამგვარად, ოლამებუნი – სალბუნის, ხოლო მოლამე მალამოს პრეფორმა გახლავთ.

მათემატიკა, არითმეტიკა, კალანდა და კალენდარი

მოლამაფა –// მოსალბუნება-ს მაგვარი ერთიდაიგივე შინაარსის ინტერპრეტაცია გახლავთ ასევე ტერმინები მათემატიკა და არითმეტიკა.

უკვე ვთქვით, რომ კა, აკა. კა-კა ერთის, ერთეულის სინონიმებია. ამაზე მეტყველებს ხალხური თამაშობა **„როსტოკაკა“**. (იხ. ს. მაკალათია **„სამეგრელოს ისტორია“** გვ. 280).

აი, თამაშის მსვლელობა: მოთამაშე მუჭში მალავს თხილს და ეკითხება მეორე მოთამაშეს: როსტო-კა-კა? თუ მოპასუხემ სწორად გამოიცნო რაოდენობა თხილისა ისინი მისია. თუ არადა პირველი მოთამაშე უბრძანებს: გემძინ აკა და წაგებული ამატებს ერთ კაკალ თხილს. მაშასადამე, აკა ერთია. არავინ იცის რას ნიშნავს ეს როსტო, მარა აკა თუ ერთია, კა-კა-ც ერთი, ერთეული ყოფილა, ეს ჩანს კითხვიდან რომელიც სხვა არა შეიძლება იყოს თუ არა – რე თე კაკა? – არის რამდენი კაკა ანუ არის რამდენი ერთეული. რე თე მეგრულად უდრის **„არის ეს“,** იგი ესადაგება კითხვის შინაარსს. ამიტომ რო-ს-ტო-კა-კა მიღებულია რე-თე-კაკა-დან.

რაკი კა, აკა, კაკაა არის ერთი, ერთეული, უფლება გვაქვს ვთქვათ მათემატი-კა და არითმეტი-კა-ში კა იგივე მნიშვნელობისაა, ხოლო მათემატი და არითმეტი მეგრულად და ქართულად ზუსტად ერთიდაიგივე აზრს გამოხატავენ: მათემატის წინაფორმა არის – ა-მუთ-მეტი. ზედმიწევნით, ა-მუთ უდრის: ა არის მეგრული ჩვენებითი ნაწილაკი, ქართულად – აი; მუთ უდრის რით. ა-მუთ-მეტი ქართულად იქნება აი, რით მეტი, ხოლო ა-მუთ-მეტი-კა ქართულად იქნება აი, რით მეტი ერთი ანუ აი, რით მეტი ერთეული.

მაშასადამე კა და მეტი მათე-მატი-კა // არით-მეტი-კა-ს ორივე ფორმაში შენარჩუნებულია და მა-თე-მატი-კა-ში გვაქვს მა-თე-ს წინარედ მეგრული ა, მუთ, ხოლო ა-რით-მეტი-კა-ში ა მეგრულია რით კი ქართული.

მაშასადამე მათემატიკა და არითმეტიკა ერთი და იგივე მნიშვნელობის ერთიდაიგივე მეგრულ-ქართული ნაწილებისაგან შედგებიან და ასახავენ პირველყოფილი მარტივი თვლის – ერთი ერთეულით მატების პროცესს!!!...

კა-სთანაა დაკავშირებული ტერმინი კალენდარი და გვარი კალანდია. ლანდ-ი მეგრულად ხაზს ნიშნავს და ძაფის ერთეულიცაა: ართი ლანდი ძაფი უდრის „ერთი ლანდი ძაფი“; ლანდუა ხაზვაა, ლანდარი – სახაზავი.

ლარი-ც ხაზია, მარა ის ლა-ნდ-არი-დანაა, ნდ კომპლექსის ამოვარდნით, მიღებული. ლა(ნდ)არი > ლარი.

ლანდუა ქვია განაყოფიერებული კვერცხის ხაზით მინიშნებას. კვერცხი დოლანდეს უდრის კვერცხი მიახაზეს.

ძაფით (კერვით) საბნის სწორ და სიმეტრიულ ნაწილებად დაყოფასაც ლანდუა // ლამბუა ქვია.

დღევანდელი ბადური // ბანდური, უეჭველია, წინეთ ბ-ლანდ-ური იყო: ბადურები ხომ სივრცეს (ჭერს) სიმეტრიულ ნაკვთებად ყოფენ.

ზემოთქმულს თუ დავამატებთ იმას, რომ ძველი სტილით ახალ წელი კალანდაა, უცხადესია: კა + ლანდა, ამ შემთხვევაში, ერთ ხაზს ანუ პირველ ხაზს, ახალი წლის პირველ დღეს ნიშნავს.

უნდა მივხვდეთ: ჯერ კიდევ უხსოვარ წარსულში შეეცადა ადამიანი, ხაზების მეშვეობით, როგორც სივრცის ასევე დროის თანაბარ, პროპორცილ სიდიდეებად დაყოფას. წელიწადის – თვეებად, თვეების – დღეებად დაყოფას და ა. შ.

წლებში შემავალ წელიწადის, წელიწადში შემავალ თვეების და თვეში შემავალ დღეების აღმნიშვნელ ხაზებიდან, რასაკვირველია, როგორც პერიოდთა საწყისთ ჯერ წლების პირველ ხაზებს ენიჭებოდა უპირატესი მნიშვნელობა და შემდეგ – თვეებისა. ამიტომაც ეწოდა ამ პირველ ხაზს კა ლანდა, რაც, როგორც უკვე ვიცით, ერთი, პირველ ხაზია, მეგრულად. ეს ტრადიცია ბერძნულმა – თვეების, მეგრულმა კი ახალი წლის პირველი დღის აღსანიშნავად შეინარჩუნეს.

ᲝᲡᲙᲣ, ᲡᲙᲣᲐᲚᲐ, ᲙᲐᲠ, ᲝᲙᲐᲠᲘᲘ, Ნ Ძ ᲗᲐᲛᲘ

ბერძნულ, ლათინურ ან სხვა რომელიმე პრესტიჟულ ენაში სკოლისა და შვილის ძირი საერთო რომ ყოფილიყო, სკოლის ეტიმოლოგიის დადგენაზე თავს არავინ შეიწუხებდა: მას მაშინვე იმ ავტორიტეტულ ენოვან სამყაროს მიაკუთვნებდნენ.

მაგრამ ერთია პრესტიჟი და მეორე – ჭეშმარიტება.

ახლა კი ერთ საოცარ საკითხზე უნდა შევჩერდეთ: რატომაა, რომ მეგრულ ოღეჯეს „საღორეს“ აქვს სინონიმად ოსკუ? „ზედმიწ. კვერცხსადები?“ სკუალა ხომ, მეგრულად კვერცხისდებაა და ის ო-კარ-იეს „საქათმეს“ უნდა ერქვას.

ან რატომა აქვს, მეგრულად ოქოთომეს „საქათმეს“ სინონიმი ოკარიე?

ჯერ ვუპასუხოთ მეორე შეკითხვას: კარ ბასკურად ქათამია და საქათმეს ო-კარ-იე ამიტომაც დაერქვა.

ესეიგი კარ და ოკარიე იმ დროის სიტყვებია, როცა ბასკები და მეგრელები ერთ ენაზე მეტყველებდნენ.

იმ უძველეს ენაზე კარ – ქათამი; ო-კარ-იე „საქათმე“; კარკალი „კრიახი“ (კარ-კარ > კარ-კალ), ქათმის კრიახით გამოწვეული ბგერითი მოვლენების აღქმით, მეორე სასიგნალო სისტემის შექმნის პერიოდში, სამეტყველო ორგანოების მიერ კ და რ ბგერების რეპროდუქციის შედეგად, კრ კომპლექსიდან წარმოქმნილი სიტყვები არიან. კ და რ ბგერები ბასკურმა და მეგრულმა შეინარჩუნეს, კრ კომპლექსი კი – ქართულმა.

რაც შეეხება ქოთომ // ქათამ სიტყვას ის შემდგომ (მაგრამ დიდი ხნის წინანდელ პერიოდს, რადგან ნ ქ თ **„ნისკარტი“** სომხურში მეგრულიდან გავიდა) პერიოდს განეკუთვნება და ამოსავალია ნ ქ თამ **„ნისკარტიან-ი“**. ეს უკანასკნელი (ნ ქ თ) მეგრულში დღესაც ნისკარტია: ჩხვინდით მუს გილენ ქ თ უდრის ცხირით რას იქქება. ზედმიწ. უდრის **„ინისკარტება“**.

დავუბრუნდეთ პირველ კითხვას: რა შუაშია სკუალა **„კვერცხისდება“** ოსკუ **„საღორე“**-სთან. ღორი ხომ კვერცხს არ დებს.

მაგრამ მეგრულში სკუალა ოდესღაც შობასაც აღნიშნავდა (ი ყიფშიძე).

მეორეც, თუ დავაკავშირებთ სკუალა, ოსკუ და მეგრულივე სკუა **„შვილს”,** მაშინ საჩინოა, რომ ისინი მნიშვნელობითა და აგებულებით, ერთი ჯგუფის სიტყვები არიან.

მეცხოველოების განვითარების ადრეულ ეტაპზე ადამიანი მოშინაურებულ ღორს ტყის პროდუქტებით თუ კვებავდა ანუ ყავდა თავისუფალ ყოფით პირობებში, თუმცა, უმეტესწილად, სოფლებში დღესაც ასეა. მაშასადამე, საღორე ადამიანს ჭირდებოდა არა ღორისთვის, არამედ მისი შვილების // სკუა-ლების — გოჭებისთვის. ამიტომაც იწოდებოდა საღორე ო-სკუალ-ე ზედმიწ **„საშვილედ“**. დღეს კი გვაქვს ო-სკუა-(ლე) > ოსკუ.

ესე იგი, ძველ ადამიანს მანამდე სანამ მიწათმოქმედებისა და, შესაბამისად, მეცხოველოების თუ სხვა დარგთა განვითარების შედეგად, მისი მოუცლელობისა და დაგროვილი ცოდნის თაობებში დაფიქსირების აუცილებლობის გამო, პრიმიტიული და პირველყოფილი ბავშვთა სამყოფელი (ბაღი) თუ სასწავლებელი (სკოლა) დასჭირდებოდა, მას უკვე ქონდა მზა-მზარეული ტერმინი ო-სკუა-ლეს სახით.

აწი კი ო-სკუალე-სთან სკოლა-ს დაკავშირება სირთულეს არ წარმოადგენს.

ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲫᲘ, ᲚᲘᲜᲯᲘ, ᲗᲣᲗᲤᲔᲠᲘ, ᲛᲝᲡᲘᲜᲘᲙᲔᲑᲘ, ᲮᲐᲚᲘᲑᲔᲑᲘ, ᲙᲘᲠᲘ, ᲙᲘᲜᲐ //ᲠᲙᲘᲜᲐ, ᲥᲘᲛᲘᲐ, ᲐᲚᲥᲘᲛᲘᲐ, ᲔᲥᲘᲛᲘ, ᲐᲥᲘᲛᲘ

ჩვენ ქიმიას წარმომავლობა, დასაწყისშივე, ძირითადად, მეტალურგიას დავუკავშირეთ.

ქართველ ტომების ამ დარგში წარმოსაჩენად სიტყვას დიდ ივ. ჯავახიშვილს გადავცემთ. „... შედარებითი ენათმეცნიერება ამტკიცებს, რომ მადნების სახელები სხვა ერებს ქართველ ტომებისგან შეუთვისებიათ. თვით ცნობილი ენათმეცნიერი ო.შრადერი ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს. ევროპული ბრინჯაოს სახელი ბრონზე წარმომდგარია სპარსული ბრინჯისაგან, ხოლო სპარსულში ეს სიტყვა შეთვისებულია ქართული ენა კილო-კავების საზოგადო სახელისაგან: სპილენძი, სვ. სპილენძ, მეგრ. ლინჯ, სომხ. პღინძ, რაც უდრის სპილენძ-ს. სპი-ენძს და სპერის ანუ ისპირის მადანს ნიშნავს.

ბერძნების მწერლებიც ერთხმად აღიარებენ, რომ საუკეთესო სპილენძის ნივთები ამ ქვეყნიდან გამოჰქონდათო. თვით ელადაში ხომ სპილენძის ნივთები ცოტა იყო და უფრო აზიიდან შეტანილი მადნით მიდიოდნენ იოლად. თითბრის სახელები კი ზოგიერ ევროპულ ენებში მაგ: გერმანულად მესსინე, ანგლოსაქსურად მესტლინგ, ძვ. ნორმ. მესსინგ, პოლონ. მესიანდზ ჰქვია, მოსსვნე ანუ მოსინიკის ტომის სახელისაგან არის წარმომდგარი. სწორედ ეს მოსსინიკები იყვნენ თითბრის ხელობაში განთქმული. (მოსსინიკები უდრის მეგრელ-ჭანები ავტორი). ამ მადნის მეორე სახელიც თითბერი ნამდვილი ქართულია და ნიშნავს „თუთ-ფერი“ ე. ი. მთვარის (მეგრ. თუთა, ქართ. თთუე) ფერის მადანს.

ᲔᲓᲔᲛᲘ ᲘᲖᲝᲠᲘᲐ,

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

“ილორი” სტუმრად ქუთაისელ კოლეგა-მეგობრებთან

„სადაც შემხვდება ქუთაისის მაჯარებელი!“

სტუმრად ვახტანგ ჯავახაძესთან და მის წიგნებთან

სრულიად გამორჩეული ხელწერის მწერალი, გამომცემელი და რედაქტორი, გალაკტიონოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ბაირახტარი, რუსთველის სახელობის სახელმწიფო და „საბას“ ლიტერატურული პრემიების ლაურეატი ვახტანგ ჯავახაძე ის პოეტია, რომლის შემოქმედებით გზას სიყრმის დღეებიდან ვადევნებდი თვალს და ამიტომ შეუძლებელია, გამკვირვებოდა ის, რასაც მიაღწია არა მარტო თავისი საოცრად ორიგინალური პოეზიით, არამედ იმ სიღრმისეული კვლევითაც, რომლითაც შეიქმნა „უცნობი“ – ზოგი „უცნაურ რომანს“ რომ უწოდებს, სხვები კი გალაკტიონის გენიის ანატომიასა და ისეთ წიგნს, რომლის მსგავსი საუკუნეში ერთხელ იწერება.

შევხვდი მარჯანიშვილის ქუჩის მე-4 სახლის მეორე სართულზე, ბინაში, რომელსაც ერთადერთი კანონიერი მფლობელის – გალაკტიონის უკვდავი სული რომ დაბრუნებოდა, ამას სახალხო პოეტის ძმისწულთან, პროფესორ ნოდარ ტაბიძესთან, მწერალ რეზო მიშველაძესთან და მის სხვა თაყვანისმცემლებთან ერთად ვახტანგ ჯავახაძის დიდი ძალისხმევაც დასჭირდა.

ახლა ამ ბინაში თვითონ არის ჩემი მასპინძელი. მიწევს მეგზურობას და გამოწვლილვით მესაუბრება ექსპონატებზე.

ნელა მივიწევთ წინ ერთი სტენდიდან მეორისაკენ და დიდი ხნის წინანდელ დღეთა ბურუსიდან სასწაულებრივად დანახულმა ნაცნობმა სახემ შემახსენა გალაკტიონის ალერსიანი „ძამიკო“, რომელიც პირველად 1953 წლის სექტემბრის იმ დღეს მოვისმინე, როცა უნივერსიტეტის პირველკურსელი პირველი კორპუსის წინ გალაკტიონს პირველად მივეახლე.

სულმნათთან შეხვედრის ბედნიერება წილად მხვდა სისხლიან 9 მარტამდე რამდენიმე კვირით ადრეც.

მე და ჩემი უფროსი მეგობარი გოგი ჩიქობავა, რომელიც იმ პერიოდში გალაკტიონის პირადი მდივანი იყო, პლეხანოვის პროსპექტზე კინოსტუდიისაკენ მივსეირნობდით და „სოვეტსკაია პეჩატში“ დაბეჭდილ ალექსანდრ ვერტის იმ სტატიაზე ვმსჯელობდით, რომელშიც საოცრად გაბედულ პრობლემაზე იყო საუბარი: რადგან კონტრრევოლუციისა აღარ გვეშინია, პრესის თავისუფლება უნდა აღდგესო.

მოულოდნელად სტადიონის მხრიდან კინოსტუდიისაკენ მომავალი გალაკტიონი დავინახეთ.

როცა მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და გოგის რამდენიმე დავალება მისცა. მერე მე მომიბრუნდა და მეკითხება: „რა ჟურნალია, ძამიკო?“

მოკრძალებით გავუწოდე და მოკლედ ვუამბე, რას წერდა ვერტი.

ჟურნალს სწრაფად გადაავლო თვალი, სტატია ნაჩქარევად ჩაიკითხა და მეუბნება: **„იცი, ძამიკო, მეც მქონდა ჩემი გაზეთი?!“**

ამის თქმა და ფერგადასული ტყავის ყვითელი პორთფელიდან **„გალაკტიონის ჟურნალის“** რამდენიმე ნომერი ამოიღო: **„ჩემი იყო, მაგრამ მხოლოდ ჩემს ნაწერებს კი არა, სხვისი, რაც მომეწონებოდა, იმასაც ვბეჭდავდი“.**

* * *

არა მარტო ჩემი თანატოლი, არამედ, ალბათ, ბევრად უმცროსი კოლეგებიც დამეთანხმებიან, რომ მოგონებებით და განცდილით გონებადატვირთულებს ამჯერად ნამდვილად გაგვიჭირდებოდა ინტერვიუერისა და რესპონდენტის როლების სათანადოდ შესრულება, ამიტომ ჩვენი სამომავლო შეხვედრა რამდენიმე დღით გადავდეთ. ამასობაში კი ჩემი გეგმა რამდენადმე შევცვალე და ამის შესახებ ვახტანგს წერილობით გავესაუბრე, უფრო ზუსტად ზემოხსენებული სამომავლო საუბრის ჩემეული მონახაზი შევთავაზე.

აი, ისიც: ჩემო ვახტანგ! სტატიაზე, მით უფრო რესპონდენტთან საუბრისას, არასდროს იმდენი არ მიფიქრია და თითოეულ სათქმელ სიტყვაზე იმდენი არ მიჭოჭმანია, რამდენიც ამ შეხვედრის წინ, რომელიც ჩვენთვის ამ მიზნით პირველი შეხვედრაა 70-წლოვანი, თუ უფრო წინანდელი უმჭიდროესი ურთიერთობის შემდეგ, რომელიც გვაკავშირებდა ქუთაისის პიონერთა სასახლის ნორჩ შემოქმედთა იმ წრის წევრებს, ომგადახდილი პოეტი ვასილ გვეტაძე რომ ედგა სათავეში.

საბედნიეროდ, ეს დიდებული პიროვნება, რომელიც თავისი საუკუნოვანი ცხოვრების ბოლო ათწლეულშიც ახალგაზრდული შემართებით განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობას, კვლავ სადსალამათია და საოცრად ახარებს თითოეული სიტყვა, რომელსაც ჩვენგან და ჩვენზე ისმენს და თავისი შემართებით ჩვენც გვამხნევებს, რამეთუ გვარწმუნებს, რომ ჯერ კიდევ საკმაო, ამასთან გონივრული გზა გვრჩება ფინიშამდე.

მავანი იკითხავს, მაშ, რა მოხდა? როცა ვჭოჭმანობდი, რა მაეჭვებდა და რა მაფიქრებდა?!

რა და, თუნდაც ის, მესარგებლა თუ არა დიქტოფონით, თუ მხოლოდ მეხსიერებისა და საუბრისას ჩანიშნული რამდენიმე საგულისხმო ჩანაწერის, შენი პოეტური კრებულებისა და გალაკტიონოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი იმ „უცნობის“ იმედად დავრჩენილიყავი, რომლის ხუთივე გამოცემა, კარგა ხანია, ჩემი სამაგიდო წიგნებია?

ეს მით უფრო სათქმელია, რომ მათში ფაქტობრივად თითქმის ყველა იმ კითხვაზეა პასუხი, რომელიც შეიძლება რომელსამე ინტერვიუერს დაბადებოდა და შეღებული კარის ხელახლა შედების არავითარი აუცილებლიბა არ არსებობდა.

არჩევანი მეორე ვარიანტზე შევაჩერე, რადგან მიმაჩნია, რომ იგი უფრო ლოგიკურია და მეტ შესაძლებლობას ჰქმნის არა დადგმული და მოჩვენებითი, არამედ შენივე წიგნების დახმარებით თითოეულ კითხვაზე ბუნებრივი საუბრისათვის. თანაც ისიც სათქმელია, რომ, ვის ვის და, ჩვენგან არც ერთს არ გვესწავლება, რომ წიგნიერება წიგნისა და წერა-კითხვის გარეშე წარმოუდგენელია, არადა, წიგნი და წერა-კითხვის კულტურა ფაქტობრივად უკვე განდევნა კომპიუტერმა და აუდიო თუ ვიდეოჩანაწერებმა, და არ მინდოდა, ნამდვილად არ მინდოდა, ამ მღვრიე მდინარებაში ნებსით თუ უნებლიედ ჩვენც მოვხვედრილიყავით.

პირადად მე არც აუდიო და არც ვიდეო ჩანაწერების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. პირიქით, ელექტრონულ მედიას ბევრ რამეს უნდა ვუმადლოდე. მაგრამ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, მით უფრო მაშინ, თუკი სიტყვა ათასჯერ ასაწონგასაზომია. იგივე ითქმის თუნდაც სატელევიზიო შეკრებებისა და თავყრილობათა მომზადებისას მონაწილეთა ზეპირი და წინასწარდაწერილი სიტყვით გამოსვლის შესახებ. მით უფრო, რომ, როგორც სულმნათი ჯერ კიდევ 8 საუკუნის წინათ ბრძანებდა: **„არა კაც ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“.** და რადგან კალმით ნაწერს ნაჯახიც ვერ ამოშლის, დაე, ჩვენი, 80-ს გადაცილებულთა საუბარი ისევე შემორჩეს ჩემს არქივს, როგორც კაკაბეთის ზარების დარისხებისას წინასწარ დაწერილით გამოსული ერთადერთი ორატორის – რეზო ინანიშვილის სიტყვა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელობა.

თუ საუბრის ასეთ **„ფორმას“** დასთანხმდები, ვიდრე სიტყვას შენს წიგნებს – **„ვახტანგურსა“** და **„უცნობს“** გადავცემდე, გთხოვ, პირველ ორ კითხვაზე პასუხი სიტყვასთან შენეული ლაციცით ფურცელზე გადაიტანო.

– თანახმა ვარ.

– გმადლობთ, რომ დამთანხმდი! დავიწყოთ!

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, თუ სად ჩადის შენი ფესვები, რომლებიც, თუ გვარს გავითვალისწინებთ, ჯავახეთს ან საჯავახოს მაინც უნდა უკავშირდებოდეს და ამასთან მრავალი მონათესავე განშტოება აქვს – ჯავახაძე, ჯავახიძე, ჯავახია, ჯავახიშვილი!

ვახტანგ ჯავახაძე: ცხადია, ჩვენ ჯავახები ანუ ჯავახეთელები ვართ. ჩვენი გვარის გენეზისის შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: ჩვენმა წინაპარმა ბესიკა ჯავახმა პირველი ღამის უფლების დარღვევის გამო საკუთარი ბატონი მოკლა და იმერეთში გამოიქცა. მისი უფროსი მემკვიდრე ზემო იმერეთში – ჭიათურასთან დასახლდა და ჯავახიძე დაერქვა, უმცროსი კი ქუთაისთან (ქვიტირი, მაღლაკი) დასახლდა და ჯავახაძედ იწოდებაო (ჯავახა – კნინობითი ფორმაა და უმცროსს შეესაბამება). სხვათა შორის, მეორე საუკუნის არმაზის ბილინგვაში მოხსენიებულია ქართლის პიტიახში ჯავახი (ძევახი) და მისი ასული სერაფიტი. მცხეთის გათხრისას მამაკაცის სამარხში აღმოჩნდა ბეჭედი, რომელზეც ამოტვიფრულია მამაკაცის სახე და წარწერა: **„ჯავახ. ჩემო სიცოცხლეო!“**

* * *

ალ. შენგელია: 14 წლის წინათ, როდესაც ჩემს საავტორო გაზეთში, რომელსაც **„სარკმელი საქართველოსი“** ერქვა, დასაბეჭდად ოტია იოსელიანის **„ბალადა ცოტნე დადიანისა“** შევარჩიე, სულგანათლებულმა მთხოვა: **„უფალო რედაქტორო! იმ უმსგავსობისა გამო, ვაი პოლიტიკოსები ეროვნებას და მამის სახელს რომ გვედავებიან, წარმომავლობის შეუვალობისათვის, გალაკტიონისა არ იყოს: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არა ქართული“, გთხოვ, ამიერიდან ასე მოიხსენიო ჩემი ვინაობა: ოტია შალვას ძე, შალვა ფარნაოზის ძე, ფარნაოზ ბიჭიას ძე იოსელიანი“.**

ვის ვის და, ვახტანგ ჯავახაძეს ნამდვილადა აქვს იმის მორალური უფლება, რომ გაიმეოროს არა მარტო ზემოხსენებული ამონარიდი, არამედ მისი მომდევნო სტრიქონიც, რადგან მას ზედგამოჭრილად მიესადაგება სულმნათის სიტყვები: **„ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის“.**

ხომ არ ინებებდი, პატივი მიგეგო თქვენი საგვარეულო ხიდან უახლოესი წარმომადგენლებისათვის და ჩვენი საერთო მეგობრის – **„გვიშტიბელი ბოკაჩოს“** მსგავსად საკუთარი მამა-პაპანი შენი თაყვანისმცემლებისათვის წარგედგინა?

ვახტანგ ჯავახაძე: ჩემი უშუალო წინაპრის შესახებ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: ჩემი და ნათელა 83 წლისაა და ახლახან მიამბო: „ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსულ ენას გვასწავლიდაო პეტერბურგის უნივერსიტეტდამთავრებული ჯაბა მეძმარიაშვილი, რომელიც წარმოშობით სოფელ ქვიტირიდან ბრძანდებოდა.

ერთხელ მკითხა: **„თქვენ სადაური ჯავახაძე ბრძანდებით?“**

– მე ქუთაისში დავიბადე, მამაჩემი კი ქვიტირელი იყო.

– რა ერქვა მამათქვენს?

– რომანოზი.

– ასეთი სახელი არ მახსოვს. ბიძა თუ გყავდათ?

– ბიძაჩემებს ერქვათ ერასტი და ტარასი.

– არა, არც ასეთი ჯავახაძეები მახსოვს... ბაბუათქვენს რა ერქვა?

– დიანოზი.

– ოო, დიანოზის შვილიშვილი ბრძანდებით? დიანოზი სხვა კაცი იყო, განსაკუთრებით გამორჩეული და კეთილშობილი. მას მთელი სოფელი მოშენდიშვილს ეძახდა, ესე იგი – **“შენიანებმა უნდა იმრავლონო“.**

ჩვენი ქვიტირი მე კარგად მახსოვს. ქუთაისის ახლოს იყო. ფეხით მივდიოდით ხოლმე.

ახლა ქვიტირი ქუთაისს შეუერთდა და სოფელი აღარ არსებობს. ბაბუაჩემის სახეს ვეღარ ვიხსენებ. ბუნდოვნად მახსოვს ბაბუაჩემის პანაშვიდი და ბევრი ხალხი, რომლებსაც ფეხებში ვებლანდებოდი... ჩემს უფროს დას ახსოვს დიანოზ ბაბუა. სათნო და ლამაზი მოხუცი იყო. ერთხელ, აღდგომა დღეს ეკლესიიდან წითელი კვერცხები მოგვიტანაო.

* * *

ჩემო ვახტანგ, ნება მიბოძე ამჯერად ვახტანგური შენს **„ვახტანგურთან“** ერთად **“შევსვა”**, შენი პოეზიის ყველაზე მომცველ რჩეულთან, რამეთუ ბოლოსიტყვაობის ნაცვლად ანტიბიოგრაფია ერთვის, რომელსაც **„პირამიდის“** შებრუნებული ფორმა მიეცი და **„სამკუთხედი“** დაარქვი, თანაც დაგვამუნათე:

ყირაზე დგას სამკუთხედი
გრაფიკული ციკლიდან,
თუ გულით გსურს,
ფეხზე დადგეს,
შეაბრუნე
წიგნი
და

რა უნდა გვექნა, სხვა რა გზა გვქონდა? მე და **„ვახტანგურმა“** ვისარგებლეთ შენი რჩევით, მაგრამ მხოლოდ სამკუთხედი და შენი ანტიბიოგრაფია როდი დავაყენეთ ყირაზე, არამედ ის ყანწებიც, ვახტანგურად რომ **„შევსვით“**, მერე კი გადმოვაპირქვავეთ, რათა ყანწებში ბოლო წვეთი, ქვეყანაზე კი შენი მტერი და ავის მდომელი არ დარჩენილიყო.

და, აი, ღვინის საბოლოო წვეთის შესმის შემდეგ რას ვკითხულობთ პირქვე „დამხობილ“ ანტიბიოგრაფიულ სამკუთხედში!

ვახტანგ ჯავახაძე დაიბადა 1932 წლის 29 ივლისს ქუთაისში, სარაჯიშვილის ქუჩის 47-ე სახლში, სადაც ამჟამად მისი უახლოესი ადამიანის – სერგო შალიკიანის ოჯახი ცხოვრობს.

სახლს საძირკვლად მდინარის ჯებირი ჰქონდა, საძინებლის ფანჯრები კი ჩქერებთან გადაჰყურებდა რიონს – ამჟამინდელთან შედარებით იმდენად წყალუხვსა და ღრმას, რომ მისი ნეკნები – თეთრი ქვები ყველაზე მშრალ ზაფხულშიც არ ჩანდა.

ბავშვობის წლები პოეზიის, მხატვრობისა და ჭინჭის ბურთის სიყვარულში განლია.

ახსოვს ომით ჩაბნელებული ქუჩები და წყალწითელასთან ბომბდამშენის მიერ ჩამოგდებული ყუმბარა, რომელიც არ აფეთქებულა, მაგრამ უბედურება მაინც დაატრიალა – ქუთაისის უღატაკესი გარეუბნელის მარჩენალი ძროხა შეიწირა და მისი მოიმედე უმამო პატარები ურძეოდ, უმაწვნოდ და ულუკმაპუროდ დატოვა...

ამ ამბიდან ორი თუ სამი წლის შემდეგ თავის კართან ატუზული პირველი ტყვე გერმანელი ნახა – მათხოვრობას არ კადრულობდა და საკუთარი ხელით გამოჩარხული პრიმიტიული ბოქლომი ნორმირებულ ორას გრამ პურში გადაუცვალა პოეტის დედას, ქალბატონ შუშანას.

ახსოვს პურისა და ნავთის უსაშველო რიგები და სხვადასხვა დღეს ზურგზე ცარცით მიწერილი სხვადასხვა ნომერი...

სწავლობდა სასწავლებელში, რომელსაც, როცა იქ აკაკი დაამბიჯებდა, კლასიკური გიმნაზია ერქვა, ვახტანგის მოსწავლეობისას კი ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის სახელს ატარებდა და 1951 წელს ოქროს მედლით დაამთავრა.

ოთხი წლით ადრე – 15 წლისამ დაბეჭდა თავისი პირველი ლექსი. შემდეგ იყო სტუდენტობა და ალმანახ **„პირველი სხივით“** პოეზიაში გზის გაკვალვა.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა 1956-დან 2009 წლამდე რიგითობიდან თავკაცობამდე იმოღვაწა წიგნის სასახლის გამომცემლობაში. 1958 წელს აქვე გაიცნო მისთვის სათაყვანო გალაკტიონი და შეუდგინა რჩეული, რომლის გამოცემას პოეტი ვეღარ მოესწრო.

1959 წელს ურედაქტორა ანა კალანდაძის წიგნს. ამავე წელს მის ცხოვრებაში მოხდა კიდევ ერთი ღირსსახსოვარი მოვლენა: ვახტანგ ჯავახაძის პირველი წიგნი მიიღო მკითხველმა...

სხვადასხვა დროს მისი პოეტური კრებულები დაასურათხატეს თენგიზ მირზაშვილმა, ელგუჯა ამაშუკელმა და ლადო გრიგოლიამ. 1972 და 1978 წლებში კი, როცა თავისი გრაფიკული ლირიკა დასტამბა, ფიგურები თვითონ დახატა.

იყო სინანულიც, იყო დიდი გულისტკენაც...

1985 წელს **„მნათობმა“** დასაბეჭდად მოამზადა გალაკტიონის მისეული აპოლოგია, მაგრამ ძლიერთა ამა ქვეყნისათა მოულოდნელი ჩარევის შემდეგ ცენზორის მიერ ნებადართული, უკვე ლითონად ჩამოსხმული და დაკაბადონებული ანაწყობი საბეჭდი მანქანიდან ჩამოხსნეს...

მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოახერხა შემოქმედებითი გამბედაობით ყოველთვის გამორჩეულმა **„განთიადის“** იმდროინდელმა რედაქტორმა რეზო ჭეიშვილმა, რომ გალაკტიონის უმძიმესი ცხოვრების გულმართალი მატიანე – **„უცნობი“** ჟურნალში გამოექვეყნებინა.

1986 წლის 3 მაისს გალაკტიონის ორ ჭეშმარიტ ჭირისუფალთან – მურმან ლებანიძესთან და ნოდარ ტაბიძესთან ერთად მიაღწია, რომ გამართულიყო თვითმკვლელობით ამ ქვეყნიდან წასული გენიალური პოეტის წესის აგების რიტუალი, ხოლო 2000 წლის 25 ივნისს უდიდესი პოეტის მხურვალე თაყვანისმცემლის – ხუტა ყუფარაძის თანადგომით წმინდა სინოდს საქართველოს ფართო საზოგადოების თხოვნა წარუდგინა და ამ თხოვნის გათვალისწინებით უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გალაკტიონს სიონის ტაძარში პანაშვიდი გადაუხადა.

ალეკო შენგელია,
ქუთაისი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საქართველოში სახელმწიფოს მართვის საკანონმდებლო დოკუმენტების მომზადების შესახებ

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პარლამენტი კანონმანითაა შეპყრობილი, გაუმართლებელია ყველაფერზე კანონების მიღება დაჩქარებული წესით, რაც ძალიან ხშირად განაპირობებს გაუაზრებელი შინაარსისა და უხეში შეცდომებით სავსე უხარისხო იურიდიული დოკუმენტების მიღებას. ბუნებრივია, ასეთი დოკუმენტები მოითხოვს დაშვებული შეცდომების შესწორებას, ჯერ კიდევ მანამ სანამ მოქმედებაში შევიდოდეს (ამოქმედდებოდეს), ხშირად კანონის სახეს (ფორმას) აძლევენ, ისეთ ნორმატიულ აქტს (დოკუმენტს), რომელიც სულ სხვა შინაარსის (დებულების, ინსტრუქციის და სხვა) მატარებელია.

ამჟამად, საქართველოში კანონებისა და სახელმწიფოს მარეგულირებელი დოკუმენტების პროექტები თითქმის ხელმიუწვდომელია ფართო საზოგადოებისთვის გასაცნობად და თავიანთი საქმიანი შენიშვნების და წინადადებების გამოსათქმელად, რაც ვფიქრობთ, მათ ხარისხს გააუმჯობესებს.

ახლა საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, რომელშიც ქვეყნდება კანონები, კოდექსები და სხვა ნორმატიული აქტები (დოკუმენტები) არის შემდეგი გამოცემები: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, „საქართველოს პარლამენტის უწყებანი“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, მაგრამ ესენი ხელმიუწვდომელია ფართო საზოგადოებისათვის და ამ დოკუმენტების პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა არ წარმოებს, რაც იწვევს რიგი საკითხების გაუთვალისწინებლობას და უხეში შეცდომების დაშვებას დოკუმენტების შინაარსში.

ვფიქრობთ, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა იურიდიულმა დოკუმენტებმა სრულყოფილი ფორმა, რომ მიიღოს ამისთვის საჭიროა ისინი წინასწარ, რამდენიმე ხნით ადრე გამოქვეყნდეს მასობრივი ტირაჟით პრესაში საჯაროდ განსახილველად, ამისთვის კი საკმარისი არ არის დღეისათვის არსებული საინფორმაციო საშუალებები. ამიტომ აუცილებელია შეიქმნას საქართველოს სამთავრობო ან საპარლამენტო სპეციალური გაზეთი მასობრივი ტირაჟით, უფასოდ ან ძალიან დაბალი ფასით, რომ ხელმისაწვდომი იყოს ფართო მასებისათვის. მასში დაიბეჭდება სამთავრობო და საპარლამენტო ყველა იურიდიული დოკუმენტის პროექტიც და დამტკიცებული ვარიანტიც, შეიძლება სხვა ბეჭდვითი აკადემიური გამოცემის გამოყენება, რომელშიც შემოღებული იქნება რუბრიკა „საკანონმდებლო აქტები“. მასში დაიბეჭდოს საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციულიმმართველობითი ყველა მარეგულირებელი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტების (ნორმატიული აქტების) პროექტებიც და სამოქმედოდ მიღებულიც (დამტკიცებულიც), კერძოდ, კონსტიტუცია (ძირითადი, მთავრი კანონი), კანონები, კოდექსები, დადგენილებები, განკარგულებები, დებულებები, ინსტრუქციები და ა.შ. ოფიციალური დოკუმენტები, მათი ცოდნაც აუცილებელია საწარმო-ორგანიზაციების ადმინისტრაციისათვის (იურიდიული პირებისათვის) და სხვა დაინტერესებული ფიზიკური პირებისთვისაც. ამისათვის საჭირო იქნება გაზეთის ტირაჟის გაზრდა და ბიუჯეტის ხარჯზე გაიაფება, რომ შეძლოს ფართო საზოგადოებამ მისი შეძენა.

ვფიქრობთ, ამავე გაზეთში დაიბეჭდოს დოკუმენტების პროექტების საყოველთაო (საჯარო) განხილვის ფართო მკითხველის მიერ წერილობით მოწოდებული კრიტიკული წინადადებების შესასწავლად პრესასთან უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია (მუშა ჯგუფი), რომელიც ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ საქმიან წინადადებებს დაალაგებს, შეისწავლის, გაანალიზებს, დააჯგუფებს მათ საგნობრივად და გადასცემს ნაერთს საპარლამენტო კომისიას გასაცნობად და შემდგომი მსვლელობის მისაცემად (დასამუშავებლად). საპარლამენტო კომისია, თავის მხრივ, შეისწავლის წარმოდგენილ წინადადებებს, მოსაზრებებს, რჩევებს და საუკეთესო მოსაზრებებს – რეკომენდაციებს გადასცემენ პარლამენტს გასათვალისწინებლად კანონპროექტის დამტკიცებისას სესიაზე. ასეთი თანმიმდევრობით შემუშავებული კანონპროექტი და პარლამენტის სესიაზე დამტკიცებული კანონი იქნება ხარისხიანი, სრულყოფილი, სტაბილური, მისი ფორმა და შინაარსი შესაბამისობაში იქნება მოყვანილი და წამდაუწუმ არ დასჭირდება ცვლილებების შეტანა.

სახელმწიფო მართვის იურიდიული დოკუმენტების დამტკიცებისადმი ზემოთ აღნიშნული მეთოდით (წესით) მიდგომა საჭიროა იმისათვის, რომ ინტელექტუალური საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი – მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გამოყენებული იქნეს ამა თუ იმ პრობლემის გონივრულად გადასაწყვეტად. კანონპროექტების საყოველთაო სახალხო განხილვისადმი ასეთი წესით მიდგომა გაზრდის საზოგადოების როლს იურიდიული დოკუმენტების ხარისხიანობის ამაღლებაში.

ჩემი აზრით, კანონმდებლებს ვერ გაუთვიცნობიერებიათ კანონის ცნების არსი, რომ ის უნდა ასახავდეს საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთკავშირს და კანონზომიერებას. როგორც ცნობილი კანონები არის ობიექტური და სუბიექტური. ობიექტური კანონის (სამყაროში, ბუნებაში, დამოუკიდებლად არსებული) სანიმუშო მაგალითია მიზიდულობის კანონი, ხოლო სუბიექტური ანუ იურიდიული კანონი არის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი ყველასათვის სავალდებულო წესით შესასრულებელი კანონი, რომლის მაგალითია საქართველოს კონსტიტუცია (ძირითადი, მთავარი კანონი), საარჩევნო კოდექსი (კანონთა კრებული) და აშ. ამიტომ ყველა ნორმატიული დოკუმეტი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კანონის მოთხოვნებს, არ შეიძლება ჩაითვალოს კანონად. ამრიგად, იურიდიული კანონი ორ მოვლენას შორის კანონზომიერებას უნდა ასახავდეს და კანონის ცნების არსს აკმაყოფილებდეს, სტაბილური ხასიათი ჰქონდეს. კანონი აბლაბუდისამებრ არ უნდა ხლართავდეს ქსელში მსხვერპლს, გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდეს როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს. საწარმოს ორგანიზაციის ხელმძღვანელს ვერ გაუგიათ ასეთი კანონების თავი და ბოლო.

კანონთა სისტემიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) მიღებას, არ უნდა წარმოიშვას მასში ასე ხშირად, გამუდმებით ცვლილებებს შეტანის საჭიროება.

კონსტიტუცია სახელმწიფოს ყოველმხრივ მომწესრიგებელი მთავარი კანონია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფოს მმართველობითი ორგანოების და მოქმედების პრინციპებსა და ა.შ.

საქართველოში ამჟამად არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ დღის წესრიგში დააყენა 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის და მასში დღემდე შეტანილი ცვლილებების გადასინჯვა, მისი გაუმჯობესების მიზნით.

ჩემი აზრით, უდიდესი შეცდომა (დანაშაულის ტოლფასი) იქნა დაშვებული 1995 წლის საქრთველოს კონსტიტუციაში, როდესაც არ ჩაიწერა 1978 წლის 15 აპრილსა და 1991 წლის 24 მარტს მიღებული საქართველოს კონსტიტუციიდან შემდეგი ფორმულირება – **საქართველოს ეროვნული სახელმწიფო და ადმინისტრაციული მოწყობა შედგება შემდეგი ერთეულებისგან: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. იქვე არის მითითებული, რომ ავტონომიური რესპუბლიკები საქართველოს შემადგენლობაშია, გამგებლობაშია და ავტონომიური ოლქი საქართველოს შემადგენელი ნაწილია.**

1995 წლის საქართველოს კონსტიტუციაში არავითარი **„გარდამავალი დებულება“** არ იყო საჭირო, არამედ პირდაპირ უნდა ჩაეწერათ, რომ ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქი საქართველოს შემადგენელი ნაწილებია და განესაზღვრათ მათი სტატუსი (უფლება-მოვალეობა) ასეთი ჩანაწერები რომ ყოფილიყო კონსტიტუციაში, მაშინ ვერავინ ვერ შეძლებდა (გაბედავდა) მათი ცალკე დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარებას. თუ მაინც მოხდებოდა უბედურება, მაშინ საქართველოს მეტი უფლება ექნებოდა მოეთხოვა მათი დაბრუნება თავის შემადგენლობაში. საკონსტიტუციო სივრციდან არ უნდა ამოეღოთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ახლა მაინც შევიტანოთ მიმდინარე საკონსტიტუციო ცვლილებებში საქართველოს ტერიტორიულ მოწყობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი თავიანთი სტატუსით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დავკარგავთ უფლებას მათი დაბრუნების მოთხოვნაზე.

საქართველოს მოქმედმა კონსტიტუციამ სრულყოფილი სახე რომ მიიღოს, ამისთვის საქართველოს პარლამენტმა აუცილებელია შექმნას სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია და მრჩეველთა საბჭო, რომლებიც უხელმძღვანელებენ კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტის შემუშავებას.

მრჩეველთა საბჭომ პროექტის შესამუშავებლად უნდა მოიწვიოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები (კადრი) სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, ვინაიდან გამომდინარე აქედან კონსტიტუცია არის ქვეყნის ძირითადი კანონი და მასში უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს მოწყობის ყველა ძირითად საკითხი (დებულება), ამიტომ კონსტიტუცია არ არის მხოლოდ იურისტების საქმე. კონსტიტუციის დამუშავებას მის ბოლო ეტაპზე იგი ხდება იურისტების საქმე მაშინ, როცა ზუსტი იურიდიული აზრის (წინადადებების) ფორმულირებაა მოსაძებნი, დასადგენი, დასაზუსტებელი.

კონსტიტუციის პროექტის საერთო-სახალხო განხილვაში მრავალი სწავლული (მეცნიერი) ადამიანი უნდა ჩაერთოს, რათა თითოეული სფეროს კუთვნილ წინადადებას, სიტყვას, ტერმინს, ცნებას შესაფერისი დატვირთვა და ადგილი ექნება მიჩენილი.

კონსტიტუციაში ახალი ცვლილებების შესატანი პროექტის განხილვა უნდა მოხდეს სრულიად გამჭვირვალედ და საჯაროობის პირობებში. ამიტომ პარლამენტმა პროექტი საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის წინასწარ მიღებამდე რამდენიმე თვით ადრე უნდა გამოაქვეყნოს პრესაში დიდი ტირაჟით, რომ ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებულ პირთათვის განსასჯელად და მათი წინადადებების, მოსაზრებების დასაფიქსირებლად. ამიტომ მკითხველის მიერ გამოთქმული ყველა მოსაზრება (დადებითი და უარყოფითი) უნდა დაიბეჭდოს იმავე პრესაში და სამუშაო კომისიამ შედეგი კი წარუდგინოს მრჩეველთა საბჭოს, ხოლო ამ უკანასკნელმა წარმოუდგინოს პარლამენტის კომისიას გასათვალისწინებლად პროექტის მიღებისას.

საბოლოოდ შემუშავებული საკონსტიტუციო ცვლილებების და კონსტიტუციის პროექტის სრული ტექსტი უნდა გამოქვეყნდეს მასობრივი ტირაჟით და გატანილ იქნეს რეფერენდუმზე (პლებისციტზე), მოწონების შემდეგ უნდა დაამტკიცოს (მიიღოს) პარლამენტმა სესიაზე.

კანონები, კონსტიტუცია და სხვა იურიდიული დოკუმენტები (ნორმატიული აქტები) უნდა იყოს ფართო მასისთვის გასაგები ენით, შინაარსით, ნათელი აზრით, წინადადება უნდა იყოს მარტივი, სხარტი და მოკლე. იურიდიული დოკუმენტის არსი არ უნდა იყოს ძნელად გასაგები (აღსაქმელი), სამარჩიელო, საჭოჭმანო, რებუსი და ყოველი წინადადება არ უნდა მოითხოვდეს ახსნა-განმარტებას.

ვფიქრობთ, ასეთი წესით, თანმიმდევრობით და მოთხოვნებით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სახელმწიფო მნიშვნელობის იურიდიული დოკუმენტები ყველასთვის იქნება ხელმისაწვდომი, ადვილად გასაგები, სტაბილური და არ მოითხოვდეს წამდაუწუმ ცვლილების გატარებას.

***P.S.** თანამედროვე პირობებში, საქართველოში, შეიძლება ითქვას, მოდად იქცა სახელმწიფო მნიშვნელობის ყველა იურიდიული დოკუმენტის მიღებამდე (დამტკიცებამდე) სავალდებულო წესით მოთხოვნა იმის შესახებ, რომ საერთაშორისო (ვენეციის კომისიის) ექსპერტი უნდა გაეცნოს ამ დოკუმენტებს და შეხედულებები იქნება გათვალისწინებული. უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ამა თუ იმ პრობლემაზე კარგია, მაგრამ ყველა ექსპერტის მიერ დაწერილი დოკუმენტები საქართველოსთვის მიუღებელია, ვინაიდან ისინი ვერ ითვალისწინებენ ადგილობრივ, ეროვნულ თავისებურებებს (ადათ-ჩვეულებებს და ადათ-წესებს). მათ საფუძვლიანად არ იციან ქართველი კაცის ბუნება, ამიტომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის კანონები განუწყვეტელ (პერმანენტულად) იცვლება.*

რა თქმა უნდა, თანამედროვე პირობებში, საჭიროა და აუცილებელიცაა გავეცნოთ და გავიზიაროთ უცხო ქვეყნების გამოცდილება, მაგარამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკანონმდებლო საქმიანობის შედეგები პირდაპირ და უკრიტიკოდ, აქსიომად მივიღოთ და თანამედროვე პირობებში დავნერგოთ საქართველოში.

უცხო ქვეყნების კომისიებისა და სპეციალისტების ცოდნა-გამოცდილება გაფეტიშებული გვყვავს საქართველოში, მაშინ როცა ჩვენი ქვეყნის დედა-ენა, კულტურა, ცოდნა-განათლება, მეცნიერება, ტექნოლოგიები და ა. შ. მისაბაძიც კია მსოფლიო მასშტაბით, ამიტომ არ უნდა დავაკნინოთ ჩვენი მიღწევები გარკვეული თვალსაზრისით, საქართველოს მოქალაქეთა გამჭრიახობა, შორსმჭვრეტელობა, გამოგონებები, გმირობები, შემოქმედებითი განვითარების უნარი, ორიგინალური აზროვნება, მორალი და სინდის-ნამუსი, ადამიანისეული თვისებები და ა.შ. ერთერთი სანიმუშოა მსოფლიოში. კიდევ ბევრი გვაქვს კარგი, მისაბაძი, საუკეთესო, მაგრამ დანარჩენი რედაქციისთვის მიგვინდია.

ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ, ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ (ᲜᲝᲠᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲔᲑᲘ) ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲛᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲔᲜᲘᲗ, ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲗ, ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ, ᲡᲮᲐᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲚᲔ. ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘ (ᲐᲦᲡᲐᲥᲛᲔᲚᲘ), ᲡᲐᲛᲐᲠᲩᲘᲔᲚᲝ, ᲡᲐᲭᲝᲭᲛᲐᲜᲝ, ᲠᲔᲑᲣᲡᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲓᲔᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ-ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐᲡ.

ᲯᲘᲯᲘᲙᲝ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი,
სპეციალურად გაზეთ “ᲘᲚᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ”

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

“რამდენჯერმე გამომიძახეს საქართველოს ნაკრების შეკრებაზე, მაგრამ არ ამიყვანეს...”

კახა კალაძის შემდეგ ბექა ვაჩიბერაძე მეორე ქართველია, ვისაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში უთამაშია!

მერე რა, რომ დონეცკის “შახტარის” 19 წლის ნახევარმცველმა იუნიორთა ტურნირის გადამწყვეტ მატჩში ითამაშა? რა ასაკობრივი კატეგორიაც უნდა იყოს, ჩემპიონთა ლიგაზე ქართველის წარმატებული თამაში მაინც იშვიათი და მონატრებული ამბავია. თავად ამბობს, უკრაინული პასპორტის მქონე ქართველი ვარო.

ქუთაისის “ტორპედოს” ყოფილი თავდამსხმელის, ზაზა ვაჩიბერაძის ვაჟი, წლების წინ საქართველოს ასაკობრივი ნაკრების შეკრებებზეც გამოუძახებიათ, საკონტროლო მატჩებში თავიც გამოუჩენია, მაგრამ... მშობლიურ ნაკრებში თამაშის შესაძლებლობა არ მიეცა, უკრაინაში კი ჩვენებური საკლუბო დონეზეც გამორჩეულია და ნაკრებშიც.

იყო უკრაინის 16, 17 და 18-წლამდელთა ნაკრებების წევრი, ამჟამად კი 19-წლამდელების ერთ-ერთი ლიდერია. 15 წლისამ ოდესის “ჩერნომორეცის” მაისურით 33 ბურთი გაიტანა უკრაინის 17-წლამდელთა ჩემპიონატის 40 მატჩში, ახლა კი “შახტარის” ახალგაზრდული გუნდის საყრდენი ნახევარმცველია და უკრაინელებმა “ახალი პისარო” შეარქვეს! იუნიორთა ჩემპიონთა ლიგის ფინალში (გადამწყვეტი მატჩი “შახტარმა” 2:3 წააგო ლონდონის “ჩელსის” ახალგაზრდულ გუნდთან. – ავტ.) გუნდი სწორედ ბექას გადამწყვეტმა პენალტმა გაიყვანა და სხვა შეხვედრებშიც გამორჩეული იყო.

რომელი ქვეყნის ნაკრებს უკავშირებს თავის მომავალს ბექა ვაჩიბერაძე? ამჯერად ამ თემაზე ლაპარაკისგან თავი შეიკავეთ. თუმცა, ქართველი ჟურნალისტისთვის მიცემული მისი პირველი ინტერვიუ აუცილებლად დაგაინტერესებთ:

– ქუთაისში დავიბადე. რვა წლის ვიყავი, როცა თბილისში გადავბარგდით და საფეხბურთო სკოლა “ოლიმპში” დავიწყე ვარჯიში შოთა ჭეიშვილთან. 14 წლისა ოდესის “ჩერნომორეცში” ჩავირიცხე, სამი წლის შემდეგ დონეცკის “შახტარის” ფეხბურთელი ვარ და ყველა ასაკობრივი გუნდი გამოვიცვალე. ახალი სეზონიდან “შახტარის” “დუბლებში”, ანუ 21-წლამდელთა გუნდში მიწევს თამაში, მაგრამ მითხრეს, რომ ზაფხულის შეკრებას “შახტარის” ძირითად გუნდთან ერთად გავივლი. ვნახოთ, რა იქნება...

– შეთავაზებები სხვა კლუბებიდანაც გაქვს?

– რამდენიმე შემოთავაზება არის, მაგრამ მათ მხოლოდ მას შემდეგ განვიხილავთ, როცა ზაფხულში “შახტართან” ჩემი კონტრაქტი ამოიწურება.

– ახალგაზრდული ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში “ბენფიკას” კარში გატანილი გადამწყვეტი პენალტი ძალიან ემოციურად აღნიშნე...

– ისე გამიხარდა, თავს ვეღარ ვაკონტროლებდი (იცინის). “ოლიმპიაკოსთან” მატჩის შემდგომი პენალტების სერიაშიც მეხუთემ დავარტყი და... ავაცილე. ამის გამო, პენალტი “ბენფიკასთანაც” შეგნებულად შევასრულე ბოლომ – დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიტანდი!

– “ჩელსისთან” ფინალი 2:3 წააგეთ. შეიძლებოდა მოგება?

– “ჩელსი” მთელ მსოფლიოში ეძებს ნიჭიერ ახალგაზრდებს, “შახტარში” კი მხოლოდ უკრაინელები ვიყავით. კი გვაჯობეს, მაგრამ ღირსეულად ვითამაშეთ და 5-10 წუთი კიდევ რომ გვქონოდა, ანგარიშის გათანაბრებას აუცილებლად შევძლებდით! იუნიორთა ჩემპიონთა ლიგაში შარშანაც ვითამაშეთ და მერვედფინალში 1:3 წავაგეთ “არსენალთან”.

– კახა კალაძის შემდეგ მეორე ქართველი ხარ, ვისაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში უთამაშია... იცოდი?

– ჩემი გვარის ხსენება ისეთი ფეხბურთელის გვერდით, როგორიც კალაძე იყო, ძალიან სასიამოვნოა! სხვათა შორის, ნაკრებში ჩემი ამჟამინდელი მწვრთნელი კახას კარგად იცნობს...

– ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ხშირი შექება და ცნობილ მოთამაშეებთან შედარება სტიმულია თუ დათვური სამსახური?

– სასიამოვნოა, მაგრამ ასეთ რაღაცებს ყურადღებას არ ვაქცევ. მით უმეტეს, ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია!

– “შახტარის” პირველ გუნდთან გაქვთ შეხება, თუ 19-წლამდელები სხვა ბაზაში ემზადებით?

– ერთ ბაზაში ვცხოვრობდით და პირველი გუნდის ვარჯიშებსაც ვადევნებდით ხოლმე თვალს. თუმცა,

მას შემდეგ, რაც უკრაინაში საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, ჩვენ და 21-წლამდელები პოლტავაში ვცხოვრობთ, პირველი გუნდი კი ხან კიევში ემზადება, ხან ლვოვში.

– მამაშენი, ზაზა ვაჩიბერაძე, ქუთაისის “ტორპედოს” ყოფილი თავდამსხმელია და წლების წინ შენც შეტევაში თამაშობდი. ამჟამად, საყრდენი ნახევარმცველი ხარ, თუმცა, შეტევაშიც ხშირად ერთვები და გოლებიც გაგაქვს. ჩანს, ქართული სისხლი არ გასვენებს...

– გოლის გატანა უდიდესი სიამოვნებაა (იცინის)! მანამდე 10-ნომრად ვთამაშობდი, უკრაინის ნაკრებში კი საყრდენად დამაყენეს. “შახტარში” გადასვლის შემდეგაც ამ პოზიციაზე ვთამაშობ და შეტევის წამოწყების ნაცვლად, მეტოქის იერიშის ჩაშლა მევალება. რაც შეეხება მამას, მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ფეხბურთელად ჩემს ჩამოყალიბებაში!

3 წლის ასაკიდან სულ თან დავყავდი სტადიონზე თუ ბაზაში, ვარჯიშიც პატარა ასაკიდან დამაწყებინა და ახლაც ძალიან მეხმარება, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მშობლები საქართველოში ცხოვრობენ, მე კი უკრაინაში. ჩამოსვლას წელიწადში ორჯერ თუ ვახერხებ...

– უკრაინაში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებთან გაქვს ურთიერთობა?

– როცა უკრაინაში თამაშობდა, ხშირად ვნახულობდი თორნიკე ოქრიაშვილს.

– “შახტარის” 19-წლამდელთა გუნდში კიდევ ერთი მოთამაშეა ქართული გვარსახელით – ილია იჩუაიძეზე რას გვეტყვი?

– ილია ჩემი თანატოლია. უკრაინის მოქალაქეა, თუმცა, აქაურ ასაკობრივ ნაკრებებში არ უთამაშია. ამპლუით ცენტრალური მცველია, თუმცა, ბოლო პერიოდში მარცხენა მცველად ათამაშებენ. მუხლის ტრავმის შემდეგ ოპერაცია დასჭირდა და ბოლო მატჩები ამიტომ გამოტოვა.

– უკრაინის მოქალაქე ხარ, ბოლო წლებია, მანდ ცხოვრობ, მაგრამ... უკრაინელია ბექა ვაჩიბერაძე თუ ქართველი?

– საქართველოში დავიბადე და გავიზარდე... რთული კითხვაა... ამიტომ მოკლედ გიპასუხებთ – ვარ ქართველი უკრაინული პასპორტით!

– საქართველოს ნაკრების თამაშებს თუ ადევნებ თვალს?

– რა თქმა უნდა, ვუყურებ და ვგულშემატკივრობ! სხვათა შორის, აპრილის ბოლოს ქართველ 19-წლამდელებს ვეთამაშებით და მიხარია, რომ ჩემს მეგობრებს ვნახავ.

– 2012 წელს უკრაინის 17-წლამდელთა ნაკრებმა თბილისში 3:1 გაიმარჯვა და იმ შეხვედრაში, სტუმართა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყავი. გაგიჭირდა საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაში, თუ პირიქით, გინდოდა, დაგემტკიცებინა, რომ თავის დროზე ისტორიული სამშობლოსგან მეტ ყურადღებას იმსახურებდი?

– რამდენჯერმე გამომიძახეს საქართველოს ნაკრების შეკრებაზე, მაგრამ არ ამიყვანეს... ნაწყენი ნამდვილად არა ვარ და არც არაფრის დამტკიცება დამიწყია – ევროპის ელიტრაუნდის შესარჩევი მატჩი იყო, მოედანზე გავედი და ვითამაშე...

– 17-18 წლის ასაკამდე თუ თამაშობენ, მერე რა ემართება ქართველი ფეხბურთელების უმეტესობას? მენტალური პრობლემაა, ზარმაცობენ თუ მცირედით კმაყოფილდებიან? შენც ქართველი ხარ და, ალბათ, გიფიქრია ამაზე...

– არ ვიცი... პირადად ჩემთვის, გაუგებარია, ფეხბურთელი მცირედით როგორ უნდა დაკმაყოფილდეს?!

– რაზე ოცნებობს ბექა ვაჩიბერაძე?

– მინდა, ძლიერი ევროპული კლუბის შემადგენლობაში ვითამაშო, **“ნამდვილი”** ჩემპიონთა ლიგის ფინალში! მესის გამო, **“ბარსელონას”** ვგულშემატკივრობ, მაგრამ ჩემი საყვარელი კლუბი ლონდონის **“ჩელსია”**. ყველაზე მეტად ინგლისში თამაში მინდა!

რატი შელეგია

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

ვალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარში ვალენჯიხის თვითმართველობის ორგანიზებითა და დაფინანსებით მიმდინარე წლის 9 მაისს საზეიმოდ გაიხსნა მეორე მსოფლიო ომის გმირის მელიტონ ქანთარიას (1920-1993) მემორიალური ბიუსტი, რომელმაც მიხეილ ეგოროვთან ერთად 1945 წლის 1 მაისს გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგის გუმბათზე. ბიუსტის ესკიზი შექმნა 1990-იან წლებში ცნობილმა ქართველმა მოქანდაკემ რომან შეროზიამ (1913-1999), ხოლო ის ბრინჯაოში 2015 წლის აპრილში ჩამოასხა მოქანდაკე თეიმურაზ კიკნაველიძემ. 9 მაისს ჯვარში ასევე გაიხსნა მელიტონ ქანთარიას რესტავრირებული სფლავი. ღონისძიებას დაესწრნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, ახალგაზრდები, საზოგადოების წარმომადგენლები და მელიტონ ქანთარიას ნათესავები.

საინიციატივო ჯგუფის სახელით,

ბექა ძანთარია, სამართლის დოქტორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

იუმორი

– გაიგე? გველი და ზღარბი შეუჯვარებიათ!

– მერე, რა გამოვიდა?

– ერთი მეტრი მავთულხლართი...

* * *

სომეხს შვილის ქორწილში ვიდეოგადაღებისათვის ფული დაენანა და ყველა კადრი დაიმახსოვრა.

* * *

ექიმი:

– სასწრაფოდ უარი უნდა თქვათ ყავასა და კონიაკზე!

– გასაგებია. ესე იგი მხოლოდ ჩაი და არაყი?

* * *

ბაზარში:

– რა ღირს მამალი?

– მამალი არ იყიდება!

– აბა რატომ წამოიყვანე?

– უმაგისოდ დედლები არ მომყვებოდნენ.

* * *

სიდედრს ორი კბილი უნდა ჰქონდეს: ერთით ლუდს უნდა უხსნიდეს სიძეს, მეორე კი მუდმივად უნდა ტკიოდეს.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩაღგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოდრიშვილი**
გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ქობალია** 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge